

წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები
და მათი გადაჭრის გზები

(კვლევის ანგარიში)

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის ქართული
ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მანანა კაკაურიძე

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზია

2017-2018 სასწ. წელი

სარჩევი

შესავალი.....	4
I თავი.....	4
საკვლევი საკითხის მიმოხილვა.....	4
პრობლემა.....	5
პრობლემის სავარაუდო გამომწვევი მიზეზები.....	8
კვლევის მიზანი.....	10
კვლევის ამოცანა.....	10
II თავი ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
„წიგნიერება PIRLS 2006 საქართველოში“.....	11
„PIRLS 20011 წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები“.....	11
აზროვნების განვითარების ზოგადი მიდგომები.....	18
აზროვნება და ყოველდღიური საკლასო პრაქტიკა.....	23
აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ და მისი ამოქმედების პრაქტიკული სტრატეგიები.....	23
აზროვნების გადატანა (ტრანსფერი).....	24
ემერჯენტული წიგნიერება.....	25
მოსწავლეთა ლიტერატურული ინტერესების განვითარება.....	27
წიგნიერება.....	30
მეტაკოგნიცია.....	36
კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასებში).....	39
დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი.....	46
კითხვის ეფექტური მეთოდები.....	50
კითხვის ეფექტური მეთოდები 2.....	51
კითხვის ეფექტური მეთოდები 3.....	61
ანალიტიკური წერა.....	66
III თავი - მეთოდოლოგია.....	68
მონაცემთა შეგროვება.....	68
მონაცემთა ანალიზი.....	71
კვლევის მიგნებები.....	79
ინტერვენციის დაგეგმვა.....	81
ინტერვენციების განხორციელება.....	82
ინტერვენციის შეფასება.....	95
ინტერვენციის შედეგები.....	96

დასკვნა და რეკომენდაციები.....	99
დანართები.....	103
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები	113
რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ.....	115

შესავალი

მოზარდისათვის სამყაროს შეცნობის ძირითადი საშუალება სწავლაა, სწავლის საფუძველი კი კითხვის, კერძოდ, გააზრებული კითხვის უნარია, რომლის დაუფლებასაც საძირკველი დაწყებით საფეხურზე უნდა ჩაეყაროს. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო განათლების დაწყებითი საფეხურიდან მოსწავლეთა წიგნიერების ხელშეწყობას. ვინაიდან სწავლა-განათლების მიღებისა და განვითარების მთავარი უნარი კითხვის უნარია, ამიტომ მნიშვნელოვანია დროულად აღმოვაჩინოთ ის პრობლემები, რომლებიც აფერხებს წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებას და მოსწავლეთა წიგნიერების ხელშესაწყობად დავგეგმოთ და ჩავატაროთ საჭირო აქტივობები.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიერ განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, რომელიც ეძღვნება ამავე გიმნაზიის ღირსი გიორგი ათონელის სახელობის მე-5 კლასის მოსწავლეთა კითხვასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას. კერძოდ, ნაშრომში განხილულია აღნიშნული კლასის მოსწავლეებში წაკითხულის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები, გაანალიზებულია მათი გამომწვევი მიზეზები და აღწერილია მათ გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები.

ნაშრომში მოცემულია როგორც საკვლევი საკითხის მიმოხილვა, აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, ასევე განხილული ლიტერატურიდან საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ამოღებული ამონარიდები და ცალკეულ ავტორთა შეხედულებები. აგრეთვე, კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ, კვლევის გეგმა, მონაცემთა ანალიზი და კვლევის მიგნებები. განხილულია ინტერვენციების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპები. წარმოდგენილია ინტერვენციის შედეგები, დასკვნა, რეკომენდაციები.

I თავი

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

ცნობილია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც ბავშვი სკოლაში სწავლისას იძენს, კითხვის უნარია. კითხვა მეტად რთული პროცესია, რომელიც მოიაზრებს არა მხოლოდ ამოკითხვას ანუ დეკოდირებას, არამედ აზრის გაგებას,

მსჯელობას, დასკვნების გამოტანასა და შეფასებას. სასწავლო პროცესში მოსწავლეს ხშირად უწევს სხვადასხვა სახის ტექსტის წაკითხვა დამოუკიდებლად, სამწუხაროდ, კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ზოგჯერ შეიძლება, ტექსტი მხოლოდ წაკითხული დარჩეს და მოსწავლეს გაუჭირდეს მისი გაანალიზება, გაგება-გააზრება. კითხვის უნარი უშუალოდ უკავშირდება ბავშვის აზროვნების განვითარებას. სწორედ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები უშლის ხელს მოსწავლეს სხვადასხვა დავალების ინსტრუქციის სწორად გაგება-გააზრებაში, ასევე უქრობს დამატებითი ლიტერატურის წაკითხვის სურვილს. რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს მოსწავლეში წიგნიერების დაბალ დონეს, ამიტომ სასკოლო განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა მოსწავლეთა წიგნიერების განვითარების ხელშეწყობაა.

ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებისა და მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის მიუხედავად, წიგნიერების დონის ამაღლების საკითხი კვლავაც აქტუალურია. მიმაჩნია, წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები დაწყებით საფეხურზე უნდა ვეძიოთ და მათი მოგვარება საკლასო ოთახებიდან დავიწყოთ.

ჩემი აზრით, საკუთარ სამუშაო პროცესზე დაკვირვება და შედეგების გაანალიზება გვაძლევს შესაძლებლობას, აღმოვაჩინოთ პრობლემა და მოვახდინოთ მისი იდენტიფიცირება. სწორედ, ამგვარი მუშაობის ერთ-ერთი ინსტრუმენტი გახლავთ მასწავლებლის პრაქტიკის კვლევა, რომლის მიზანია სასწავლო პროცესის დახვეწა და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება: „სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს სიღრმისეული სწავლება“ (ესგ. მუხლი 12. „სიღრმისეული სწავლება“).

პრობლემა

როგორც შესავალი ნაწილსა და საკითხის მიმოხილვისას აღვნიშნე, სასკოლო პერიოდში უმნიშვნელოვანესია, მოზარდებს განუვითარდეთ გააზრებული კითხვის უნარი. ამიტომ საჭიროა დროულად აღმოვაჩინოთ ის პრობლემები, რომლებიც წაკითხულის გააზრებას აფერხებს, რათა მოიძებნოს მათი დაძლევის გზები და მეთოდები.

სწავლებისას ხშირია, რომ ბავშვმა თითქოს კარგად იცის ტექსტის შინაარსი, შეუძლია თანმიმდევრული თხრობა, ფაქტობრივ კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ

უჭირს ნაწარმოების თემისა და იდეის განსაზღვრა, შეფასება, ტექსტიდან აზრის გამოტანა, თუ რისი თქმა სურს ამ ნაწარმოებით ავტორს და ა.შ. ბუნებრივია, ეს არ არის საფუძვლიანი ცოდნა, მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენაა ამა თუ იმ საკითხის მიმართ. აღნიშნული პრობლემა გამომდინარეობს იქიდან, რომ მოსწავლეს სათანადოდ არ აქვს განვითარებული ტექსტის გააზრებულად კითხვის უნარი. მე-5 კლასში ხშირად ვაწყდებით ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფაქტს: ერთი მხრივ, არის მოსწავლე, რომელიც კითხულობს გაწაფულად, აქვს გარკვეული ლექსიკური მარაგი, შეუძლია ტექსტის შინაარსის გასაგებად გადმოცემა, მეორე მხრივ, არის ისეთი მოსწავლეც, რომელსაც არ აქვს ლექსიკური მარაგი, უჭირს გაწაფული კითხვა და ტექსტის თანმიმდევრული თხრობა. ორივე მოსწავლის სასწავლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა ერთი პრობლემა, კერძოდ, მოსწავლეებს უჭირთ წაკითხულიდან აზრის გამოტანა.

საკვლევი პრობლემის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით და იმის დასასაბუთებლად, რომ აღნიშნული პრობლემა რეალურად არსებობს ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში, მოსწავლეებს კვლევის დასაწყისში ჩავუტარე პრეტესტი (შედეგები იხ. ამავე კვლევის გვ. 78; 79).

დრ. გიორგი ათონელის სახ. მე-5 კლასის მოსწავლეთა მიერ წაკითხულის გაგება-გააზრების დაბალმა მაჩვენებელმა განაპირობა კვლევა, რომელიც 2017-2018 სასწავლო წელს ჩავატარე.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ არის, რომ განსხვავებული შესაძლებლობისა და მზაობის ბავშვებს აქვთ ერთი და იგივე პრობლემა? რა არის ამის მიზეზი? როგორ შეიძლება, ხელი შევუწყოთ ამ პრობლემის დაძლევას? სწორედ ეს განაპირობებს ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის საკვლევი თემის, **„წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“**, აქტუალობას. კვლევის მთავარი კითხვაა: *როგორ გავაუმჯობესოთ ტექსტის კითხვისას გაგება - გააზრების უნარი ღირსი გიორგი ათონელის სახელობის მე-5 კლასში?*

ზოგ ადამიანს მიაჩნია, რომ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება მხოლოდ ქართულის გაკვეთილზეა საჭირო და შესაძლებელი. რა თქმა უნდა, ეს მცდარი

შეხედულებაა, რადგან ნებისმიერ საგანში მნიშვნელოვანია, მოსწავლემ გაიგოს და გაიაზროს ტექსტის შინაარსი, რათა შემდგომ შესაბამისი დავალების შესრულება. მოსწავლე, რომელიც ვერ სწვდება ტექსტის შინაარსს, უჭირს გააზრება და დასკვნის გამოტანა, სიღრმისეულად ვერ იაზრებს დავალების პირობას, მის შესრულებასაც ვერ შეძლებს.

აღნიშნული საკითხის აქტუალობისა და ღირსი გიორგი ათონელის სახელობის მე-5 კლასის მოსწავლეებში წაკითხულის გაგება-გააზრების რეალურად არსებული პრობლემის გამო, გადავწყვიტე კვლევის ჩატარება.

ვფიქრობ, საკითხი მეტად მნიშვნელოვანი გახლავთ.

წინამდებარე კვლევის დროს გაწეული მუშაობა, ჩემი აზრით, სასარგებლო იქნება როგორც მოსწავლეთათვის, ასევე მასწავლებლისა თუ მასწავლებლებისა და მშობლებისათვის.

მოსწავლეებს განუვითარდებათ ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევები, დაეუფლებიან კითხვის ძირითად სტრატეგიებს, სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც დაეხმარებათ წაკითხული ტექსტის უკეთ გაგება-გააზრებაში, გაუჩნდებათ კითხვის მიმართ ინტერესი და სიყვარული, წაკითხვით მიიღებენ ახალ ინფორმაციას, შეიძენენ და დააგროვებენ საჭირო ცოდნას.

მასწავლებლები გაიზიარებენ გამოცდილებას. ისინი, კვლევაში წარმოდგენილ მიგნებებს, ინტერვენციებს, დასკვნებს, რეკომენდაციებს გამოიყენებენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში და მოსწავლეებს გაუუმჯობესებენ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარებს. გარდა ამისა, ვფიქრობ, გაიზრდება მათი მოტივაცია და პროფესიონალიზმი.

მშობლები კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე უფრო აქტიურად და მონდომებით ჩაერთვებიან შვილების წიგნიერების დონის ამაღლების პროცესში და დაეხმარებიან მოზარდებს წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარებაში.

პრობლემის სავარაუდო გამომწვევი მიზეზები

წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი სავარაუდო მიზეზები შეიძლება იყოს შემდეგი:

- ტექსტის გაწაფულ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ლექსიკური მარაგის სიმწირე;
- კითხვა გააზრების გარეშე/წაკითხულის გააზრების სპეციფიკური სტრატეგიების არფლობა.
- მოტივაციის ნაკლებობა ან არარსებობა;
- მშობელთა დაბალი ჩართულობა წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობაში.

განვიხილოთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა:

ტექსტის გაწაფულ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები - გაწაფული კითხვა არ არის წაკითხული ტექსტის გააზრების გარანტი, მაგრამ გაგება რთულდება გაწაფული კითხვის გარეშე. თუ მოსწავლე დიდ დროს ანდომებს ტექსტის კითხვას სიტყვების დეკოდირების მიზნით, გააზრება ფერხდება და კითხვის პროცესი ხანგრძლივ, დამძლეულ აქტივობად გადაიქცევა მოსწავლისთვის. ის ორიენტირებულია მხოლოდ სწორად ამოკითხვაზე და ფერხდება გააზრება.

ლექსიკური მარაგი, ლექსიკა - არის ენაში არსებული სიტყვების მარაგი. სიტყვების ცოდნა, არსებითია გაგება-გააზრებისათვის. წაკითხულიდან აზრის გამოტანა შეუძლებელია, თუკი ტექსტის სიტყვათა უმრავლესობის მნიშვნელობა არ იციან მოსწავლეებმა. აქედან გამომდინარე მდიდარი ლექსიკური მარაგი კითხვასა და სწავლაში წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემების უმთავრესი მიზეზი სწორედ ლექსიკური მარაგის სიმწირეა. სიტყვების ცოდნა მჭიდროდ უკავშირდება აკადემიურ წარმატებას ყველა საგანში.

ტექსტის კითხვა გააზრების გარეშე - გაგება-გააზრება კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე კომპონენტია. წაკითხულიდან აზრის გამოტანა - ყველაზე მნიშვნელოვანია. წაკითხვისა და გააზრების პროცესი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ტექსტის კითხვა გაგება-გააზრების გარეშე აზრს მოკლებულია.

მოსწავლემ შეიძლება არ იცის რას მიაქციოს ყურადღება და როგორ წაიკითხოს ისე, რომ გაიაზროს, არ იცნობს კითხვის ეფექტურ სტრატეგიებს. წაკითხულის გააზრების უნარი შეიძლება გაუმჯობესდეს სისტემატური სწავლებით, რომლის შედეგადაც მკითხველებს გამოუმუშავდება წაკითხულის გააზრების სპეციფიკური სტრატეგიები. ეს სტრატეგიები ცნობიერი სქემებია, რომლის საფუძველზეც მკითხველი იგებს ტექსტში გადმოცემულ ამბებს.

მოტივაცია - წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. მოტივირებულ მოსწავლეს კითხვის პროცესი სიამოვნებას ანიჭებს. ამიტომ იგი დროთა განმავლობაში სულ უფრო კარგად ეუფლება და თავისუფლად იყენებს კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს და, შესაბამისად, კარგად გაიაზრებს წაკითხულს. ცხადია, თუკი მოზარდს სიამოვნებს კითხვა, ის ბევრს კითხულობს კიდევ და მუდმივად იზრდება, როგორც მკითხველი.

მშობელთა ნაკლები ჩართულობა წიგნიერების ასამაღლებლად - როგორც ვიცით მშობლის როლი მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია. ხშირ შემთხვევაში, ჩვენი ცხოვრებიდან გამომდინარე, მშობელი ნაკლებად ახერხებს შვილს დაუთმოს დრო, ან დამატებითი აქტივობებით გაანებივროს სახლში. მშობელი არის კითხვის დროს მაგალითი შვილისთვის, ბავშვი როდესაც ხედავს მშობელს, რომელიც აქტიური მკითხველია, მასაც უჩნდება სურვილი, წაიკითხოს წიგნი და იმსჯელოს მშობელთან წაკითხულის შესახებ. მშობელთა მხრიდან შვილის წიგნიერების ამაღლებისათვის საჭირო დროის უქონლობა ან ნაკლებობა თავის კვალს ტოვებს მოზარდთა ცხოვრებაში, რაც შემდგომ, უარყოფითად აისახება მოსწავლეთა წარმატებებზე.

პრობლემის ზუსტად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, ჩამოვაყალიბოთ კვლევის მთავარი კითხვა: ***როგორ გავაუმჯობესოთ ტექსტის კითხვისას გაგება - გააზრების უნარი ღირსი გიორგი ათონელის სახელობის მე-5 კლასში?***

ეს კი გულისხმობს შემდეგ ქვეკითხვებს:

- როგორ გავუმდიდროთ მოსწავლეებს ლექსიკური მარაგი?
- რა კავშირია გაწაფულ კითხვასა და გაგება-გააზრებას შორის?
- როგორ ვასწავლოთ გაწაფული კითხვა?

- როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს გაგება-გააზრების სტრატეგიები?
- რა მეთოდები გამოვიყენოთ გაგება-გააზრებაზე მუშაობის დროს?
- როგორ ავუმაღლოთ მოსწავლეებს მოტივაცია?
- როგორ გავზარდოთ მშობელთა ჩართულობა?

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია ღირსი გიორგი ათონელის სახელობის მე-5 კლასში გაგება-გააზრების შემაფერხებელი მიზეზების დადგენა, პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა და შედეგის გაუმჯობესება. მოსწავლეებთან, მშობლებთან საუბარი და მათი დახმარება, კონსულტირება ამ მიმართულებით მუშაობის პროცესში. კვლევა დამეხმარება, გაკვეთილი დავგეგმო და ჩავატარო ისეთი აქტივობებით, რომლებიც მოსწავლეებს აუმაღლებს სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრების დონეს.

კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანაა, პასუხი გაცეს შემდეგ კითხვებს:

- რა სირთულებებს ხვდებიან მოსწავლეები კითხვისას?
- რა დროს უთმობენ მოსწავლეები ლიტერატურის კითხვას?
- რა როლი ენიჭება გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ აქტივობებს მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებაში?
- რა მნიშვნელობა აქვს სასკოლო გარემოს მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლებაში?
- როგორ ზრუნავენ მშობლები შვილების წიგნიერების ასამაღლებლად?

II თავი ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევაზე მუშაობისას, საკვლევი თემის უკეთ გააზრებისა და ადეკვატური ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით, გადაწყვიტე, გავცნობოდი იმ ლიტერატურას, რომელიც დამეხმარებოდა, ხელი შემეწყო მოსწავლეებში წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებისთვის.

„წიგნიერება PIRLS 2006 საქართველოში“

„PIRLS 20011 წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები“

გავეცანი საქართველოში ჩატარებული კვლევების - „წიგნიერება PIRLS 2006 საქართველოში“ და „PIRLS 20011 წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები“ ანგარიშებს. აღნიშნული კვლევების გაცნობა ჩემთვის, როგორც მკვლევრისთვის, საინტერესო გახლდათ, რადგან წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) მიზანია, შეამოწმოს მოზარდების წაკითხულის გააზრების უნარი და იკვლიოს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა კითხვის უნარის განვითარებასა და წიგნიერებაზე. „PIRLS-ში წიგნიერება განისაზღვრება, როგორც საზოგადოების მიერ ღირებულად მიჩნეული და/ან ინდივიდისათვის ფასეული წერილობითი ენობრივი ფორმების გაგებისა და გამოყენების შესაძლებლობა. პატარა მკითხველებს უნდა შეეძლოთ მრავალფეროვანი ტექსტების შინაარსის გაგება. ტექსტების მრავალფეროვნებას ქმნის სხვადასხვა საგნისთვის სპეციფიკური ფორმები (ლიტერატურული, საბუნებისმეტყველო ტექსტები, ენციკლოპედიები, მათემატიკური ამოცანები და ცხრილები, ისტორიის წყაროები, დოკუმენტები და სხვა.). ისინი კითხულობენ იმისათვის, რომ ისწავლონ, გახდნენ მკითხველთა საზოგადოების წევრი სკოლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში და განიცადონ როგორც ინტელექტუალური და ესთეტიკური, ისე გართობის სიამოვნება“ („PIRLS 20011 წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები“; 2013 წ. გვ. 15).

ამრიგად, IV კლასის დამთავრებისას კითხვა, ორ მიზანს ემსახურება: 1) ლიტერატურული გამოცდილების მიღება; 2) ინფორმაციის მიღება და გამოყენება.

კითხვა ლიტერატურული გამოცდილების მიღების მიზნით ხელს უწყობს ზოგადად კითხვის მიმართ ინტერესისა და წიგნის სიყვარულის გაღვივებას; ხოლო კითხვა ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების მიზნით ეხმარება მოსწავლეს ცოდნის შეძენასა და დაგროვებაში.

ნებისმიერი ტექსტის წაკითხვისას „მკითხველი ცდილობს, რომ შინაარსს სხვადასხვა გზით ჩასწვდეს. ის პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას, აკეთებს დასკვნებს, ახდენს ტექსტის აზრებისა და იდეების ინტერპრეტაციასა და საკუთარ

ცოდნასთან ინტეგრირებას (დაკავშირებას, შეჯერებას), იკვლევს და აფასებს ტექსტის მახასიათებლებს. ეს პროცესები მეტაკოგნიტურ სტრატეგიებსა და პროცესებს წარმოადგენს, რომლებიც მკითხველებს თავიანთი გაგების უნარის შემოწმებისა და სხვადასხვა მიდგომის მორგების საშუალებას აძლევს (Jacobs, 1997; Kintsch & Kintsch, 1983). აგრეთვე, აღსანიშნავია ის, რომ ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მკითხველს ახალი ტექსტის კითხვის დროს მოჰყვება, საშუალებას აძლევს მას, შეიცნოს ენა, ტექსტი და ის სამყარო, რომლის „გავლითაც“ წაკითხული მასალის გააზრება ხდება (Alexander & JetTon, 2000; Beach & Hynds, 1996; Clay, 1991; Galda & Beach, 2001; Hall, 1998)” („PIRLS 2001 წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები“; 2013 წ. გვ. 18).

კითხვის მიზნებს შორის სხვაობის მიუხედავად, პროცესები და სტრატეგიები, რომლებსაც მკითხველი იყენებს ამა თუ იმ ტექსტის კითხვის დროს, მეტ-ნაკლებად საერთოა.

ეს პროცესებია:

- ა) ტექსტში ექსპლიციტურად, ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნა;
 - ბ) ტექსტიდან უშუალოდ გამომდინარე დასკვნების გამოტანა;
 - გ) ტექსტის აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების (დაკავშირების, შეჯერების) საფუძველზე;
 - დ) ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ხერხების გააზრება.
- განვმარტოთ რას გულისხმობს თითოეული პროცესი.

ა) **ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა.** პროცესი გულისხმობს ტექსტის გარკვეულ ნაწილში, წინადადებაში ან ფრაზაში ღიად, ცხადად მოცემული ინფორმაციის, აზრის ან დეტალის დაკავშირებას შეკითხვაში მოცემულ მოსაძიებელ ინფორმაციასთან. ამ დროს მკითხველს არ მოეთხოვება (ანთითქმის არ მოეთხოვება) დასკვნის გამოტანა. ეს პროცესი ხელს უწყობს ამა თუ იმ საგნის სწავლისას ფაქტობრივი ინფორმაციის ამოკრებისა და დაგროვების უნარის განვითარებას.

ინფორმაციის წარმატებით საპოვნელად აუცილებელია ტექსტის საკმაოდ სწრაფი ან ავტომატური გაგება. ეს პროცესი, ფაქტობრივად, არ საშუალებას დასკვნების გამოტანასა და ინტერპრეტირებას. ამ შემთხვევაში შინაარსი ტექსტში ნათლად ჩანს.

მთავარია, მკითხველმა მოცემული ტექსტი იმ ინფორმაციასთან დააკავშიროს, რომელსაც ეძებს.

ამ პროცესის ფარგლებში მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ✓ კითხვის სპეციფიკურ მიზანთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება;
- ✓ კონკრეტული ცნებების მოძიება;
- ✓ სიტყვების ან გამონათქვამების განმარტებების მოძიება;
- ✓ მოქმედების კონტექსტის იდენტიფიცირება (მაგ: დრო, ადგილი);
- ✓ მთავარი საკვანძო წინადადებების ან მთავარი აზრის პოვნა (თუ ექსპლიციტურადაა მოცემული).

ბ) **ტექსტიდან უშუალოდ გამომდინარე დასკვნების გამოტანა.** პროცესი გულისხმობს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციისა თუ მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირებით დასკვნის გამოტანას. ამგვარი დასკვნის გამოტანა, ისევე როგორც ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა, უშუალოდ ტექსტს ემყარება, ოღონდ ამ დროს მკითხველის ყურადღება ტექსტის უფრო ვრცელ მონაკვეთებზე ან მთლიან ტექსტზეა მიმართული. ეს პროცესი საშუალებას აძლევს მკითხველს, ამოიკითხოს ის, რაც ტექსტში ექსპლიციტურად არ არის მოცემული, მაგრამ ტექსტიდან უშუალოდ გამომდინარეობს.

უშუალო დასკვნების გამოტანა მკითხველს ტექსტის მიღმა გახედვის შესაძლებლობასა და ე. წ. „ინფორმაციის ნაპრალების“ ამოვსების საშუალებას აძლევს.

უნარიანი მკითხველი ასეთ დასკვნებს ავტომატურად აკეთებს. ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას იგი სწრაფად უკავშირებს ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ეს კავშირი თვალსაჩინოდ არაა წარმოდგენილი.

უშუალოდ დასკვნების გამოტანის პროცესი, ზოგადად, კრიტიკული აზროვნების განვითარებას, განსაკუთრებით კი - არგუმენტაციის უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ამ პროცესის ფარგლებში მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ✓ დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, რომ ერთმა მოვლენამ გამოიწვია მეორე;

- ✓ დასკვნის გამოტანა ტექსტში დიდი რაოდენობით წარმოდგენილი არგუმენტების მთავარი სათქმელის შესახებ;
- ✓ იმის განსაზღვრა, თუ ვის მიმართაა ნაცვალსახელი გამოყენებული ტექსტში;
- ✓ ორ პერსონაჟს შორის არსებული კავშირის დანახვა და აღწერა.

გ) ტექსტის აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების (დაკავშირების, შეჯერების) საფუძველზე. პროცესი გულისხმობს ტექსტის მთლიანობაში გაგებას, ტექსტში მოცემული აზრებისა და ინფორმაციის გააზრებას; როგორც მთელი ტექსტის, ისე მისი ცალკეული პასაჟის იმპლიციტური (ნაგილისხმევია, ფარული) შინაარსის ამოცნობას და ინტერპრეტაციას საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან დაკავშირების საფუძველზე. ეს პროცესი ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, განსჯის უნარის განვითარებას.

ამ შემთხვევაში უფრო მეტად საჭიროა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობა და არა უშუალო დასკვნების გამოტანა. იქიდან გამომდინარე, რომ შინაარსი ინტერპრეტირებისა და ინტეგრირების საფუძველზე ყალიბდება, სავარაუდოდ, მკითხველები ერთმანეთისაგან განსხვავებულ, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებულ აზრებს ჩამოაყალიბებენ.

ამ პროცესის ფარგლებში მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ✓ ტექსტის მთავარი იდეის, ძირითადი აზრის, თემის ამოცნობა;
- ✓ მთლიანად ნაწარმოების ან პერსონაჟის განწყობის ამოცნობა;
- ✓ ნაწარმოებში მომხდარი ამბის, მოვლენის, აგრეთვე, პერსონაჟის მდგომარეობის ან მოქმედების მოტივის ამოცნობა;
- ✓ საკუთარი ცოდნისა და ტექსტში მოცემული ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველზე დასკვნის გამოტანა;
- ✓ ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისგან გარჩევა;
- ✓ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა და ლოგიკურად ჩამოყალიბება;
- ✓ ზოგადად წიგნიერებასთან დაკავშირებული გამოცდილების და ცოდნის გამოვლენა.

დ) ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ხერხების გააზრება. პროცესი გულისხმობს ტექსტის ენობრივი და მხატვრული გამოსახვის საშუალებების გარჩევას და შეფასებას, რაც ხელს უწყობს ტექსტის ესთეტიკური აღქმის უნარის ჩამოყალიბებას.

ამ პროცესში მკითხველი ტექსტის შინაარსის კრიტიკულად განხილვაზეა ფოკუსირებული. შინაარსის შესახებ მსჯელობისას მკითხველი საკუთარ ინტერპრეტაციას ეყრდნობა და ერთმანეთს ადარებს სამყაროს მისეულ ხედვასა და ტექსტის შინაარსს, შედეგად, უარყოფს, იღებს, ან ნეიტრალური რჩება მოცემული აზრების, ინფორმაციის მიმართ.

მოსწავლეს თავისი ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებით უნდა შეეძლოს:

- ✓ რეალურსა და შეთხზულს (მხატვრულ პირობითობას) შორის განსხვავების დანახვა; მხატვრული ჟანრების - ზღაპრის, იგავის, ლექსის, აგრეთვე, საინფორმაციო და შემეცნებითი ხასიათის (ისტორიული, საბუნებისმეტყველო, სალექსიკონო) ტექსტების სპეციფიკის ცოდნის გამოვლენა;
- ✓ მხატვრულ ტექსტში გამოსახვის საშუალებათა (დიალოგის, აღწერის, დახასიათების), აგრეთვე, მხატვრული ხერხების (ეპითეტის, შედარების) ამოცნობა („PIRLS 20011 წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები“; 2013 წ. გვ. 19; 20; 21; 22; 23).

ზემოთ განხილული პროცესები და სტრატეგიები, რომლებსაც მკითხველი იყენებს ამა თუ იმ ტექსტის წაკითხვისას წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მოწმდება მხატვრული და საინფორმაციო ხასიათის ტექსტების მეშვეობით. გავითვალისწინე PIRLS-ის მკვლევართა გამოცდილება სააზროვნო პროცესების შესამოწმებლად და მხატვრული ტექსტების მეშვეობით შევამოწმე მოსწავლეთა სააზროვნო მოქმედებები.

აღნიშნულ კვლევებში საუბარია იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეთა წიგნიერებაზე: **საზოგადოების ფაქტორი, სკოლის ფაქტორი, ოჯახური ფაქტორი**. ბავშვის წიგნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს საზოგადოებას და ქვეყნის პოლიტიკას წიგნიერებასთან დაკავშირებით. ქვეყნებში, სადაც ყურადღება ექცევა სკოლამდელ განათლებას და დაწყებით სკოლასთან დაკავშირებული

პოლიტიკა მიმართულია კითხვის უნარის განვითარებაზე, წიგნიერების დონე მაღალია.

PIRLS 2011-ის კვლევაში ვეცნობით, რომ ზოგ ქვეყანაში არის სასწავლო გეგმაში გამოყოფილი კითხვა, როგორც სასწავლო გეგმის ცალკე სფერო. ზოგ ქვეყანაში კი, როგორც წესი, კითხვა მშობლიური ენის სასწავლო გეგმის ნაწილია, რომელშიც ყურადღება ასევე გამახვილებულია წერასა და სხვა კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებაზე, მაგალითად, ფინეთში. ლიტვის ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც სწავლების დაწყებით საფეხურზე კითხვის სწავლება ინტეგრირებულია მშობლიური ენის სწავლებასთან. ლიტვის სასწავლო გეგმის თანახმად, დაწყებითი სკოლისთვის ენის სწავლების ძირითადი მიზნები უკავშირდება შემდეგს:

- ✓ მოსწავლეებისთვის დახმარების გაწევა, რათა შეიძინონ კითხვის საბაზო უნარი და განივითარონ ტექსტის შექმნისა და გაგების ელემენტარული უნარ-ჩვევები.

საქართველოშიც კითხვის უნარის განვითარება მშობლიური ენის სასწავლო გეგმაშია ინტეგრირებული. თუმცა 2006 წლის შემდეგ სასწავლო გეგმაში ყურადღება მნიშვნელოვნად გამახვილდა წაკითხულის გააზრების უნარზე. ამასთან, გამოიცა მეთოდური სახელმძღვანელოები პედაგოგებისათვის, დაწყებითი კლასების ისეთი ახალი სახელმძღვანელოც, სადაც გათვალისწინებულია **PIRLS 2006** წლის შედეგები და, ასევე, კითხვის სწავლების თანამედროვე მიდგომები და პრაქტიკა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესის დაწყება. სასერტიფიკაციო გამოცდების მეთოდურ ნაწილში დაწყებითი კლასების მასწავლებლებს მოეთხოვებათ კითხვის სწავლების სტრატეგიების ცოდნა („PIRLS 20011 წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები“; 2013 წ. გვ. 102; 103).

რაც შეეხება ოჯახურ ფაქტორს, **PIRLS 2006** და **PIRLS 2011-ის** კვლევებში აღნიშნულია, რომ მოზარდები, რომელთა წიგნიერების განვითარებაზე ოჯახებშიც ზრუნავენ, კარგ მკითხველებად ყალიბდებიან. **PIRLS 2011** კიდევ ერთხელ ადასტურებს საყოველთაოდ ცნობილ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოზარდები, რომელთა წიგნიერების განვითარებას ოჯახში ხელს უწყობენ, კარგი მკითხველები არიან. კითხვაში უფრო მაღალი მიღწევები აქვთ იმ მოზარდებს, რომელთა ოჯახებში

წიგნის კითხვა მკვიდრი ტრადიციია და რომელთა მშობლებიც ცდილობენ, ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ჩააბან წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში (მაგალითად, სხვადასხვა სახის სახალისო თამაშები ასოებისა და სიტყვების გამოყენებით, მცირე მოცულობის წიგნის კითხვა და წაკითხულზე საუბარი და ა. შ.). ოჯახის საგანმანათლებლო რესურსი მნიშვნელოვნად აისახება მოსწავლეთა მიღწევებზე („PIRLS 2011 წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები“; 2013 წ. გვ. 104).

ამდენად, ოჯახის როლი ბავშვის კითხვისა და წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია და ეხმარება მოზარდს, ჩამოყალიბდეს კარგ მკითხველად: „ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ ადრეულ ასაკში წიგნიერების განვითარების ძირითადი ასპექტი არის წიგნიერი გარემო. როდესაც უფროსები ბავშვებს უკითხავენ წიგნებს, ან როცა ბავშვები ხედავენ, რომ მშობლები თავად კითხულობენ, მათაც ბუნებრივი ინტერესი უჩნდებათ დაწერილის მიმართ. ასე რომ, წიგნიერების გამოყენებითი ასპექტის გაცნობიერება ეხმარება ბავშვს, დადებითად განეწყოს კითხვისა და წერისადმი“ („კითხვის ეფექტური მეთოდები“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ; გვ.14).

მოსწავლის წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სკოლა. კვლევების შედეგების გაცნობით ვიგებთ, რომ, თუ სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა მომზადებას კითხვის სწავლებისათვის, გეგმავს და ატარებს კითხვის უნარის გაუმჯობესებისათვის მრავალფეროვან აქტივობებს და სხვა, მაშინ იქ წიგნიერების დონე მაღალი იქნება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კითხვის უნარის გაუმჯობესებისათვის დაგეგმილ სასკოლო და კლასგარეშე აქტივობებს. **PIRLS 2011** კვლევაში აღნიშნულია ისიც, რომ მოსწავლის კითხვის უნარების განვითარებაზე სასკოლო გარემოზე მეტად საკლასო გარემო მოქმედებს. სწავლების მეთოდები და გამოყენებული მასალები, სასწავლო გეგმა, წიგნების ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიები და სხვა რესურსები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლასში სწავლებასა და სწავლაზე („PIRLS 2011 წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები“; 2013 წ. გვ. 136). წაკითხული ტექსტის უკეთ გააზრებისათვის მნიშვნელოვანია გაკვეთილზე კითხვის სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება და მათი მოსწავლეთა

საჭიროებებზე მორგება. ამრიგად, მასწავლებელმა გაკვეთილი უნდა დაგეგმოს იმ მეთოდებითა და აქტივობებით, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები ისწავლიან ტექსტის გააზრებას.

კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა მიღწევებზე პოზიტიურად აისახება მოტივაცია. მოსწავლეთა მოტივაციის ზრდა კითხვისთვის უფრო მეტი დროის დათმობასა და კითხვაში მოსწავლეთა უფრო მეტ ჩართულობას უზრუნველყოფს, რაც, თავის მხრივ, წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებას უწყობს ხელს („PIRLS 20011 წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები“; 2013 წ. გვ. 138).

ამრიგად, მოსწავლე რომ კარგ მკითხველად ჩამოყალიბდეს, საჭიროა სკოლასა და საკლასო ოთახებში დაიგეგმოს მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოზარდს, ჩამოყალიბდეს კარგ მკითხველად. მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს, გაუზარდოს მოსწავლეს მოტივაცია, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებაში.

PIRLS 2006 და PIRLS 2011-ის კვლევების გაცნობა დამეხმარა უკეთ გამეაზრებინა ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ და აფერხებენ წაკითხულის გაგება-გააზრების პროცესებს.

მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გავეცანი მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს „**როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება**“.

აზროვნების განვითარების ზოგადი მიდგომები

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. ბოლო წლებში დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო ხშირად საუბრობენ რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების: კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების და რეფლექსიური აზროვნების სწავლებაზე.

მოსწავლე უნდა გასცდეს მასალის უბრალოდ დამახსოვრება-გაზეპირებას. კერძოდ, მან ცოდნის დაგროვებასთან (ინფორმაციის შენარჩუნება) ერთად უნდა შეძლოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და, ბოლოს, შეფასება. ამ

დროს მოსწავლე არა მხოლოდ ფლობს ინფორმაციას, არამედ მას შეუძლია ქმედება. საინტერესოა, რომ რაიმეს სწავლა სწორედ აზროვნების შედეგია. აზროვნების ამოქმედების დროს ადამიანი გააზრებულად სწავლობს და ხდება უფრო გამჭრიახი. სხვა შემთხვევაში მოსწავლე პასიურია და, შესაბამისად, მას უჭირს რაიმეს სწავლა.

გარკვეული სახით მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეს ეხმარება აზროვნების ამოქმედებაში. განათლების სპეციალისტი დ. პერკინსი (Perkins, 1992) თავის „თეორია ერთში“ განიხილავს ინფორმაციის მიწოდების იმ ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს აზროვნების ამოქმედებას და, შესაბამისად, ეფექტურ სწავლასა და სწავლებას. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანი სწავლობს იმას, რის სწავლის ლოგიკური შესაძლებლობა და მოტივაციაც აქვს. „თეორია ერთის“ მიხედვით, რაიმეს კარგად შემეცნება მოითხოვს შემდეგი პირობების გათვალისწინებას:

1. **ნათელი ინფორმაცია:** მიზნების და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;
 2. **აზრიანი პრაქტიკა:** აქტიური პრაქტიკა იმაში, რასაც მოსწავლე სწავლობს;
 3. **გამოხმაურება:** რჩევები და შეფასება, რათა მოსწავლემ უკეთეს შედეგებს მიაღწიოს;
 4. **ძლიერი შინაგანი და გარეგანი მოტივაცია:** დამაჯილდოვებელი აქტივობები ან დავალებები, რომლებიც თავისთავად საინტერესოა მოსწავლისათვის ან ეხმარება მას სხვა მიზნების მიღწევაში;
- („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; გვ. 5).

„თეორია ერთის“ საკლასო პრაქტიკაში გამოყენება გულისხმობს მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის ნათელი ინფორმაციის და შესაბამისი გამოხმაურების მიწოდებას, აზრიანი პრაქტიკის უზრუნველყოფას, რაც აღძრავს მოსწავლის შინაგან და გარეგან მოტივაციას (Perkins, 1992). განათლების ფსიქოლოგების (Roehler, Duffy, etc., 1987) მიხედვით, ნათელი ინფორმაცია მოიცავს იმას, თუ „რა“, „როგორ“ და „როდის“ უნდა გაკეთდეს. ამ შემთხვევაში მასწავლებელი თვალყურს ადევნებს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა მიწოდებული ინფორმაცია. მათი შეცდომების ანალიზის საფუძველზე მასწავლებელი ცდილობს, იპოვოს ის გზები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება, უკეთ გაიგონ მოცემული საკითხი („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; გვ. 5;6).

„თეორია ერთის“ ამოქმედებას ხელს უწყობს სწავლების შემდეგი მეთოდები: დიდაქტიკური, სოკრატული, პრაქტიკული და სოციალური, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს აზროვნების აქტივაციაში (ერკინს,1992).

დიდაქტიკური მეთოდი: დიდაქტიკური მეთოდის გამოყენების დროს ინფორმაციას ვაწვდით დიალოგის ფორმით. მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა: მოსწავლეების ინფორმირება, მათი ცოდნის გამომჟღავნება და დახვეწა. დიდაქტიკური მეთოდით მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ნათელი და პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: რა? რატომ? სად?

ამ დროს მოსწავლისთვის ნათელია სასწავლო მიზნები, მან იცის, როდის ითვლება მიზანი მიღწეულად. მასწავლებელს ცნების ასახსნელად მოჰყავს მაგალითები, ამყარებს კავშირს ახალსა და ძველ ცნებებს შორის. ინფორმაციის გაცვლის პროცესში მოსწავლე და მასწავლებელი - ორივე მონაწილეობს და ერთად აგებს ახალ ცოდნას („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; გვ. 7). გზამკვლევაში მოყვანილია ამ მეთოდის გამოყენების მაგალითები გაკვეთილზე.

სოკრატული მეთოდი: სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელი სვამს მხოლოდ პრობლემურ (და არა ინფორმაციულ) შეკითხვებს, არ აწოდებს არანაირ ინფორმაციას მოსწავლეებს. ამ დროს მასწავლებელი განიხილავს გამონაკლისებს და მარტივ იდეას ეჭვქვეშ აყენებს. იგი არ აძლევს მოსწავლეებს ინფორმაციას, არამედ სთხოვს მათ აზროვნებას, რათა ისინი დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. სოკრატული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიით, დებატებით, პრობლემური შეკითხვების დასმით და სხვ. ზოგჯერ მასწავლებელს მოჰყავს ფაქტები მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, ხელს უწყობს იმ პასუხების ეჭვქვეშ დაყენებას, რომელსაც გვაძლევენ სხვადასხვა ავტორიტეტები და სხვა.

მოხწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, თამამად თხზავენ ჰიპოთეზებს და ვერსიებს, აანალიზებენ ერთმანეთის არგუმენტებს („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო გვ. 8).

კეთებით სწავლება: კეთებით სწავლების ანუ პრაქტიკის მეთოდის გამოყენების დროს ხდება ზუსტი ინსტრუქციის მიწოდება ექსპერიმენტის ან სიმულაციისთვის და არა ინფორმაციის მიწოდება. იგი მიზნად ისახავს, მოსწავლეებმა შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ან ჩვევის ფორმირებას. პრაქტიკის დროს მასწავლებელი აქტიურად იყენებს გამოხმაურებას (უკუკავშირს), რაც ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლის პრაქტიკა იყოს აზრიანი და მან მართლაც გააცნობიეროს ის, რასაც აკეთებს და არა ავტომატურად (მექანიკურად) გაიმეოროს.

ამგვარი სწავლება მხოლოდ სათანადო გამოხმაურების შემთხვევაში გვაძლევს მნიშვნელოვან ეფექტს. მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა შესთავაზოს აქტივობის სქემა ან მოდელი, სადაც მიღწევის დონეები ნათლად არის მოცემული და მოსწავლეს შეუძლია, განსაზღვროს, თუ რას მოელიან მისგან და როგორ ფასდება მისი წარმატება, ანუ რა არის ეფექტური „კეთება“ და მიზნის მიღწევა.

ამრიგად, პრაქტიკის მთავარი პრინციპებია: მოსწავლეებისთვის პრაქტიკული დავალების მიცემა, მათი წახალისება, სათანადო გამოხმაურების მიწოდება, რათა მათ აზრიანად იმოქმედონ;

კეთებით სწავლის დროს:

- მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართვას პრაქტიკულ საქმიანობაში, რათა მას გამოცდილებით სწავლის საშუალება მისცეს;
- მასწავლებელი ისეთ დავალებას აძლევს მოსწავლეს, რომლის პრაქტიკულად შესასრულებლადაც საჭიროა ახლად ახსნილი ცნებების (დებულებების) გამოყენება
(„როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; გვ. 9).

სოციალური (კოოპერატიული და თანამშრომლობითი) სწავლება: სოციალური მეთოდის გამოყენების დროს ხდება მოსწავლეთა დაჯგუფება. იგი მიზნად ისახავს მოსწავლეების ჩართვას თანამშრომლობაში, ერთობლივ ძალისხმევას დავალებების შესასრულებლად.

სოციალური მეთოდი შეიძლება იყოს ორი სახისა:

- ჯგუფისთვის მიცემული ამოცანა ჯგუფის შიგნით ქვეამოცანებად იშლება. ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს თავისი ფუნქცია და თავისი ამოცანა. საერთო შედეგი დამოკიდებულია თითოეული მონაწილის შედეგზე.

- მოსწავლეები მუშაობენ და ფიქრობენ ერთსა და იმავე ამოცანაზე ერთდროულად. მათ ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ. ასეთი ფორმა უფრო ეფექტურია ახალ ამოცანებზე მუშაობის დროს („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, გვ. 9).

ზემოთ დასახელებული სწავლების მეთოდების გარდა, მეტად მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ხელი შევუწყოთ მოტივაციის ამოქმედებაში. მოტივაცია არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი. ცნობილი ფაქტია, რომ მოტივირებული მოსწავლის სწავლის ხარისხი და აკადემიური მოსწრება მაღალია, ხოლო, ნაკლებად მოტივირებული მოსწავლის სწავლის ხარისხი და აკადემიური მოსწრება დაბალია. „არსებობს შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. მოსწავლის სასწავლო აქტივობები შეიძლება განპირობებული იყოს მისი შინაგანი ან გარეგანი მოტივაციით. საინტერესო აქტივობები ეფუძვნება მოსწავლეთა შინაგან მოტივაციას. მოტივირებული მოსწავლისათვის უფრო მნიშვნელოვანია თავად აქტივობა და შემეცნების პროცესი, რომელიც მას ანიჭებს სიამოვნებას. შინაგანი მოტივაციის ამოქმედების ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიაა, სწავლის დაკავშირება მოსწავლის რეალური ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრასთან. პერკინსი (Perkins, 1992) ხაზს უსვამს სიტუაციური სწავლების მნიშვნელობას მოსწავლის დაინტერესებისა და აზროვნების აქტივაციისათვის, ამ დროს მოსწავლე ითვისებს ისეთ ოპერაციებს, რომლებზეც ვარჯიში მისთვის მოსაბეზრებელი და უინტერესო იქნებოდა. მაგალითად:

- მოსწავლეები სწავლობენ წერას გაზეთის გამოცემით;
- მოსწავლეები სწავლობენ სტატისტიკას იმ კვლევაში მონაწილეობით, რომელიც მათთვის საინტერესოა და უკავშირდება მათ უშუალო გარემოს.

გარეგან მოტივაციას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა მოსწავლე შესრულებულ სასწავლო აქტივობისათვის მოელის წახალისებას, ჯილდოს (კარგი ქულა, შექება, კლასში გარკვეული სტატუსის მოპოვება და ა. შ.). ამ დროს განხორციელებული სასწავლო აქტივობა შესაძლებელია მოსწავლისათვის არ იყოს საინტერესო. მოსწავლის გარეგანი მოტივაციის ასამოქმედებლად მასწავლებელი ხშირად მიმართავს დაჯილდოების მოქნილ სისტემას“ („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; გვ. 10).

ამრიგად, მოსწავლეთა სასწავლო აქტივობას განაპირობებს როგორც გარეგანი, ისევე მისი შინაგანი მოტივაცია. ამიტომ, პედაგოგმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის მოტივაცია, რაც ხელს შეუწყობს მის წარმატებებს.

აზროვნება და ყოველდღიური საკლასო პრაქტიკა

მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მასწავლებელმა მოსწავლეები სხვადასხვა დონის შეკითხვების დასმითა და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით უნდა ჩართოს საგაკვეთილო პროცესში. ამგვარად წარმართული საგაკვეთილო პროცესი იწვევს მოსწავლის აზროვნების აქტივაციას. კერძოდ, მასწავლებელს შეუძლია შეკითხვების დასმით ჩართოს მოსწავლე ისეთ სააზროვნო მოქმედებებში, როგორიცაა გაგება, შეპირისპირება, არგუმენტის ჩამოყალიბება და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა მრავალფეროვან სააზროვნო მოქმედებებში ჩართვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სასწავლო მასალა ამის საშუალებას იძლევა. „მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლის მრავალფეროვან აქტივობებში ჩართვა, ასევე მრავალფეროვანი სასწავლო მასალის გარკვეული ფორმით მიწოდება“ („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, გვ. 12).

აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ და მისი ამოქმედების პრაქტიკული სტრატეგიები

პერკინსის (Perkins, 1992) აზრით, კარგად აზროვნება გულისხმობს საკუთარი აზროვნების პროცესების მართვას, რომელიც მოიცავს შემდეგის გააზრებას: რა შეკითხვები უნდა დაუსვა საკუთარ თავს, როგორ უნდა გამოიყენო პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები, როგორ უნდა მოახდინო საკუთარი აზროვნების მონიტორინგი (შემოწმება) და წარმართო იგი სწორი მიმართულებით და ა. შ. ეს ერთგვარად ჰგავს საკუთარი აზროვნების შესწავლას ანუ რეფლექსიას (თვითგანცდას, გაცნობიერებას). სხვა სიტყვებით, ეს არის მეტაკოგნიციის პროცესი, რომელიც გულისხმობს „ადამიანის მიერ საკუთარი აზროვნების დაგეგმვას, შეფასებას და მუდმივ მონიტორინგს“ და „აზროვნების შესახებ აზროვნებას თვითრეგულაციის განვითარების მიზნით“ (Flavel, 1979), მეტაკოგნიცია არის აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია სწავლის სწავლისათვის („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, გვ. 13).

გარკვეული პედაგოგიური სტრატეგიები ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას საკუთარი აზროვნების შესახებ. როდესაც მასწავლებელი ხშირად სვამს შემდეგ შეკითხვებს: დავფიქრდეთ, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ ახლა? როგორ ვაკეთებთ ამას? რას ვეძებთ? რა შედეგს გვამღებს ეს მოქმედება? და ასე შემდეგ, ეს ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული სააზროვნო პროცესის გაგებაში. მსგავსი დიალოგის მრავალჯერ წარმართვა, საფუძველს მოუძაბდებს თავად სააზროვნო მოქმედების განზოგადების პროცესს.

აზროვნების გადატანა (ტრანსფერი)

განათლების სპეციალისტების აზრით, აზროვნების გადატანის (ტრანსფერი) მნიშვნელობა სასწავლო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ. მათი აზრით, „ტრანსფერი არ ხდება თავისთავად. საჭიროა სწავლების სპეციალურად დაგეგმვა იმისათვის, რომ ტრანსფერი განხორციელდეს“ (Perkins, 1992) („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, გვ. 16). ტრანსფერს ხელს უწყობს შემდეგი პირობები: 1) ცოდნა, რომლის ტრანსფერიც ხდება, უნდა იყოს მიზეზ-შედეგობრივი მიმართების შემცველი; 2) სწავლების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ შეძენილი გამოცდილება შესაძლოა გამოყენებული იქნეს სხვადასხვა სიტუაციაში; 3) სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა აღმოაჩინოს ამოცანის გადაჭრის ძირითადი პრინციპები.

„გამოყოფენ ტრანსფერის ორ ძირითად ფორმას. ერთ შემთხვევაში ტრანსფერი ხორციელდება გაკვეთილზე განხილული თემის ანალოგიურ თემებთან (პერკინს, 1992). მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს ნასწავლი საკითხი დაუკავშიროს მსგავს თემებს სხვა სფეროებში“. „ტრანსფერის მეორე ფორმის დროს ხდება შესწავლილი საკითხის ძირითადი პრინციპების ღრმად გაგება (Perkins, 1992). ამის განხორციელება შესაძლებელია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით“ („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, გვ. 16; 17).

ამრიგად, აზროვნების განვითარების ზოგად მიდგომებზე საუბრისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გზამკვლევში ჩამოთვლილი იმ მეთოდების, თეორიული და პრაქტიკული მიდგომების ცოდნა და საგაკვეთილო პროცესში გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაღალი აზროვნების უნარის განვითარებას და აზროვნების აქტივაციას. მასწავლებლის მთავარი მიზანი უნდა იყოს კლასში აზროვნების კულტურის შექმნა. მოსწავლეები უფრო ბევრს სწავლობენ

იმ საკლასო კულტურიდან, სადაც აზროვნების პროცესები ხილვადია ანუ თვალსაჩინოდ მიმდინარეობს. ამგვარ გარემოში მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ აზრებს, აყალიბებენ ინტერპრეტაციებს, მონაწილეობენ დისკუსიებსა და დებატებში და ა. შ. ყოველივე ამის შედეგად კი მოსწავლეები ჩამოყალიბდებიან უფრო გონებამახვილ და კარგად მოაზროვნე პიროვნებად. ადამიანისთვის აზროვნების სწავლება შესაძლებელია. თუ ჩვენ მოსწავლეს ვასწავლით იმ სტრატეგიებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც აძლიერებენ მოსწავლის სააზროვნო უნარ-ჩვევებს და მოსწავლე გააზრებულად გამოიყენებს მათ. მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლის მიერ ამოცანის გადაჭრის სხვადასხვა სტრატეგიების ათვისებასა და ამ სტრატეგიების სხვადასხვა მასალაზე, შინაარსებზე გავარჯიშებისა და რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენების საშუალებას („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, გვ. 17).

ემერჯენტული წიგნიერება

ემერჯენტული წიგნიერება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვი, ჩამოყალიბდეს კარგ მკითხველად. „სანამ ბავშვი კითხვასა და წერას ისწავლის, თუ მას უკვე შეუძლია, მაგალითად, წიგნის სწორად დაჭერა, ფურცლის გადაშლა, ტექსტის მიმართულების სისწორის დადგენა, კითხვის იმიტაცია, ილუსტრაციების გახმოვანება, ან ზოგიერთი სიტყვისა და ასოს ამოცნობა, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ასეთ დროს ბავშვი უკვე ავლენს წიგნიერ ქცევებს და მასში აქტიურ ფორმირებას იწყებს მკითხველი.

ემერჯენტული ანუ ადრეული დაწყებითი წიგნიერება არის ცნება, რომელიც გამოიყენება ადრეული ასაკის ბავშვის მიერ იმ უნარების ათვისების პროცესის აღსაწერად, რომლებიც გამომჟღავნდება სხვადასხვა სახის ნაბეჭდ ტექსტებთან ურთიერთობის შედეგად და საფუძვლად ედება კითხვისა და წერის უნარების სრულყოფილად ჩამოყალიბებას.

ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ ადრეულ ასაკში წიგნიერების განვითარების ძირითადი ასპექტი არის წიგნიერი გარემო როდესაც უფროსები ბავშვებს უკითხავენ წიგნებს, ან როცა ბავშვები ხედავენ, რომ მშობლები თავად კითხულობენ, მათაც ბუნებრივი ინტერესი უჩნდებათ დაწერილის მიმართ. ასე რომ, წიგნიერების გამოყენებითი ასპექტის გაცნობიერება ეხმარება ბავშვს, დადებითად განეწყოს კითხვისა და წერისადმი. ბავშვებისათვის წიგნების ხშირად წაკითხვით, მათ არა

მარტო კოგნიტური უნარების განვითარებაში დაეხმარებით, არამედ დააჩქარებთ ბავშვის ჩამოყალიბებას მკითხველად.

თავდაპირველად ბავშვს ჰგონია, რომ მშობელი (ან უფროსი) ნახატების შესახებ საუბრობს. მერე კი თანდათანობით ხვდება, რომ სინამდვილეში მას დაწერილ/დაბეჭდილ ტექსტს უკითხავენ და თავადაც იწყებს წიგნის ფურცლებზე ნაბეჭდ ტექსტზე ფოკუსირებას. ხოლო შემდეგ კი კითხვის იმიტაციას. ეს კითხვის დაწყების პირველი ნაბიჯია.

როდესაც ადრეულ ასაკში წიგნიერების განვითარებისა და კითხვის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ გაგება-გააზრების კომპონენტი. გაგება-გააზრება არის წაკითხული ტექსტის, მოსმენილი ინფორმაციის, სიტყვების, წინადადებებისა და მათი კომბინაციების მნიშვნელობის კონსტრუირების პროცესი.

ამ უმნიშვნელოვანესი სააზროვნო უნარის განვითარებაში რომ დავეხმაროთ, ხშირად უნდა ჩავრთოთ ბავშვი გაგებაზე ორიენტირებულ თამაშებსა თუ აქტივობებში. წავახალისოთ, რომ დაგვიხატონ საყვარელი ზღაპრისა თუ მოსმენილი ამბის შინაარსი, ამით ისინი გადმოსცემენ არა მარტო თავიანთ დამოკიდებულებებს, არამედ იმასაც, თუ რა გაიგეს. მათი უნარები ნელ-ნელა, ეტაპობრივად, საფეხურებრივად ვითარდება.

ადრეული ემერჯენტული წიგნიერების საფეხურზე ბავშვები ხატავენ ფიგურებს, რომლებიც ასოებს წააგავს. მათ მიერ გამოყვანილი გამოსახულებები ჯერ კიდევ არ ემთხვევა ასოებს. მართალია, ფიგურები ასოებს ჰგავს, მაგრამ უნიკალური ფორმისაა და მთლიანად ბავშვის შემოქმედების ნაყოფია“ („კითხვის ეფექტური მეთოდები 3“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ; გვ. 13; 14; 15; 16).

ამრიგად, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ემერჯენტული წიგნიერება ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის წიგნიერ ადამიანად ჩამოყალიბებაში. ოჯახში ადრეულ ასაკში დაწყებული გაგება-გააზრების ხელშემწყობი თამაშები და წიგნთან რაც შეიძლება ადრეულ ასაკში დამეგობრება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოზარდის შემდგომ წარმატებას ცხოვრებაში.

მოსწავლეთა ლიტერატურული ინტერესების განვითარება

გავეცანი ნ. ლაბარტყავას სტატიას: „მოსწავლეთა ლიტერატურული ინტერესების განვითარება“, რომელიც დიმიტრი უზნაძისა და შარლოტა ბიულერის კვლევებს ეყრდნობა და მიმოიხილავს მოსწავლეთა ლიტერატურული ინტერესების ცვლას.

სტატიაში ვეცნობით: „დიმიტრი უზნაძემ მოსწავლეთა ინტერესების სფეროები ლიტერატურული ინტერესების განვითარებაზე დაყრდნობით იკვლია. აღნიშნული კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში დამუშავდა. კვლევის მონაცემების თანახმად, 8-9 წლის ბავშვი მეტი ხალისით კითხულობს იმ წიგნს, რომლის სიუჟეტიც მისი თანატოლის ცხოვრებას, მის ყოველდღიურ გამოცდილებას ასახავს. შესწავლილი ბავშვების 41,3% სწორედ ამ მოტივით ანიჭებდა წიგნებს უპირატესობას. 18,4% პროცენტისთვის მომხიბვლელი გახლდათ ზღაპრული შინაარსი, მაგრამ ორივე შემთხვევაში წამყვანი პირობა წიგნში მხიარული ეპიზოდების ან იუმორისტული სცენების არსებობა იყო. უზნაძის თანახმად, „ბავშვს ცრემლი და უბედურება არც წიგნში არ უყვარს, იგი მასში უსიამოვნო ნაღვეს ტოვებს და ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ წიგნი იმ წიგნთა სიაში მოაქციოს, რომელიც განსაკუთრებით არ მოსწონს“ (უზნაძე, 2005, გვ. 491).

ამ ორთან ერთად, უზნაძე ხაზს უსვამს კიდევ ერთ ფაქტორს - წიგნი, მასში არსებული ლექსიკა, ბავშვისთვის გასაგები უნდა იყოს, ვინაიდან იმის შესახებ, მოეწონა თუ არა წიგნში აღწერილი სიუჟეტი, გამოიწვია თუ არა მასში ღიმილი, ადამიანი მხოლოდ მას შემდეგ იმსჯელებს, თუ წაკითხული კარგად გაიგო. ბავშვისთვის ახალშეძენილი ჩვევა და მასში დახელოვნება, საზოგადოდ, სასიამოვნოა, ამიტომაც მას ისეთი წიგნი მოსწონს, რომელიც ამ პირობის ამოქმედების საშუალებას აძლევს, კერძოდ, გასაგებია და სასიამოვნო. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის იარსებებს რისკი, ბავშვს კითხვის ხალისი თავიდანვე ჩაუქრეს.

8-9 წლის ბავშვები წიგნის დადებით მხარედ ილუსტრაციებსა და დიდ შრიფტსაც ასახელებდნენ. საინტერესოა, რომ წიგნის ზღაპრული, ფანტასტიკური შინაარსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 9-10 წლის ბავშვებისთვის ხდება. მოწონებულ წიგნს უპირატესობას ფანტასტიკური, ზღაპრული შინაარსის გამო მოსწავლეთა 31,6% ანიჭებდა, მაშინ როდესაც მომდევნო ასაკში ეს მოტივი 5,9%-მდე

ეცემოდა. არმოწონების მიზეზებზე საუბრისას ბავშვები ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ ზღაპრის სიუჟეტი სინამდვილეში არასოდეს ხდება. ამავე, 9-10 წლის ასაკში ბავშვს ახალი ინტერესი უჩნდება - ეს არის ფათერაკი, მოქმედი გმირის მოხერხებულობა, სახიფათო სიტუაციიდან თავის დაღწევა ან ბოროტებასთან ბრძოლა.

გერმანელმა ბავშვთა ფსიქოლოგმა შარლოტა ბიულერმა ამის სადემონსტრაციოდ რობინზონ კრუზოს ტიპის ნაწარმოებისადმი ინტერესის დინამიკა წარმოადგინა. მან 8000 ბავშვის ლიტერატურული ინტერესების შესწავლისას შემდეგი მონაცემები მიიღო:

	ასაკი									
	8-9	9-10	10-11	11-12	12-13	13-14	14-15	15-16	16-17	17-18
გოგონა	10	13	18	16	16	11	4	2	1	-
ვაჟი	-	4	12	12	10	6	4	1	-	-

როგორც ცხრილიდანაც ჩანს, აღნიშნული ნაწარმოები განსაკუთრებით პოპულარულია 10-11 წლის ბავშვებს შორის, რომელთაც სიუჟეტში ადამიანის მოხერხებულობა და გამჭრიახობა ხიბლავთ. 11-12 წლის ბავშვები კიდევ ერთი სიუჟეტით ინტერესდებიან. კერძოდ, გმირის მიერ განხორციელებული ალტრუისტული ქცევით. ამგვარ სიუჟეტს ამ ასაკის ბავშვების 17% ანიჭებდა უპირატესობას. რამდენადმე იცვლება სურათი 12-13 წლის ასაკში. ამ ასაკის ბავშვები ალტრუისტულმა ქცევამ რომ დააინტერესოს, ის თავგანწირვასა და გმირობას, მაღალი ღირებულებებისკენ სწრაფვას უნდა აღწერდეს. ეს განსაკუთრებით რაინდთა თქმულებების ლიტერატურულ ჟანრს ახასიათებს. რაინდთა ისტორიებისადმი ინტერესი სასკოლო ასაკში ცხრილის სახით არის წარმოდგენილი (შ. ბიულერის მონაცემები):

	ასაკი									
	8-9	9-10	10-11	11-12	12-13	13-14	14-15	15-16	16-17	17-18
გოგონა	2	9	13	16	12	7	2	3	2	2
ვაჟი	2	3	6	13	15	5	3	1	1	-

საინტერესოა ისიც, რომ ეს ინტერესი 14 წლამდე ნარჩუნდება.

დიმიტრი უზნაძის კვლევის მონაცემების თანახმად, რაინდთა ისტორიებისადმი ინტერესი მაქსიმალურ დონეს 13-14 წლის ასაკში აღწევდა. ამგვარ განსხვავებას უზნაძე განსხვავებული საკვლევი ობიექტით ხსნიდა. კერძოდ, შ. ბიულერი აღწუსხავდა სხვადასხვა ასაკის ბავშვებში თითოეული ჟანრის წაკითხვის ინტენსივობას, დ. უზნაძე კი ნაწარმოებების მოწონების მოტივებს იკვლევდა.

11-12 წლიდან ბავშვებს უჩნდებათ ახალი, უცნობი რეალობის შეცნობის სურვილი, ამიტომ იმგვარ საკითხავ ლიტერატურას ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც რომელიმე რეალური სფეროს შედარებით ღრმად შესწავლის შესაძლებლობას იძლევა და ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ამგვარ ლიტერატურას ბავშვების 20,9% ანიჭებდა უპირატესობას.

12-13 წლის ბავშვებთან კვლავ დიდ ინტერესს იწვევს თავგადასავლები, ოღონდ, 9-10 წლისებისგან განსხვავებით, სახიფათო სიტუაციებისგან თავის დაღწევის პროცესი მეტად ხიბლავთ, ვიდრე თავისთავად წარმატებით დაგვირგვინებული სიუჟეტი. კვლევის ერთ-ერთი მონაწილე წიგნის მიმართ ინტერესის მოტივს ამგვარად ასაბუთებდა: „მომეწონა, როგორც მოგზაურობდნენ“. პერსონაჟის მიმართ სიმპათიას კი მისი ფიზიკური ძალ-ღონე, ვაჟკაცობა და გამბედაობა განაპირობებდა.

უზნაძე მიმოიხილავს კესტერის კვლევებსაც. რომელთა თანახმადაც, 6-დან 9 წლამდე ასაკის ბავშვებს უმთავრესად ზღაპრები ხიბლავთ და ამ პერიოდს მეცნიერი ზღაპრის ხანას უწოდებს. 10-დან 13 წლამდე მოზარდები უპირატესობას სათავგადასავლო ამბებს, მოგზაურთა ცხოვრებასა და სამხედრო ისტორიებს ანიჭებენ. განსხვავებული სურათია გოგონებთან: მათ 10 წლიდან სენტიმენტალური სიუჟეტი იტაცებთ. 14-17 წლიდან ბავშვები უმთავრესად ავანტიურისტული და დეტექტიური სიუჟეტებით იხიბებიან, აგრეთვე, ისტორიული და რეალისტური შინაარსის ნაწარმოებებითაც. კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე კი, კესტერის მოსაზრებით, ინტერესი ტექნიკურ, ფილოსოფიურ და ისტორიულ ლიტერატურაზე გადადის, გოგონების შემთხვევაში კი ინტერესთა სფეროს რომანებიც ემატება.

უზნაძე ინტერესთა მსგავს ცვალებადობას ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებით ხსნის, რაც ვლინდება კიდევ სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მონაცემებთან მსგავსებით. უზნაძე ინტერესების განვითარებას სხვა სფეროებზეც განაზოგადებს და ასკვნის, რომ ინტერესების ამგვარი განვითარება

სპექტაკლებისა და კინოფილმების მიმართაც ნარჩუნდება“. (ლაბარტყავა ნ. 4 ივლისი, 2013., „მოსწავლეთა ლიტერატურული ინტერესების განვითარება“)

ამრიგად, სტატიაში მიმოხილულია დიმიტრი უზნაძისა და შარლოტა ბიულერის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემები, რომლებიც მოზარდის ლიტერატურული ინტერესების საკითხს ეხება.

კვლევები, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ, რამდენიმე ათეული წლის წინ განხორციელდა. გადის დრო და მოზარდთა ინტერესები და მისწრაფებებიც იცვლება. ამდენად, სრულყოფილ სახელმძღვანელოდ აღნიშნულ კვლევებს ვერ გამოვიყენებთ. მოსწავლეთა წიგნიერების ხელშეწყობისათვის კარგია კლასშივე გამოკითხვის გზით დავადგინოთ მათი ინტერესები.

საკვლევი თემის სიღრმისეულად შესწავლისა და პრობლემის მოგვარების გზების ძიების მიზნით, საჭიროდ მივიჩნიე, გავცნობოდი წიგნიერებასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელოებსა და სტატიებსა, სასწავლო მეთოდოლოგიურ ლიტერატურას.

წიგნიერება

წიგნიერება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ძირითადი, საკვანძო კომპეტენციაა. კითხვისა და წერის უნარები მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და მის წარმატებას საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. ამიტომ, წიგნიერების განვითარებას სათანადო ყურადღება ეთმობა როგორც სკოლამდელ და სასკოლო, ისე სკოლისშემდგომ ასაკში.

რა არის წიგნიერება? კითხვისა და წერის პროცესების კომპლექსურობის გამო, წიგნიერების ერთ შეთანხმებულ განმარტებას სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ ვნახავთ. თუმცა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დღეს წიგნიერება ნიშნავს მრავალფეროვანი ტექსტების გამართულად წაკითხვის, გაგება-გააზრებისა და ინტერპრეტაციის, ასევე, სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნის უნარს. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) წიგნიერებას განმარტავს, როგორც განსაზღვრის, გაგების, ინტერპრეტაციის, შექმნის, კომუნიკაციის, გამოთვლის, ამა თუ იმ კონტექსტთან დაკავშირებული ნაბეჭდი და წერილობითი მასალის გამოყენების უნარ-ჩვევების ერთობლიობას. წიგნიერების ცნება გულისხმობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და ინდივიდის

პოტენციალს, მიაღწიოს მიზნებს, გაიდრმავოს ცოდნა, აიმაღლოს შესაძლებლობები და სრულად მოახდინოს საზოგადოებაში ინტეგრირება.

ამდენად, თანამედროვე გაგებით, წიგნიერება უშუალოდ არის დაკავშირებული ისეთ უნარებთან, როგორებიცაა: ზეპირი კომუნიკაცია, წაკითხულის განხილვა და დისკუსია, კრიტიკული აზროვნება, წარმოსახვა და სხვ. ტექსტების მრავალფეროვნებაში, ძირითადად, იგულისხმება, ერთი მხრივ, მხატვრული ან თხრობითი (მაგალითად, მოთხრობა, იგავი, ლექსი, მითი და ა.შ.) და, მეორე მხრივ, საინფორმაციო ან ინსტრუქციული (მაგალითად, საბუნებისმეტყველო ტექსტი, კვლევა, ესე, წერილი და ა.შ.) ტექსტები. არის ტექსტები, რომლებიც შეიძლება ერთ კატეგორიაშიც შევიყვანოთ და მეორეშიც, ვინაიდან ორივე ტიპის ტექსტის ნიშან-თვისებები გააჩნია (მაგ. ისტორიული მოვლენის აღწერა, ბიოგრაფია, მემუარი და სხვ). გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე ბეჭდვითი საშუალებების გამოყენებით საკითხავი ტექსტები გამდიდრებულია სქემებით, დიაგრამებით, ილუსტრაციებით, ელექტრონული ბმულებით და ა.შ., ამიტომ წიგნიერება მოიცავს სქემების, დიაგრამებისა და ილუსტრაციების გაგებასა და გააზრებასაც.

ცალკე საუბრობენ ე.წ. ფუნქციური წიგნიერების შესახებ, რაც ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო წერა-კითხვის კომპეტენციის მინიმუმს გულისხმობს (რეკლამის, განცხადების, აფიშის, მენიუს, ინსტრუქციის და ა.შ. წაკითხვა და გაგება, ასევე, განცხადების, წერილის და ა.შ. დაწერა).

წერა-კითხვის სწავლის პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზეპირი კომუნიკაციის, ანუ მოსმენისა და საუბრის (ლაპარაკის) უნარების განვითარებაზე. მართლაც, ჯერ კიდევ ადრეულ სკოლამდელ ასაკში, ბავშვი ზეპირი კომუნიკაციის პროცესში აცნობიერებს წერისა და კითხვის დაწყებისათვის აუცილებელ ფონეტიკურ პრინციპებს, ბგერების შერწყმის შესაძლებლობებს, გამოთქმული ერთეულების ნაბეჭდ-ნაწერ ტექსტთან შესატყვისობას.

თუ ბავშვის გარემოში ზეპირი კომუნიკაცია და ტექსტებთან შეხება მიზეზთა გამო შეზღუდულია, სასკოლო ასაკში სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით. ხოლო ინფორმაციის მოცულობისა და მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად, ეს პრობლემები კიდევ უფრო ღრმავდება. საბოლოოდ მივდივართ წაკითხულის გაუაზრებლობამდე, კითხვის მოტივაციის სრულ დაცემამდე, საკუთარი წარუმატებლობის განცდამდე, რაც სწავლას ყველა საგანში აფერხებს.

უკანასკნელ წლებში საქართველოს განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა წიგნიერების ცნების ხელახლა გააზრებისა და წერა-კითხვის სწავლების გაუმჯობესების მიზნით. ხაზგასმით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წიგნიერებას, როგორც სასწავლო პროცესის დამოუკიდებელ ერთეულსა და სტრატეგიულ მიზანს, საგანგებო ყურადღება ეთმობა ეროვნულ სასწავლო გეგმაში (პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია „წიგნიერება“ მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2012; გვ. 5; 6; 7).

მუხლი 48. ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციები

1. გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციებია:

ა) წიგნიერება. ტრადიციული გაგებით, სიტყვა "წიგნიერება" გულისხმობს კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს. დღეს ამ ცნების შინაარსი გაცილებით მეტს მოიცავს; თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წ. გვ. 32).

„სტანდარტი, ერთი მხრივ, ასახავს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული წიგნიერების - როგორც გამჭოლი კომპეტენციის განვითარების მოთხოვნებს, მეორე მხრივ კი, იგი შეესაბამება ამ მიმართულების საერთაშორისო დონეზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებს“ (პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია, „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2012; გვ.10). „აღსანიშნავია, რომ მოცემულ სტანდარტში განხილული 5 მიმართულება სწავლის ყველაზე ძლიერი საყრდენებია არა მხოლოდ მშობლიური ენის, არამედ ნებისმიერი საგნის შესწავლისას. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოში აღწერილი მეთოდები და სტრატეგიები სწორედ ამ მიმართულებების მიხედვით იქნება აღწერილი“ (პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2012; გვ. 21). ხუთი მიმართულებიდან ერთ-ერთი გახლავთ წაკითხულის გაგება-გააზრება და ტექსტის ინტერპრეტაცია. დაწვრილებით გავცანი სწორედ ამ მიმართულებას: „წიგნიერების სტანდარტი მოსწავლეებისთვის“ - წაკითხულის გაგება-გააზრებას, მის მისაღწევ შედეგებსა და ინდიკატორებს.

მიმართულების მოკლე მიმოხილვა:

3. წაკითხულის გაგება-გააზრება და ტექსტის ინტერპრეტაცია

განსხვავებით დეკოდირებისა და სიტყვების ამოცნობისაგან, წაკითხულის გააზრება ტექსტის სიღრმისეული შემეცნების პროცესია და მასში გადმოცემული აზრების გაცნობიერებასა და კონსტრუირებას გულისხმობს. ამისათვის კი მასწავლებელმა ბავშვებს უნდა შესთავაზოს რამდენიმე ძირითადი სტრატეგია, რომლებსაც ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე გამოიყენებენ. ესენია: ტექსტის ვიზუალიზება, ვარაუდების ჩამოყალიბება, ახსნა-განმარტება, შეკითხვების დასმა, კავშირების დამყარება, შეჯამება და ა. შ. (პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2012; გვ. 23).

აღნიშნულ გზამკვლევში გავცანი იმ პრაქტიკულ მეთოდებს/სტრატეგიებს, რომლებიც გამომადგა გააზრებული კითხვის სწავლებაში. გზამკვლევი დამეხმარა, სწავლა-სწავლების სამფაზიანი მოდელის უკეთ გააზრებასა და კითხვის სამი ფაზისთვის: 1. წაკითხვამდე; 2. კითხვა; 3. წაკითხვის შემდეგ, შესაფერისი აქტივობების შერჩევაში.

განხილულმა ლიტერატურამ ხელი შემიწყობო, სწორად განმესაზღვრა კითხვის ეფექტური მეთოდების როლი საგაკვეთილო პროცესში, წიგნში მოცემული კითხვის მრავალფეროვანი ეფექტური მეთოდების გამოყენებით დავგეგმე და ჩავატარე გაკვეთილები. ამასთან, გავითვალისწინე მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარება და, შესაბამისად, ვიმუშავე ამ მიმართულებით.

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის მიხედვით, კითხვის ადრეულ ეტაპზე გამოყოფენ ხუთ ძირითად კომპონენტს, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებს კითხვის პროცესში (ირინა სამსონია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 5).

ეს კომპონენტებია:

- ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება;
- ასობგერითი მიმართებების ცოდნა;
- კითხვის მოქნილობა;
- ლექსიკური მარაგი;
- წაკითხულის გაგება- გააზრება (წვდომა).

დაწყებითი საფეხურის ზემო კლასებში კითხვის უნარის განვითარებისათვის საჭირო კომპონენტების ჩამონათვალს ემატება მოტივაციის კომპონენტი. კითხვაში

წარმატების მისაღწევად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მოტივაცია. მოზრდილ მკითხველებში ხშირად მისი ნაკლებობა ან არარსებობა აფერხებს კითხვის უნარის განვითარების პროცესს. მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები და მოტივაცია; იგი უნდა აკვირდებოდეს თითოეულ მოსწავლეს და იცოდეს, რომელ კომპონენტში სჭირდება მოსწავლეს დახმარება და ამ კუთხით გაამახვილოს გაკვეთილზე ყურადღება (ირინა სამსონია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 6).

ცნობილია, რომ სიტყვების შეუფერხებლად წაკითხვა და თავისუფლად კითხვა კითხვის ფუნდამენტური უნარებია, თუმცა წარმატებული კითხვისათვის მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ უფრო რთულ და კომპლექსურ სააზროვნო უნარების განვითარებას, ანუ ვიზრუნოთ სამ კომპონენტზე: ლექსიკის დაუფლებაზე, წაკითხულის გააზრებასა და მოტივაციაზე. ამ უნარების განვითარების მიხედვით არსებობენ „წარმატებული“ და „ჩამორჩენილი“ მკითხველები, რომლებიც ერთმანეთისგან მთელი რიგი მახასიათებლებით განსხვავდებიან. მაგალითად: წაკითხულის გააზრების კუთხით „წარმატებული მკითხველი დაკვირვებით ადევნებს თვალყურს საკუთარ თავს კითხვის დროს, ანუ კითხვის პროცესშივე ამოწმებს, რამდენად კარგად გაიგო წაკითხული. თვითმონიტორინგი და საკუთარი თავისთვის კითხვების დასმა შესაძლებლობას აძლევს მას, მყისიერად დააფიქსიროს ყველა ის ადგილი ტექსტში, რომელიც ცუდად ან საერთოდ ვერ გაიგო და სწრაფადვე მიმართოს შესაბამის სტრატეგიებს ხარვეზის გამოსასწორებლად. კარგი მკითხველი ამ დროს, ჩვეულებრივ, ჩერდება, უბრუნდება და თავიდან კითხულობს მისთვის რთულად გასაგებ ადგილს ტექსტში. კითხვაში ჩამორჩენილ მოსწავლეთა უმეტესობას კი სწორედ იმიტომ უჭირს წაკითხულის გააზრება, რომ არ იყენებს ამ ძალიან მარტივ სტრატეგიას“ (ირინა სამსონია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 29).

როგორ დავეხმაროთ მოსწავლე და როგორ ვასწავლოთ მას წაკითხულის გააზრება? კითხვის დაწყებამდე, უპირველესად საშუალება უნდა მივცეთ მოსწავლეს თვალი გადაავლოს წასაკითხ ტექსტს. გაეცნონ ტექსტის ვიზუალურ მხარეს, მის ზომას, დაუკვირდნენ სათაურს, თან დართულ სურათებს (თუ ახლავს ტექსტს), სიტყვებს, ფრაზებს, რაც გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის წასაკითხი ტექსტის შესახებ.

მოსწავლეებში წაკითხულის გააზრების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია **წინარე ცოდნის გააქტიურება**. „წინარე ცოდნა - ეს არის ინფორმაცია, რომელსაც ფლობს მოსწავლე იმ საკითხთან თუ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც ეხება ან შეიცავს წასაკითხი ტექსტი. ეს ცოდნა ერთგვარი ხიდია ნასწავლსა და შესასწავლს შორის. ამიტომ, წინარე ცოდნის აქტივაციის საშუალებით მოსწავლე ახერხებს, დააკავშიროს არსებული ცოდნა შესასწავლ მასალასთან, რაც მნიშვნელოვნად ეხმარება მას ახალი ინფორმაციის გაგებასა და დამუშავებაში“ (ირინა სამსონია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 31). ამ მიზნით გაკვეთილზე ვიყენებდი შესაბამის მეთოდებსა და მიდგომებს.

წაკითხულის გასააზრებლად კარგი საშუალება გახლავთ **გრაფიკული მაორგანიზებლების** გამოყენება. გრაფიკული მაორგანიზებელი არის მარტივად და თვალსაჩინოდ წარმოდგენილი ტექსტის შინაარსი, რაც ეხმარება მოსწავლეს, ამოიცნოს, სისტემურად დაინახოს და დაიმახსოვროს ყველა მნიშვნელოვანი დატალი, რომლებიც მას წაკითხულის დასამუშავებლად და გასააზრებლად სჭირდება. გრაფიკულ მაორგანიზებლებს განეკუთვნება: აზრობრივი რუკა, ვენის დიაგრამა, ამბის რუკა, ცნებათა რუკა, ქრონოლოგიური რუკა, ობობას ქსელი და სხვა (ირინა სამსონია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 32). გრაფიკული მაორგანიზებლების ეფექტურად და დროულად გამოყენებისათვის, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება სასარგებლოა კითხვის წინა ეტაპზე, რათა მოსწავლეები სათანადოდ მოემზადონ ტექსტის წასაკითხად;
- გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება საჭიროა კითხვის პროცესში, რადგან მოსწავლეები ვიზუალური თვალსაჩინოების საშუალებით უფრო ადვილად და სწრაფად დაინახავენ კავშირებს ტექსტში ასახულ მოვლენებს, ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის, გადმოცემული ამბის ან მოვლენების ქრონოლოგიას, აღმოაცენენ და დაიმახსოვრებენ მნიშვნელოვან დეტალებს. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეს, გაიგოს და გაიაზროს ტექსტი.
- ტექსტის წაკითხვის შემდეგ გრაფიკულ მაორგანიზებლებს იყენებენ მასში გადმოცემული ინფორმაციის შეჯამების მიზნით. მისი საშუალებით მოსწავლეები ახერხებენ ტექსტში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების

განსაზღვრას, ინფორმაციის კლასიფიკაციას სხვადასხვა ლოგიკური ნიშნით, ასევე მის დაკავშირებას რეალურ ცხოვრებასთან (ირინა სამსონია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 32).

აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი მოსწავლეები თავად ისწავლიან თუნდაც უმარტივესი სახის გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენებას კითხვის როცესში, ეს მათ დაეხმარება წაკითხულის სრულყოფილად გააზრებაში. და ბოლოს, იმისათვის, რომ გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება რეალურად შედეგისმომტანი იყოს, აუცილებელია მისი სწორად შერჩევა ტექსტის ტიპის მიხედვით.

მეტაკოგნიცია

წაკითხულის გააზრების ხელშეწყობის მიზნით ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ საკუთარი კითხვის პროცესის კონტროლი. წაკითხულის გააზრებას დიდად შუწყობს ხელს, თუკი მოსწავლე კითხვის დროს ყურადღებით დააკვირდება, რისი გაგება გაუჭირდა და მყისიერად გამოიყენებს შესაბამის სტრატეგიას ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. ამიტომ, სასურველია, რომ მასწავლებელმა დაარწმუნოს მოსწავლეები ამგვარი სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობაში და პირდაპირი გზით ასწავლოს, რა სტრატეგიები არსებობს საკუთარი კითხვის პროცესის გასაკონტროლებლად, რა შეთხვევაში რომელი სტრატეგიის გამოყენებაა მიზანშეწონილი კითხვის დროს წარმოქმნილი დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად.

- მოსწავლეები უნდა დაეუფლონ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ კითხვის დროს დაშვებული ხარვეზების იდენტიფიცირებას. ასეთი სტრატეგიებია, მაგალითად: ყველა უცნობი ან რთულად გასაგები ლექსიკური ერთეულის დაფიქსირება, კითხვის პროცესში ტექსტში ასახული მოვლენების, ფაქტების წარმოსახვაში გაცოცხლება. თითოეული აზრის ან შინაარსობლივად დასრულებული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მცირე პაუზის გაკეთება და წაკითხულის შეჯამება; საკუთარი თავისთვის კითხვების დასმა წაკითხულის შესახებ.
- მოსწავლეები უნდა დაეუფლონ კონკრეტულ სტრატეგიებს კითხვის დროს წარმოქმნილი ხარვეზების გამოსასწორებლად. ასეთი სტრატეგიებია, მაგალითად: უცნობი ან რთულად გასაგები ლექსიკური ერთეულების ამოსაცნობად კონტექსტის, გრამატიკული ცოდნის გამოყენება, საჭიროების

შემთხვევაში კი ლექსიკონის ან სპეციალური ლიტერატურის მოძიება და გამოყენება. ხელახლა წაკითხვა გაუგებარი ან ძნელად გასაგები ადგილისა; წაკითხული ტექსტიდან გაუგებარი ან ძნელად გასაგები მონაკვეთის საკუთარი სიტყვებით ხმამაღლა გადმოცემა.

- თუკი კითხვის პროცესს მასწავლებელი უძღვება, მაშინ მას შეუძლია:
 - დაუსვას მოსწავლეს ტექსტთან დაკავშირებული კითხვები როგორც კითხვის დაწყებამდე, ასევე კითხვის პროცესში;
 - კითხვის პროცესში პერიოდულად შეახსენოს მოსწავლეს, რომ დაფიქრდეს, გამართლდა თუ არა მის მიერ გამოთქმული ვარაუდები ტექსტის შინაარსისა და თემის/თემების შესახებ და მისცეს საშუალება, ისაუბროს ამაზე;
 - აუცილებლად დაარწმუნოს თითოეული მოსწავლე, რომ დაბრკოლებების გამო ხელი კი არ უნდა აიღოს კითხვაზე, არამედ გააგრძელოს და შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით გადალახოს სირთულეები (ირინა სამსონია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 33;34).

წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის მნიშვნელოვანია წაკითხულის შეჯამების უნარის გამომუშავებაზე ზრუნვა. აუცილებელია, მოსწავლეებს ეტაპობრივად, სისტემური ვარჯიშებისა და უკუკითხვის გზით ვასწავლოთ, თუ როგორ შეაჯამონ წაკითხული ტექსტი. ამ მიზნის მისაღწევად სასურველია, რომ

- მოსწავლეებს ჯერ ვასწავლოთ ტექსტის შედარებით მცირე მონაკვეთების (მაგალითად, ერთი აბზაცის ან შინაარსობრივად დასრულებული უფრო მცირე მონაკვეთის) შეჯამება. ამის შემდეგ კი ეტაპობრივად შეიძლება გაიზარდოს შესაჯამებელი მონაკვეთების მოცულობა.
- პირველ ეტაპზე გამოვიყენოთ პირდაპირი ინსტრუქციებისა და მოდელირების მეთოდი.
- ტექსტის შეჯამებაში მოსწავლეებს დიდ დახმარებას გაუწევს გრაფიკული მათემატიკის გამოყენება.

(ირინა სამსონია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 34).

საკითხის სრულყოფილად გასააზრებლად ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ კითხვის დასმა წაკითხულის შესახებ და, ამასთანავე,

მასწავლებლის მიერ **დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა**. თუკი მოსწავლეები ისწავლიან, როგორ და რა სახის კითხვები დასვან კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და მისი დასრულების შემდეგ, ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ინტერესს ტექსტის მიმართ და საშუალებას მისცემს, უფრო ღრმად გაიაზრონ იგი. მოსწავლეებში კითხვების დასმისა და მათზე პასუხების გაცემის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს შემდეგი მიდგომები:

- ასწავლოს მოსწავლეებს, თავად დასვან და უპასუხონ სხვადასხვა სირთულის კითხვებს ტექსტის შესახებ, მათ შორის, ისეთებს რომლებზეც პასუხებიც პირდაპირ (ექსპლიციტურად) არის მოცემული ტექსტში და ისეთ კითხვებსაც, რომლებზეც პასუხის გაცემაც მოსწავლისაგან ქვეტექსტის აღქმასა და გარკვეული დასკვნების გაკეთებას მოითხოვს.
- ასწავლოს მოსწავლეებს სტრატეგიები, რომელთა საშუალებითაც ისინი წინასწარ განსაზღვრავენ კითხვების ტიპებს მათი გენერირების დროს და შეაფასებენ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების სირთულესაც იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვს მათგან ამ კითხვაზე პასუხის გაცემა - ექსპლიციტური ინფორმაციის მოძიებას, თუ ტექსტის უფრო ღრმად გააზრებას და მასში არაპირდაპირ (იმპლიციტურად) მოცემული ინფორმაციის გაგებას.

წაკითხულის შესახებ **დისკუსიის წარმართვა** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობაა წაკითხულის გასააზრებლად (ირინა სამსონია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 35).

მოტივაცია წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. მოტივირებულ მოსწავლეს კითხვის პროცესი სიამოვნებას ანიჭებს. ამიტომ იგი დროთა განმავლობაში სულ უფრო კარგად ეუფლება და თავისუფლად იყენებს კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს და, შესაბამისად, კარგად გაიაზრებს წაკითხულს. ჩამორჩენილი მკითხველების პრობლემა კი სწორედ მოტივაციის ნაკლებობაა. ამის გამო მათ ნაკლებად აქვთ გამომუშავებული გააზრებული კითხვის უნარი, ვერ ფლობენ კითხვის ეფექტურ სტრატეგიებს, აქვთ მწირი ლექსიკური მარაგი, რაც ხელს უშლით მათ, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული ტექსტი. ყველაფერი ეს კი ხელს უშლის მათ, გაეცნონ დარგობრივ ტექსტებს, რაც იწვევს მათ აკადემიურ

ჩამორჩენას ყველა საგანში (ირინა სამსონია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 36).

როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია?

კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად კითხვის ზოგიერთი სპეციალისტი გამოყოფს ოთხ უმთავრეს მიდგომას. ესენია: 1) კითხვის მიზნის განსაზღვრა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით; 2) მოსწავლეთა არჩევანის პატივისცემა; 3) საინტერესო საკითხავი მასალის შერჩევა და 4) მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის (მოსწავლეთა სოციალიზაციის) წახალისება.

კითხვის სხვადასხვა კომპონენტის სწავლების დროს გამოყენებული მიდგომებისგან განსხვავებით, მოტივაციის ამაღლება არ გულისხმობს პირდაპირი სწავლების მეთოდის გამოყენებას. ეს არის კითხვის სწავლების თანამდევი პროცესი. მოტივაციის ამაღლებაზე მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს კითხვის ნებისმიერი აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს (ირინა სამსონია „წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 37).

ამრიგად, გზამკვლევაში განხილული კითხვის ხუთივე კომპონენტის გაცნობა, წარმატებული და ჩამორჩენილი მკითხველების ძირითად მახასიათებლებზე დაკვირვება და შემოთავაზებული მეთოდური რეკომენდაციები, აგრეთვე, ლექსიკის დაუფლების, წაკითხულის გააზრებისა და მოტივაციასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ გაცნობა, მნიშვნელოვნად დამეხმარა გაკვეთილები დამეგეგმა ისეთი მეთოდებითა და აქტივობებით, რომლებიც მორგებული იყო მოსწავლეების საჭიროებებსა და ინტერესებზე და ხელს შეუწყობდა წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებას.

კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასებში)

გავეცანი სასწავლო მეთოდური რესურსების კრებულს „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასებში)“. მეთოდური სახელმძღვანელოს მე-6 თავი წაკითხულის გაგება-გააზრებას ეთმობა და პასუხს სცემს შემდეგ კითხვებს:

- რა არის კითხვის მთავარი დანიშნულება?
- რას ნიშნავს წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება და როგორ კითხულობენ ეფექტური მკითხველები?
- როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს გაგება-გააზრების სტრატეგიები?

- რა მეთოდები გამოვიყენოთ გაგება-გააზრებაზე მუშაობის დროს?
- როგორ შევავსოთ გაგება-გააზრების უნარი?

აქვე ვეცნობით გაგება-გააზრების მეთოდების/აქტივობების ცხრილს და ეფექტური აქტივობების ჩამონათვალს წაკთხვამდე, კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ.

ტექსტის გაგებასთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული წარმოდგენა ასეთია: თუ სიტყვები იცი, წინადადებებსაც გაიგებ. რასაკვირველია, სიტყვების გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექსტის გააზრების პროცესში. თუმცა ეს საკმარისი არ არის. კითხვა გააზრების გარეშე კითხვა არ არის. არსებობენ ისეთი ბავშვები, რომლებიც სწორად კითხულობენ სიტყვებს, მაგრამ ვერ გვპასუხობენ რა წაიკითხეს. ამ მოვლენას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს:

- ✓ გაუწავავი კითხვა;
- ✓ მოტივაციის არქონა;
- ✓ მოსწავლის კითხვის დონესა და ტექსტის კითხვადობას შორის შეუსაბამობა.

წაკითხვისა და გააზრების პროცესები მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული და ერთდროულად მიმდინარეობს. ამ ორ დიდ კომპონენტს შორის განსხვავებას გაწაფული მკითხველები ვერ ვგრძნობთ და კითხვა ერთიანი, განუყოფელი პროცესი გვგონია. პატარა მკითხველებისთვის კი სიტყვების ამოკითხვასა და ტექსტის გააზრებას შორის კავშირი ასეთივე მკაფიო და თავისთავადი სულაც არ არის. მათი ძალისხმევა ძირითადად დეკოდირების პროცესზეა მიმართული. ამიტომ, სანამ სიტყვების ამოცნობაში გაიწაფებიან, გააზრებისა და ინტერპრეტაციისათვის ნაკლები ენერგია რჩებათ (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)“, 2015 წ; გვ. 211)

სიტყვების ამოცნობის უნარის გაწაფვა (სწრაფი დეკოდირება და მნიშვნელობის მინიჭება) კარგი კითხვის უმნიშვნელოვანესი საყრდენია. თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მთავარია, მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა ტიპის ტექსტიდან აზრის გამოტანა. საკუთარ გონებაში წარმოდგენების კონსტრუირება და იმის გაცნობიერება, თუ რას ეუბნება ავტორი მკითხველს (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)“, 2015 წ; გვ. .211)

გაგება-გააზრება კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე კომპონენტია.

მოკლედ რომ ვთქვათ, იგი წაკითხულიდან აზრის გამოტანაა. ერთი შეხედვით, ეს მარტივ მოქმედებად აღიქმება. მაგრამ პროცესი საკმაოდ რთულია და მისი სწავლება, სწავლა და პრაქტიკაში გადატანა ადვილი არ არის. გაგება-გააზრება ნებელობითი (შეგნებული), აქტიური, ინტერაქტიული (იგულისხმება ინტერაქცია ავტორთან) პროცესია. ის იწყება წაკითხვამდე, მიმდინარეობს კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგაც გრძელდება. არსებობს გაგება-გააზრების სხვადასხვა დონე: **სიტყვასიტყვითი, ანალიტიკური და შეფასებითი**. მკითხველი იაზრებს ტექსტში მოცემულ ექსპლიციტურ, ფაქტობრივ ინფორმაციას და ასევე იმპლიციტურ, ტექსტში დაფარული სახით არსებულ ინფორმაციას (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)“, 2015 წ; გვ. 212)

როცა ბავშვი კითხულობს მის გონებაში სინქრონულად მუშაობს რამდენიმე „პროცესორი“:

- ანბანური/ორთოგრაფიული პროცესორი;
- ფონოლოგიური პროცესორი;
- სემანტიკური პროცესორი;
- სინტაქსური (გრამატიკული) პროცესორი;
- კონტექსტური პროცესორი.

გაწაფული მკითხველის გონებაში კითხვის ტექნიკურ მხარეზე პასუხისმგებელი პროცესორები იმდენად სწრაფად და ხარისხიანად მუშაობენ, რომ მკითხველს გააზრებისათვის საუკეთესო წინაპირობას უქმნიან. გაგება-გააზრების სიღრმესა და სიცხადეს სემანტიკური და კონტექსტური პროცესორების ინტენსიური შეთანხმებული მუშაობა განაპირობებს. თუ რომელიმე პროცესორი შეფერხდა სააზროვნო ენერგია ასო-ბგერებისა და სიტყვების დამუშავებაზე იხარგება, რაც შინაარსში წვდომისათვის საჭირო ენერგიას სხვა პროცესებისკენ მიმართავს (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)“, 2015 წ; გვ. 212)

ამრიგად, ტექსტის გასაგებად მკითხველმა მასში გამოყენებული სიტყვები უნდა გაიგოს, თუ ცალკეული სიტყვები გაუგებარია, მთლიანი ტექსტიც გაუგებარი დარჩება. ამასთანავე, ბავშვმა უნდა შეძლოს მათი ლოგიკური მსჯელობით ურთიერთდაკავშირება და გამთლიანება. სწორედ ეს განაპირობებს ტექსტის გაგება-

გააზრებას და ამიტომაც საჭირო, რომ ბავშვებმა უწყვეტად გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)“, 2015 წ; გვ.212)

ცნობილია, რომ ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული მკითხველები იყენებენ გააზრების სტრატეგიებს. ესენია: შეკითხვების დასმა და პასუხების ძებნა, ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება, შეჯამება, წარმოსახვაში გაცოცხლება, გაგების მონიტორინგი და სხვა (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)“, 2015 წ; გვ. 212).

პატარა მკითხველები გაგება-გააზრების უნარს ადვილად, სწრაფად და თავისთავად ვერ ეუფლებიან. წაკითხულის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება ხანგრძლივად ისწავლება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტექსტების კითხვასთან ერთად გაგება-გააზრებაც თავისთავად გადრმავდება. სამწუხაროდ, ხშირად ასე არ ხდება. გააზრების უნარ-ჩვევებს/სტრატეგიებს შევსება, გამდიდრება, გაძლიერება და უწყვეტი გადახალისება სჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტს გააზრების განსხვავებული სტრატეგიები მიესადაგება. მხატვრული, თხრობითი ტექსტების გააზრება განსხვავდება საბუნებისმეტყველო ტექსტების გააზრებისაგან, რომელიც, თავის მხრივ, განსხვავდება საგაზეთო სტატიის გააზრებისაგან და ა. შ. ასე რომ, გაგება-გააზრების ათვისება მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის, სიღრმის და დიაპაზონის ტექსტებს კითხულობს ადამიანი.

გაგება-გააზრებაზე ოთხი ფაქტორი ზემოქმედებს, ესენია: 1) მკითხველი, 2) ტექსტი, 3) მიზანი და 4) სიტუაციური კონტექსტი/გარემო.

წაკითხულის გააზრება სამ სხვადასხვა დონეზეა შესაძლებელი: ა) სიტყვასიტყვით გაგების დონეზე, ბ) ანალიზისა და დასკვნის გამოტანის (ჩაწვდომის) დონეზე და გ) კრიტიკული შეფასების დონეზე. შესაბამისად, მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტის მრავალმხრივი ინტერპრეტაცია, რაც მოითხოვს:

- ნაცნობი სიტყვების ავტომატურად ამოცნობას და მათი მნიშვნელობის გახსენებას;
- უცნობი სიტყვების სწრაფად დეკოდირებას;
- კონტექსტური მნიშვნელობების/გასაღებების ამოცნობას და გამოყენებას;

- წინადადებებში გადმოცემული აზრების ერთმანეთთან დაკავშირებას;
- ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის დაკავშირებას საკუთარ გამოცდილებასთან;
- წაკითხულის გასააზრებლად ისეთი სტრატეგიების გამოყენებას, როგორიცაა: ვიზუალიზება, შეჯამება, მთავარი იდეის გამოკვეთა, ტექსტის ნაწილებს შორის მიმართების დადგენა, სხვადასხვა დონის კითხვების დასმა, დასკვნების გაკეთება, ვარაუდების გამოთქმა და სხვა.

ზოგიერთი მოსწავლე გარკვეულ სირთულეებს აწყდება წაკითხულის გააზრებაში, ამიტომ საჭიროა გამოვარკვოთ ამ სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები, რათა შევიძუშაოთ სწორი სტრატეგიები/მიდგომები და გამოვიყენოთ შესაბამისი მეთოდები მათ აღმოსაფხვრელად.

მეთოდური ლიტერატურიდან ვიგებთ, რომ „მკითხველი, რომელიც წაკითხულის გააზრების ძლიერი უნარებით გამოირჩევა, კითხვისას მრავალ კოგნიტურ სტრატეგიას იყენებს, როგორიცაა წარმოდგენა და წარმოსახვა-წაკითხული სცენების, მოქმედებების, გმირების, სიტუაციების ვიზუალიზება. ტექსტის წაკითხვისას ებადება კითხვები, და ცდილობს, ამ კითხვებზე პასუხების გაცემას, კითხვისას აკონტროლებს, რა გაიგო და რა -ვერა, წაკითხულს კრიტიკულად იაზრებს, შეუძლია ტექსტში გადმოცემული ძირითადი აზრების შეჯამება და ვარაუდების გამოთქმა. ყოველივე ზემოთქმულის განსახორციელებლად კარგი მკითხველი შეიძლება ხშირად დაუბრუნდეს წაკითხულ ეპიზოდებს და კითხვის მიზნების შესაბამისად ცვალოს კითხვის სტრატეგიები“ (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)“, 2015 წ; გვ. 213; 214)

მეთოდურ ლიტერატურაში ჩვენ ვეცნობით, რომ „პირველი საბაზისო დონეა სიტყვასიტყვით აზრის გაგება. ამ დონეზე მკითხველს შეუძლია წაკითხული ტექსტიდან ფაქტობრივ ინფორმაციის ამოღება (სად ხდება მოქმედება, რა ჰქვია მთავარ გმირს, რა პროფესიისაა და ა. შ.).

ანალიტიკური კითხვის დონეზე მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნების გამოტანა, მაგ: პერსონაჟი დაახასიათოს მისი მეტყველების და ქცევის მიხედვით. ამ დროს, გარდა იმისა, რომ მკითხველი აკეთებს დასკვნებს, შეუძლია ტექსტში მოცემული ინფორმაციის

საფუძველზე შემდგომი მოვლენებიც ივარაუდოს. კარგი მკითხველები ცდილობენ გამოკვეთონ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, გამოიტანონ დასკვნები მათი მიზეზებისა და შესაძლო შედეგების შესახებ. ეს აუცილებელი უნარებია ტექსტის გასააზრებლად. ვინაიდან ავტორი ყველა დეტალს ვერ გააშუქებს, ხშირად ის არაპირდაპირი, იმპლიციტური სახით გვაწვდის იდეებს თითოეული დეტალის საგანგებო აღწერისა და ახსნა-განმარტების გარეშე.

კრიტიკული კითხვა კი ის დონეა, როცა მკითხველს წაკითხულის გააზრებასთან ერთად მისი შეფასებაც შეუძლია, მაგ: შეუძლია აზრი გამოთქვას ავტორის მიზნის, ჩანაფიქრის, სტილის, იდეისა თუ თვალთახედვის შესახებ. აგრეთვე, შეუძლია წაკითხული ტექსტის ძირითადი აზრის გამოკვეთა, მისი სხვა ავტორების იდეებთან შედარება და საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრა“ (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)“, 2015 წ; გვ. 214) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წაკითხულის გააზრება სამ სხვადასხვა დონეზეა შესაძლებელი. მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი რიგ სირთულეებს აწყდება წაკითხულის გააზრებაში. ამიტომ საჭიროა მიმოვიხილოთ ამ სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები, რათა შევიძუშაოთ სწორი სტრატეგიები/მიდგომები და გამოვიყენოთ შესაბამისი მეთოდები მათ აღმოსაფხვრელად.

სახელმძღვანელოში გვაწვდიან ინფორმაციას გაგება-გააზრების სწავლების ზოგადი პრინციპების შესახებაც. გაგება-გააზრების უნარი ყველაზე უკეთ ვითარდება, როცა მასწავლებელი მას ექსპლიციტურად - ჩვენების, ახსნისა და მართული პრაქტიკის გზით ასწავლის მოსწავლეებს. გაგება-გააზრების სწავლება-სწავლის პროცესს აძლიერებს:

- ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიების სწავლება;
- ტექსტზე ფოკუსირებული დისკუსიების მოსწავლეებს შორის;
- თანამშრომლობითი სწავლა წყვილებსა და მცირე ჯგუფებში;
- ადეკვატური, მაგრამ განსხვავებული სირთულის, სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებთან მუშაობა;
- ლექსიკური მარაგის აქტივობების ინტეგრირება გააზრების აქტივობებში;
- წერითი აქტივობების გამოყენება ტექსტის გააზრების ინსტრუმენტების სახით.

აქვე ვეცნობით, რომ გაგება-გააზრების სტრატეგია არის ნაბიჯების განსაზღვრული თანმიმდევრობა, ანუ პროცედურა, რომელსაც კარგი მკითხველები მიზნობრივად და შეგნებულად იყენებენ ტექსტიდან აზრის გამოსატანად. გაგების სტრატეგიების სწავლება ეხმარება მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს აქტიურ, მიზანზე ორიენტირებულ მკითხველად, რომელიც კითხვის დროს აკონტროლებს იმას, თუ რა და როგორ გაიგო. ჩვენთვის ცნობილია სტრატეგიების ჩამონათვალი, რომლებიც გაგება-გააზრებას საგრძნობლად აუმჯობესებს. ასევე ვიცით გაგება-გააზრების სწავლების გზა-ექსპლიციტური სწავლება. ექსპლიციტური სწავლება გულისხმობს, რომ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ რატომ და როდის ვიყენებთ სტრატეგიებს, რომელ სტრატეგიებს ვიყენებთ და როგორ ვიყენებთ. ექსპლიციტური სწავლება ოთხ საფეხურს მოიცავს: პირდაპირი ახსნა-განმარტება, მასწავლებლის მიერ მოდელის/მაგალითების ჩვენება, მართული პრაქტიკა/ვარჯიში და დამოუკიდებლად გამოყენება. გაგება-გააზრების სტრატეგიების ეფექტურად სწავლება შეიძლება განხორციელდეს თანამშრომლობითი სწავლით, რაც მოსწავლეების წყვილებსა და მცირე ჯგუფებში მუშაობას გულისხმობს.

მეთოდურ ლიტერატურაში გავცანი გააზრების უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების ნაბიჯ-ნაბიჯ დანერგვის მოდელს, „ხმამაღალი ფიქრის“ ტექნიკის გამოყენებას გაგება-გააზრების სწავლებისას. გააზრების სტრატეგიების სწავლების მიზნით, გავცანი ხმამაღალი ფიქრის ტექნიკის გამოყენების ნიმუშს კონკრეტული ტექსტის მაგალითზე (ჯანი როდარის „ტროლეიბუსი #75). ნიმუშის მიხედვით გავიგე, თუ როგორ ატარებს მასწავლებელი წინარე ცოდნის გააქტიურების, ვარაუდების გამოთქმისა და ვიზუალიზების სტრატეგიების მოდელირების მინიგაკვეთილს ხმამაღალი ფიქრის გამოყენებით.

ცნობილია, რომ გაგება-გააზრების ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია არის შეკითხვების-დასმა და პასუხების ძიება. კარგი მკითხველები საკუთარ თავს უსვამენ შეკითხვებს წაკითხვამდე, კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ. ეს შეკითხვები საშუალებას აძლევს მკითხველს, თვალყური ადევნოს ტექსტის შინაარსს, სტრუქტურას და ენობრივ მახასიათებლებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა გაგება-გააზრების უნარის განსავითარებლად გასათვალისწინებელია შემდეგი რჩევები:

1. დაუსახეთ წაკითხვის მიზანი;
2. შეარჩიეთ შესაფერისი ტექსტები;

3. გამოიყენეთ ხმამაღლა ფიქრი;
4. დასვით „რატომ?“ შეკითხვები;
5. ასწავლეთ ტექსტის ტიპები და სტრუქტურა;
6. გაუმდიდრეთ მოსწავლეებს ლექსიკური მარაგი;
7. დააკავშირეთ კითხვა წერასთან;
8. ხშირად გამართეთ დისკუსიები, ასაუბრეთ მოსწავლეები წაკითხულის შესახებ;
9. მიაჩვიეთ მოსწავლეები გაგება-გააზრების მონიტორინგს;
10. ასწავლეთ მოსწავლეებს ვიზუალური სქემების/გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება;
11. დააკვირდით, თვალყური ადევნეთ და შეაფასეთ (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)“, 2015 წ; გვ. 223; 224).

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი გაგება-გააზრების სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები/აქტივობები დამეხმარა სწავლა-სწავლების პროცესის ისე წარმართვაში, რომ დავხმარებოდი მოსწავლეს კითხვის უნარების, კერძოდ, გაგება-გააზრების უნარის განვითარებაში.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი

წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარება ერთგვარი წინაპირობაა წიგნიერებისა და, ზოგადად, წარმატების მიღწევისა საგანმანათლებლო სივრცეში. ვინაიდან კითხვასთან დაკავშირებულ საკითხებს ძირითადად საგაკვეთილო პროცესის დროს უნდა მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება, ამიტომ გადავწყვიტე, გავცნობოდი იმ მეთოდურ ლიტერატურას, რომელშიც მოცემულ მეთოდებს/აქტივობებსა და მიდგომებს გამოვიყენებდი გაკვეთილზე მოსწავლეთათვის წაკითხული ტექსტის უკეთ გაგება-გააზრების გზების სწავლებისათვის. კერძოდ, გავეცანი მეთოდურ სახელმძღვანელოს - „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი“, რომელიც გამოცემულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2010 წელს. სახელმძღვანელოში შემოთავაზებული კითხვის მეთოდები: „როლური კითხვა“,

„ურთიერთდახმარება“, „ტექსტის კითხვა წყვილებში, მასალის გამთლიანება“, „მონიშვნებით კითხვა“, „ტექსტის კითხვა ნიშანთა სისტემით“, „ორმხრივ ჩანაწერთა დღიური“, „გამოკრებითი კითხვა“, „მართული (პაუზებით) კითხვა“, მოვარგე ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკას და საჭიროებიდან გამომდინარე გამოვიყენე გაკვეთილზე. თითოეული მეთოდი ხელს უწყობს კითხვის სხვადასხვა უნარის განვითარებას.

გავეცნოთ კითხვის ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდს: **მართული (პაუზებით) კითხვა** (ორი ვარიანტი).

პაუზებით კითხვა 1

პაუზებით კითხვის მეთოდი რთული ტექსტების დასამუშავებლად გამოიყენება და ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართვას კითხვის პროცესში, რათა მოსწავლემ გაიაზროს და დაამუშაოს რთული ტექსტი მასწავლებლის დახმარებით.

მოსწავლეები ამ სტრატეგიის გამოყენებისას სწავლობენ: წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას, ტექსტის წაკითხვასა და გაანალიზებას; არგუმენტირებულ მსჯელობას; დასკვნების გამოტანასა და წაკითხულის შეჯამებას; ლოგიკურ აზროვნებას; სხვისი აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

მსვლელობა:

1. მოსწავლეებისთვის უკვე ნაცნობი ტექსტი წინასწარ რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი;
2. მოსწავლეებს აუხსენით, რომ ტექსტი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად და ასევე ნაწილ-ნაწილად უნდა წაიკითხონ. ყოველი ნაწილის შემდეგ უნდა შეჩერდნენ.
3. მოსწავლეებს წააკითხეთ ჯერ პირველი ნაწილი და მიეცით დავალება. მაგ: „ხაზი გაუსვით უცხო სიტყვებს“; „ამოიწერეთ ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი“ და ა. შ. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ყურადღებით წაიკითხონ პირველი ნაწილი.
4. პირველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ გამართეთ კლასში მსჯელობა შეკითხვებზე: „ვის შეუძლია განმარტოს...“ „გთხოვთ, გადმოსცეთ ტექსტის ეს ნაწილი ტქვენი სიტყვებით“ და ა. შ.
5. მოსწავლეებს სთხოვეთ, უპასუხონ დასმულ კითხვებს: „თქვენ როგორ განავითარებდით მოვლენებს?“ „რატომ?“, „რატომ განავითარა ავტორმა მოვლენები ასე და არა სხვაგვარად?“ და ა. შ.

6. აზრის გამოთქმის შემდეგ, მოსწავლეებს სთხოვეთ, წაიკითხონ მეორე ნაწილი.
7. ასე განაგრძეთ მანამ, სანამ ტექსტს ბოლომდე არ წაიკითხავთ.
8. ტექსტის ნაწილ-ნაწილ დამუშავების დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შეკითხვები დაუსვით. მაგ: „რა არის ნაწარმოების მთავარი აზრი?“, „როგორ შეაფასებდით გმირის საქციელს?“, „თქვენ მის ადგილზე როგორ მოიქცეოდით?“, რატომ ფიქრობთ ასე?“ და ა. შ.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

- სასურველია, წინასწარ მომზადდეს ტექსტი, რომელიც რამდენიმე ნაწილად ისეა დაყოფილი, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ პაუზებთან შეჩერება;
- სანამ მოსწავლეები ამ მეთოდით მუშაობას შეეჩვევიან, ტექსტი არ უნდა იყოს დიდი;
- წინასწარ განსაზღვრეთ დრო დისკუსიისათვის.

მეთოდი ავითარებს: კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების უნარებს; მისი გამოყენება მიზანშეწონილია მეორე კლასის მეორე ნახევრიდან („დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010 წ. გვ. 46; 47).

პაუზებით კითხვა 2

პაუზებით კითხვის ეს მეთოდი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს დაეხმაროს მოსწავლეს რთული ტექსტის გაგებასა და გააზრებაში. მოსწავლეები ამ მეთოდის დახმარებით სწავლობენ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას, ვარაუდების გამოთქმას, ტექსტის გააზრებას, მსჯელობას, კითხვის დასმას, წაკითხულის შეჯამებას, სხვისი აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

მსვლელობა:

1. დასამუშავებელი ტექსტი წინასწარ ნაწილებად ისე დაყავით, რომ წყვეტა საკვანძო სიტყვებთან მოხდეს. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ შემდეგ მონაკვეთებში მოცემული სიუჟეტის შესახებ წინასწარი ვარაუდების გამოთქმა;

2. ტექსტის პირველი ნაწილის წაკითხვამდე გაამახვილეთ მოსწავლეების ყურადღება ნაწარმოების სათაურზე. დაუსვით შეკითხვა, მათი აზრით, სათაურიდან გამომდინარე, რაზე იქნება საუბარი ამ ნაწარმოებში;
3. მოსწავლეებს განუმარტეთ, რომ მათ მონაკვეთებად დაყოფილი ტექსტი უნდა წაიკითხონ და ყოველი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ შეჩერდნენ და გამოთქვან ვარაუდი, რა მოხდება შემდეგ მონაკვეთში. მოსწავლეებმა უნდა ახსნან კიდეც, თუ რას ეფუძნება მათი ვარაუდი;
4. სთხოვეთ მოსწავლეებს, II გრაფაში ჩაწერონ, რა მიანიშნებთ იმაზე, რაზე დაყრდნობით გაუჩნდათ აღნიშნული ვარაუდი;
5. გრაფის შევსების შემდეგ მოსწავლეებს სთხოვეთ, წაიკითხონ მომდევნო მონაკვეთი;
6. კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა III გრაფაში უნდა ჩაწერონ, თუ რა მოხდა სინამდვილეში;
7. ასე გაიმეორეთ აღწერილი ნაბიჯები, ვიდრე მოსწავლეები ტექსტის უკანასკნელ მონაკვეთს არ წაიკითხავენ;
8. კითხვის დასრულების შემდეგ მოისმინეთ მოსწავლეთა მოსაზრებები. დაუსვით კითხვები: „რას ფიქრობთ წაკითხულის შესახებ და რატომ?“ „რას გრძნობთ?“ შეეცადეთ, მოსწავლეებმა თავადაც დასვან შეკითხვები. დაეხმარეთ მათ ფორმულირებაში. კამათი და დისკუსია მოსწავლეთა ჩანაწერების მიხედვით წარმართეთ.

ვარაუდების სქემა

	როგორ ფიქრობთ რა მოხდება?	რა მიგანიშნებთ ამაზე?	სინამდვილეში რა მოხდა?
ნაწილი I			
ნაწილი II			
ნაწილი III			

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

სასურველია წინასწარ მომზადდეს ტექსტი, რომელიც რამდენიმე ნაწილად ისეა დაყოფილი, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ პაუზებთან შეჩერება და არ გადავიდნენ დროზე ადრე შემდეგ ნაწილებზე;

სასურველია ტექსტი იყოს უცნობი და სირთულით შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ლექსიკურ მარაგს.

ამ სტრატეგიის გამოყენება შეიძლება როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში მუშაობისას.

მეთოდი ავითარებს კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების უნარებს; მისი გამოყენება მიზანშეწონილია მესამე კლასიდან („დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010 წ. გვ. 48; 49).

კითხვის ეფექტური მეთოდები

გავეცანი მეთოდურ გზამკვლევს - „კითხვის ეფექტური მეთოდები“, რომელიც გამოცემულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2010 წელს. მეთოდური ლიტერატურა დამეხმარა როგორც წიგნიერებაზე ორიენტირებული საკლასო გარემოს მოწყობაში, ასევე კითხვის სწავლებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის ორგანიზებაში. გავეცანი ეფექტური მკითხველის რამდენიმე მნიშვნელოვან მახასიათებელს და, იმასაც, თუ როგორ შევუწყოთ ხელი თითოეული მახასიათებლის განვითარებას. მოგეხსენებათ, წიგნიერების განვითარების ძირითადი ასპექტებია:

- ზეპირი მეტყველება;
- წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების ცოდნა;
- ფონეტიკური ცოდნა/ანბანის ცოდნა;
- ლექსიკური მარაგი/სიტყვების ცოდნა;
- გამართული კითხვა (უშეცდომოდ, სათანადო სიჩქარით, გამომეტყველებით);
- გაგება/გააზრება/მნიშვნელობის კონსტრუირება.

თითოეული კომპონენტის მიმართულებით მუშაობა აუმაღლებს მოსწავლეთა კითხვის უნარ-ჩვევებს, თუმცა, „ტექსტის შინაარსის გაგება და მნიშვნელობის კონსტრუირება კითხვის უმთავრესი ამოცანაა. თუ მკითხველი კითხულობს სიტყვებს, მაგრამ ვერ იგებს წაკითხულის აზრს, კითხვის პროცესი უშედეგოდ მიმდინარეობს. ტექსტის გაგება მასში გადმოცემული აზრების/იდეების გაცნობიერებასა და გონებაში გამთლიანებას გულისხმობს. როცა მოსწავლე კითხვის პროცესში აკვირდება გაგების პროცესს, მან იცის, რა გაიგო და რა ვერ გაიგო. კვლევა და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ადრეული ასაკიდან მოყოლებული, მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი გაგების

მონიტორინგი და ამ მიზნით სპეციალური სტრატეგიების გამოყენება. ამისათვის მასწავლებელმა დემონსტრირების მეთოდი და სწავლების ეფექტური აქტივობები უნდა გამოიყენოს. მასწავლებლები მიმართავენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: ვარაუდების გამოთქმა, შეკითხვების დასმა, წინარე ცოდნის გააქტიურება, კავშირების დამყარება, ერთობლივი კითხვა, ორიენტირებული კითხვა და ა. შ“ („კითხვის ეფექტური მეთოდები“ (სასწავლო მეთოდური ფილმი და გზამკვლევი) გვ.14). გზამკვლევში გავეცანი ექვს მეთოდს: დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა; ორიენტირებული კითხვა; მკითხველთა თეატრი; დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე; მნიშვნელოვანი სიტყვები; ურთიერთსწავლება. თითოეული მათგანი რამდენიმე აქტივობის შესრულებას მოითხოვს და მათში ინტეგრირებულია საუბარი და წერა. მეთოდის შერჩევა შესაძლებელია კითხვის ასპექტების სამიზნე უნარების მიხედვით, რადგან თითოეული მეთოდი რომელიმე კონკრეტული უნარის/უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

ამრიგად, სასწავლო მეთოდური ფილმისა და მისი გზამკვლევის გაცნობამ საშუალება, მომცა უკეთ გამეაზრებინა კითხვის მნიშვნელობა ქართულის გაკვეთილზე, გამომეკვეთა ეფექტური კითხვის ძირითადი მახასიათებლები და უკეთ დავუფლებოდი გააზრებული კითხვის სწავლების რამდენიმე მეთოდს.

კითხვის ეფექტური მეთოდები 2

გავეცანი 2011 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ მეთოდურ სახელმძღვანელოს - „კითხვის ეფექტური მეთოდები 2“ და სასწავლო მეთოდურ ფილმს. მეთოდურ მასალაში მოცემული სტრატეგიები, მეთოდები/აქტივობები დამეხმარა უფრო ეფექტური გამეხადა სწავლა-სწავლების პროცესი და შემექმნა წიგნიერებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. აღნიშნულ სახელმძღვანელოში წარმოდგენილია 5 მეთოდი, ესენია: „ორიენტირებული მოსმენა და აზროვნება“, „ტექსტის ჩარჩო“, „კითხვა და გაგება წყვილებში“, „სიტყვათა კლასიფიკაცია“, „სილუეტური თოჯინების თეატრი“. გზამკვლევიდან მივიღე ინფორმაცია თითოეულ მეთოდთან დაკავშირებით, თუ რა უნარების განვითარებას უწყობს ხელს ამ თუ იმ მეთოდის გამოყენება გაკვეთილზე, რომელი მეთოდი როგორი ტიპის ტექსტისათვის გამოგვადგება, ასევე მეთოდის მიმდინარეობას, გამოყენებასა და მსვლელობას სასწავლო პროცესში.

ზემოთ დასახელებული მეთოდები დამეხმარა გაკვეთილის შემოქმედებითად დაგეგმვასა და წარმართვაში. სახელმძღვანელოში მითითებული რეკომენდაციები გამომადგა სასწავლო პრაქტიკაში. გაკვეთილზე შევძელი წარმოდგენილი მეთოდების ეფექტურად დანერგვა. გაგაცნობთ ერთ-ერთ მეთოდს:

კითხვის ეფექტური მეთოდი ორიენტირებული მოსმენა და აზროვნება

შესავალი

„მოსწავლის ცოდნის დიდი ნაწილი მოსმენის გზით არის მიღებული. მოსმენის გამოცდილება ყალიბდება ყოველდღიური საქმიანობით, რაც აზროვნების განვითარების საფუძველს ქმნის. აზროვნება შეგრძნებების, აღქმის, წარმოდგენების გზით ვითარდება და აზრთა შეჯერება-შეპირისპირების, მსჯელობისა და დასკვნების გამოტანის პროცესია.

აზროვნების მეშვეობით, მოზარდი საგნებსა და მოვლენებს შეადარებს, განაზოგადებს, რითაც გარეგანი თუ შინაგანი მოქმედების ერთიან სისტემას ქმნის და ამ გზით იღებს ცოდნას. მოზარდი სწავლობს სწორედ აზროვნებისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებით, რის შედეგადაც უყალიბდება უფრო რთული შემეცნებითი უნარები. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული მოსმენის უნარი.

მეთოდის შესახებ

კითხვის ძირითადი მიზანი წაკითხულის გაგება, ტექსტის შინაარსის გააზრება, მასში გადმოცემული აზრის მნიშვნელობის კონსტრუირება და მიღებული ინფორმაციის შეფასებაა. ამ მიზნის მისაღწევად, ძალზე ეფექტურია ორიენტირებული მოსმენისა და აზროვნების მეთოდი. აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით აქტუალური და მოსახერხებელია მოსწავლეთათვის, რომელთაც ამ ასაკიდან უყალიბდებათ მოსმენის, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევები. მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ კლასში დაწყებით საფეხურზე, რადგან ის ეფუძნება ორიენტირებული კითხვის მეთოდს (იხ. „კითხვის ეფექტური მეთოდები“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010) და შესაძლებელია მათი ურთიერთჩანაცვლება ასაკობრივი საფეხურის შესაბამისად.

ორიენტირებული მოსმენისა და აზროვნების მეთოდი ხმამაღლა კითხვის აქტივობით წარმართება. მოსწავლეებისათვის უფროსების მიერ ხმამაღლა კითხვა

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტივობას წარმოადგენს კითხვაში წარმატების მისაღწევად.

„ბავშვებისათვის ხმამაღლა კითხვა საუკეთესო საშუალებაა კითხვის სწავლების რეკლამირებისათვის, რადგანაც რეალური შედეგი მოაქვს. აქტივობა მოზარდს საშუალებას აძლევს, კითხვით მიღებული სიხარული განიცადოს და დარწმუნდეს, რომ კითხვა სასიამოვნო საქმიანობაა და არა დამტანჯავი და მოსაწყენი.“ (ჯიმ ტრელიზი, „ახალი სახელმძღვანელო ხმამაღლა კითხვისათვის“(1982))

ხმამაღლა კითხვას ბევრი დადებითი შედეგი აქვს, კერძოდ:

- ✚ ავითარებს კითხვისა და საუბრის უნარ-ჩვევებს;
- ✚ აუმჯობესებს მოსმენის უნარსა და ხარისხს;
- ✚ ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს
- ✚ აღვიძებს ცნობისმოყვარეობას და შთაგონებას;
- ✚ განავრცობს გამოცდილებებს.

მოზარდი იძენს ცოდნას, აცნობიერებს საკუთარ ფიქრებსა და გრძნობებს ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის მიმართ. მეთოდი ხელს უწყობს შემდეგი სააზროვნო, საკომუნიკაციო და კვლევითი უნარების განვითარებას:

- ✚ მეტყველება, წარმოსახვა, თავისუფალი მსჯელობა, შემოქმედებითობა;
- ✚ საკუთარი და სხვა ადამიანის ემოციების ამოცნობა და გამოხატვა;
- ✚ არჩევანის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა.

მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეები შეძლებენ:

- ✚ გააცნობიერონ საკუთარი აზრის გამოხატვის მნიშვნელობა და ღირებულება;
- ✚ შეიძინონ თავდაჯერებულობა მეტყველებისას, რათა გახდნენ წარმატებული მოსაუბრენი;
- ✚ გამოიყენონ სათანადო ლექსიკა;
- ✚ გახდნენ ყურადღებიანი მსმენელები და დამოუკიდებელი მკითხველები.

მეთოდი საშუალებას იძლევა მოსწავლემ მიაღწიოს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ მიზნებსა და შედეგებს, კერძოდ:

- მოსწავლე ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას, სწორად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში (მოსმენა და საუბარი);

- მოსწავლე ისმენს და იგებს მცირე ზომის ტექსტებს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებებს (მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა).

მეთოდის მიმდინარეობა

ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლე უშუალო გამოცდილებაზე დაყრდნობით ახდენს. ამ დროს იგი არა მარტო ახალ ცოდნას იძენს, არამედ უკვე არსებულ ცოდნასაც ამუშავებს. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება აქვთ იმისათვის, რომ დამოუკიდებლად იფიქრონ, შეაფასონ, გადაჭრან პრობლემა, შეძლონ და საკუთარი პოზიცია არგუმენტებით განამტკიცონ.

„ბავშვი მხოლოდ კონკრეტულ პრობლემასთან ჭიდილში, რთული სიტუაციიდან გამოსავალი გზების ძიების დროს ფიქრობს“ (ჯონ დიუი).

მეთოდი გულისხმობს მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტთან მუშაობას, რაც მოსწავლეს ეხმარება, ორიენტირებული იყოს აქტიური მოსმენისა და აზროვნების პროცესზე. განსაზღვროს კითხვის მიზანი, ამოიცნოს, გააცნობიეროს, შეისწავლოს და შეაფასოს მოცემული ინფორმაცია. ეს ყოველივე აუმაჯობებს წაკითხულის გააზრებას და ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას. მოსწავლე ინფორმაციის პასიური მიმღებიდან აქტიურ მსმენელად იქცევა, რაც შემდგომ მას „მკვლევარად“ აყალიბებს.

მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ჩასატარებელი სამუშაოს მიზანი და გეგმა, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ მიზნის განხორციელება, კერძოდ:

- ✚ რა ტექსტს შეარჩევს წასაკითხად;
- ✚ რა უნდა ასწავლოს ამ ტექსტის დახმარებით;
- ✚ რა კავშირი უნდა დამყარდეს მოცემულ ტექსტსა და მოსწავლეებში არსებულ ცოდნას შორის;
- ✚ როგორ უნდა გამოიყენოს ტექსტი, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარ-ჩვევის განვითარებას;
- ✚ რა სიტყვების, ცნებების ცოდნაა საჭირო და რომელი სიტყვების სწავლა დასჭირდებათ.

მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას გულდია, თავისუფალი გარემო, თანამშრომლობის ატმოსფერო, სადაც ყველა აზრი საინტერესო, მისაღები და მნიშვნელოვანია, სადაც ერთმანეთისაგან სწავლობენ და მთავარი მიზანი საქმის კეთებაა. მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს აქტიური მსმენელის როლში, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრას. მასწავლებელი, შესაძლებელია, დაეხმაროს მოსწავლეს ისეთი სიტუაციის აღწერაში, რომლის გადმოცემაც მოსწავლეს ეძნელება. დაუსვას ისეთი დამატებითი კითხვა, რომელიც „სწორ გეზს“ მისცემს და გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება.

მეთოდის განხორციელებისას, მასწავლებელმა, სასურველია, გაითვალისწინოს შემდეგი რჩევები:

- ✚ შეარჩიოს საინტერესო ტექსტი, რათა მიიზიდოს მოსწავლეთა ყურადღება, განავრცოს მათი წარმოსახვა და ფანტაზია;
- ✚ კითხვის დროს იყოს არტისტი, ცვალოს ხმის ტონი და ინტონაცია, ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებზე;
- ✚ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს წაკითხულის შესახებ მოსწავლეთა გამოხმაურებასა და რეაგირებას.

სასურველია, მეთოდისათვის შეირჩეს თხრობითი (ნარატიული ტიპის) ტექსტი, რომელიც პირდაპირ შეესაბამება მეთოდის მიზანს, ან იძლევა ადაპტირების საშუალებას. მნიშვნელოვანი და აუცილებელია ტექსტის ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინება, კერძოდ, ავთენტურობა, ლექსიკური ერთეულების რაოდენობა, თემის აქტუალობა, მოსწავლეთა ინტერესი და ა.შ.

წაკითხულის გაგება-გააზრება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეაქვს მკითხველს კითხვის პროცესში წინარე ცოდნითა და საკუთარი ფანტაზიით. ამიტომ ტექსტის წაკითხვამდე სასურველია გამოწვევა, წინარე ცოდნის გააქტიურება „გონებრივი იერიშის“ გზით, ან სხვა აქტივობით (მაგ. გამოცანით). ეს ზრდის ჩართულობის ხარისხს და ხელს უწყობს ტექსტის მოსასმენად მოსწავლეთა მოტივირებას.

გამოწვევის ეტაპზე რამდენიმე მნიშვნელოვანი შემეცნებითი ქმედება ხორციელდება. მათი მიზანია წასაკითხი ტექსტისადმი ინტერესის გაზრდა და

ყურადღების მობილიზება. წინმსწრები აქტივობების გამოყენებით, მასწავლებელი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გაააქტიურონ წინარე ცოდნა და წარმოდგენა შეიქმნან შესასწავლი მასალის შესახებ. რელევანტური შესავალი ინფორმაცია ხშირად უფრო განზოგადებული და ყოვლისმომცველია, ვიდრე თავად შესწავლილი მასალა. წინმსწრები აქტივობებით იქმნება „ხარაჩო“, რომელზეც დეტალური მასალისგან შემდგარი კედლები დაშენდება.

წინმსწრები აქტივობა შეიძლება იყოს შეკითხვა:

- ✚ რა იციან ამ საკითხის, თემის შესახებ?
- ✚ უნახავთ? როგორია? როგორ აღწერენ?

მოსწავლეები აქტიურად იხსენებენ, რა იციან ამ საკითხის შესახებ. ეს საწყისი ქმედებებია, რითაც მათ „პიროვნულ ცოდნას“ მომავალში ახალი ცოდნა შეემატება. სწავლის პროცესი კი ახლისა და უკვე ცნობილის ერთმანეთთან დაკავშირებაა.

გამოწვევის ფაზა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მოსწავლეები იწყებენ ფიქრს, მათი პირადი ცოდნისა და წარმოდგენების ბაზა იქმნება, რომელსაც ახალი ცოდნა შეემატება და ახალი უკვე ნაცნობს უკავშირდება.

მოსწავლე ცოდნას აქტიური აზროვნებისა და მეტყველების მეშვეობით გამოხატავს. შესაძლოა, მისი შეხედულებები ტექსტში მოცემული შეხედულებებისაგან განსხვავდებოდეს, რაც მას უფრო მეტად აფიქრებს და მოტივაციას უქმნის ტექსტის მოსასმენად.

მასწავლებელი ტექსტს წინასწარ ყოფს რამდენიმე ნაწილად. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტი გაწყდეს საკვანძო საკითხებთან, რათა შემდეგ მონაკვეთში მოსწავლეებმა ვარაუდი გამოთქვან მოცემული სიუჟეტის შესახებ. მასწავლებელი კლასს განუმარტავს, რომ ტექსტის თითოეული ნაწილის კითხვის დროს აუცილებელია ყურადღებით მოსმენა, რათა კარგად გაიაზრონ წაკითხული მონაკვეთი, რაც დაეხმარება ვარაუდების გამოთქმასა და მოსაზრებების გადამოწმებაში.

მასწავლებელი კითხულობს ტექსტის სათაურს და მოსწავლეებს სთხოვს, გამოთქვან ვარაუდი:

- ✚ რას შეიძლება ეხებოდეს ეს მოთხრობა (ზღაპარი)?

რა თავგადასავალი შეიძლება გადახდეს მთავარ გმირს?

მეთოდი ძირითადად მოსწავლის მიერ მოსმენილი და დამახსოვრებული ტექსტის ვარაუდებზეა აგებული. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გამოთქვან ვარაუდები ტექსტის სათაურთან დაკავშირებით, რაც იწერება სქემაში, რომელიც წინასწარ არის დახაზული და დაფაზე გაკრული. „ვარაუდების სქემას“ მასწავლებელი ავსებს კითხვის პროცესის პარალელურად (განსხვავებით ორიენტირებული კითხვის მეთოდისაგან, რომლის მიმდინარეობისას, მოსწავლეები ამ სქემას დამოუკიდებლად ავსებენ). მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს „ვარაუდების სქემის“ ინსტრუქციას.

	როგორ ფიქრობთ რა მოხდება?	რატომ ფიქრობთ ასე?	სინამდვილეში რა მოხდა?
სათაურის წაკითხვის შემდეგ			
I მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
II მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
III მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			

მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით, როგორც კითხვის დაწყებამდე, ასევე, კითხვის დროს, დიალოგში ერთგვებიან და საკუთარ ვარაუდებს ტექსტთან აჯერებენ. ეს აქტივობა მიზანმიმართული მოსმენა-აზროვნების საქმიანობის ფორმას იღებს.

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს ნაწილ-ნაწილ, ჯერ პირველ აბზაცს, ან პირველ მონაკვეთს და მოსწავლეებს ეკითხება:

გამართლდა, უარყოფილ იქნა თუ შეიცვალა მათი ვარაუდი?

შეცვალეს თუ არა ამასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები?

მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, მსჯელობენ, ნააზრევს აჯერებენ.

მასწავლებელი კვლავ განაგრძობს კითხვას იმავე პრინციპით:

1. ვარაუდები;

2. კითხვის გაგრძელება;

3. მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ვარაუდებზე რეაგირება და ა.შ. ტექსტის დასასრულის ჩათვლით. პარალელურად, მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- ✚ როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ? როგორ განვითარდება მოვლენები?
- ✚ რატომ ფიქრობთ ასე?
- ✚ სინამდვილეში რა მოხდა?

შენიშვნა: ვარაუდების გამოთქმის დროს მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას და თავი შეიკავოს პირადი კომენტარისგან.

მეთოდის მსვლელობისას, მასწავლებელმა, სასურველია, ისეთი მინიშნებები გააკეთოს, რომელიც მოსწავლეს მოტივაციას შეუქმნის, იმსჯელოს თემის საკითხებზე, პერსონაჟის ხასიათის განვითარებაზე, საკუთარ თავთან და სხვა ტექსტებთან კავშირებზე. ამისათვის ყოველი მომდევნო მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ სასურველია ისეთი კითხვების დასმა, რომელიც მოქმედი გმირების, ნაწარმოების სიუჟეტური ხაზის ანალიზის საშუალებას იძლევა. მაგ: რა მოლოდინი გაქვთ, კიდევ რას მოიფიქრებს, რას გააკეთებს ეს გმირი?

კითხვას მოსწავლეთა ერთმანეთთან დაკავშირება და საზოგადოებრივი ერთობის ჩამოყალიბება შეუძლია. ასეთ ერთობაში არა მარტო აზრებისა და ინფორმაციის, არამედ ლიტერატურასთან დაკავშირებული ემოციური განცდებისა და შთაბეჭდილებების გაზიარებაც ხდება.

გზადაგზა მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლეთა მოლოდინს (კითხვის პროცესში განიახლებენ, განიმტკიცებენ, ან შეიცვლიან ვარაუდს). გამოხატავენ საკუთარ ემოციასა და შთაბეჭდილებას წაკითხულზე. მასწავლებელიც, შესაბამისად, ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა რეაგირებაზე. ამისათვის სვამს კითხვებს:

- ✚ გამართლდა თუ შეიცვალა თქვენი ვარაუდი?
- ✚ დაემთხვა თქვენი ვარაუდი ტექსტის შინაარსს?
- ✚ ელოდით ასეთ გაგრძელებას?
- ✚ რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა გამართლდა ან შეიცვალა თქვენი ვარაუდი?
- ✚ მოგეწონათ მოთხრობა?
- ✚ რას ფიქრობთ წაკითხულის შესახებ? და ა.შ.

შინაარსის რეალიზების ფაზაზე მასწავლებლის უპირველესი ამოცანა დაწყებული საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და გონებაში „გამოწვევის ეტაპზე“ გაღვივებული ინტერესისა და იმპულსის შენარჩუნებაა. მოსწავლეები ამ დროს ძველ და ახალ ცოდნას შორის ახალ ხიდეbs აგებენ და ახალ გააზრებამდე მიდიან. ამიტომ საჭიროა, მასწავლებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მცდელობას, გააკონტროლონ საკუთარი აღქმის უნარი. წაკითხვის შემდეგ მოსწავლე ცდილობს, გზადაგზა მოსმენილი ინფორმაცია საკუთარი სიტყვებით გამოხატოს. ტექსტიდან იმახსოვრებს და კონტექსტის მიხედვით ხვდება იმას, რაც მისთვის ავთენტურია. ამ ეტაპზე აზროვნების გასაღრმავებლად მთავარი ამოცანაა ლექსიკური სამუშაოს შესრულება (ლექსიკის გამდიდრება).

მასწავლებელმა უნდა შეძლოს, რომ ენობრივ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობა სასიამოვნო პროცესად აქციოს, გაამრავალფეროვნოს სხვადასხვა აქტივობით. მაგ: მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს, რომელზეც წერია სხვა სიტყვებიც, ტექსტში გამოყენებულ საკვანძო სიტყვებთან და ფრაზებთან ერთად. დავალება ეძლევათ წყვილებში სამუშაოდ: გაიხსენონ და შემოხაზონ ის სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ტექსტში იყო გამოყენებული. შემდეგ ერთ-ერთი მოსწავლე რომელიმე წყვილიდან ასახელებს უცნობ სიტყვას. მასწავლებელი სვამს კითხვას: კიდევ რომელ წყვილს აქვს შემოხაზული ეს სიტყვა? და ა.შ. ამ პრინციპით, ტექსტში არსებულ ყველა სიტყვას მასწავლებელი საილუსტრაციოდ წერს დაფაზე და მოსწავლეების დახმარებით განმარტავს.

ეს აქტივობა მოსწავლეს კვლავ ტექსტთან აბრუნებს, რაც ეხმარება, გაიხსენოს და დააზუსტოს მოსმენილი მონაკვეთის, წინადადების, ფრაზის, სიტყვის მნიშვნელობა და გაიფართოოს ლექსიკური მარაგი.

რეფლექსიის ფაზაზე მასწავლებელი სხვადასხვა ფორმით უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს წაკითხულის გააზრებაში. ამისათვის სწორად უნდა შეირჩეს კითხვის დასმის პროცედურა. სასურველია, დაისვას ისეთი კითხვები, რომლებიც შინაარსის სიღრმისეულ წვდომას ამოწმებს. კითხვების დასმისას, გასათვალისწინებელია, მოსწავლეებს მივცეთ დრო პასუხის გასაცემად.

მასწავლებელი არჩევს ღია კითხვებს ტექსტის მნიშვნელოვანი მონაკვეთების გათვალისწინებით, ბლუმის ტაქსონომიის მაღალი დონეებისა და ნარატიული ჩარჩოს მიხედვით.

ნარატიული ჩარჩოს ელემენტებია:

- პერსონაჟები;
- გარემო;
- მოქმედება;
- პერსონაჟების მიზნები;
- გზა, რომელსაც გადიან პერსონაჟები მიზნის მისაღწევად;
- შედეგი, რომელიც მიჰყვება პერსონაჟთა მიზნების მიღწევას.

ნარატიული ჩარჩოს კითხვები:

- ვინ არიან მთავარი პერსონაჟები და რა განასხვავებს მათ სხვებისაგან?
- სად და როდის ხდება მოქმედება?
- რით იწყება მოქმედება ნაწარმოებში?
- როგორ გამოხატეს პერსონაჟებმა თავიანთი გრძნობები?
- რა მიზნები აქვთ პერსონაჟებს?
- როგორ ცდილობენ ისინი მიზნის მიღწევას?
- რა შედეგები მოჰყვა პერსონაჟთა მცდელობას?

კითხვები ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით:

- თანმიმდევრობით ჩამოთვალეთ მოთხრობაში განვითარებული მოვლენები;
- რას ნიშნავს....?
- რას ფიქრობ? ეთანხმები?
- რატომ ფიქრობ ასე?
- თქვენ რას იზამდით?
- ისურვებდით ამ გმირის ადგილას ყოფნას? ხომ არ პოულობთ მსგავსებას მასთან?
- რა არის ამ ამბავში მნიშვნელოვანი? რა გასწავლა?
- რომელი მოთხრობა გაგახსენა?
- რა მოგეწონა? რა არ მოგეწონა? რატომ?
- კიდევ რისი გაკეთება შეეძლო მოქმედ გმირს?
- შენ როგორ განაგრძობდი ამ ამბავს? და ა. შ.

ეს კითხვები მოსწავლეებს უბიძგებს ხელახლა გაიხსენონ ტექსტი და შესაბამისი პასუხების პერიფრაზირებით შეაჯამონ მოსმენილი ტექსტი. შინაარსი დაუკავშირონ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სხვა ტექსტებიდან მიღებულ ინფორმაციას. ამის შედეგად, გამოყონ ტექსტის მთავარი აზრი მეორეხარისხოვანისაგან, გამოიტანონ დასკვნები და ჩამოაყალიბონ იდეები.

მეთოდის გამოყენებით, მოზარდები იდეებს, რომელიც აღიქვს საკუთარი სიტყვებით გამოხატავენ. იდეების ურთიერთგაზიარება მათ ლექსიკურ მარაგს აფართოებს. ასევე, ეცნობიან კონცეპტუალურ სქემებს, რომელთაც საკუთარი სქემისა და მოდელის შექმნისას ითვალისწინებენ.

ორიენტირებული მოსმენისა და აზრივნების მეთოდი ადრეული ასაკიდან ავითარებს გააზრების, კრიტიკული აზროვნების უნარს, მოსწავლეს უჩენს ტექსტის კითხვის მოტივაციას და, ამავე დროს, ეხმარება წარმოსახვის, გამართული მეტყველების, კომუნიკაციისა და სოციალური უნარების განვითარებაში“ („კითხვის ეფექტური მეთოდები 2“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011, გვ. 9-23).

კითხვის ეფექტური მეთოდები 3

გავეცანი 2013 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ მეთოდურ სახელმძღვანელოს - „კითხვის ეფექტური მეთოდები 3“ და მასწავლებელთა დამხმარე ვიდეო მასალის სერიას - „კითხვის ეფექტური მეთოდები“. დამხმარე მასალაში წარმოდგენილია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში გამოცდილი და აღიარებული მეთოდები და სტრატეგიები.

საგულისხმოა, რომ „ბევრი მეთოდი, სტრატეგია თუ აქტივობა ითვალისწინებს ტექსტის შერჩევას წაკითხვა-დამუშავებისა თუ ანალიზისათვის, რაც მასწავლებლისგან განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. წაკითხულის გაგება-გააზრებაზე მუშაობისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა მასწავლებლის მიერ სასწავლო ტექსტის შერჩევაა, რადგან წაკითხულის გააზრების პრობლემები მრავალმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს და ერთ-ერთი მათგანი ტექსტის სირთულეა. რთული და ახალი ცნებებითა თუ სიტყვებით დატვირთული ტექსტი, გრძელი წინადადებებითა და წინადადების რთული სტრუქტურით, პრობლემას უქმნის მკითხველს წაკითხულის გააზრებაში. შესაბამისად, ტექსტები,

რომლებიც მდიდარია ფაქტებით, დეტალური აღწერილობით, განსაზღვრებებით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნა-განმარტებებით, ბავშვებისთვის შედარებით უფრო რთული გასაგებია, ვიდრე მხატვრული ტექსტი. ამ პრობლემის დასაძლევად აუცილებელია ტექსტის სირთულის შერჩევა მკითხველის კითხვის დონის შესაბამისად. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლის კითხვის უნარზე ცოტა უფრო რთული ტექსტების შერჩევა კიდევ უფრო სასარგებლოა და, უფროსის შესაბამისი დახმარების შემთხვევაში, წაკითხულის გააზრების უნარის განვითარების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ შერჩეული ტექსტი აუცილებლად საინტერესო უნდა იყოს მოსწავლეებისათვის. მორგებული უნდა იყოს მათს ასაკსა და ინტერესების სფეროს, აღქმა-შემეცნების პროცესი უკეთ წარმართოს და ნაყოფიერი შედეგი მოგვცეს“ („კითხვის ეფექტური მეთოდები 3“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ; გვ. 9).

სახელმძღვანელოს ავტორთა მითითებები ინსტრუქციების მართებულობასა და მნიშვნელობაზე დამეხმარება საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვაში და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. „მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ნათელი, ყველა მოსწავლისათვის გასაგები ენით მიწოდებული დავალების შესრულების გზები და მეთოდიკა წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის საწინდარია. პედაგოგმა არ უნდა დატოვოს არც ერთი შეკითხვა პასუხის გარეშე, სანამ მთელი კლასისთვის არ იქნება ცხადი, რას ითხოვს იგი ამა თუ იმ აქტივობისა და სტრატეგიის განხორციელების პროცესში და რა სასწავლო მიზნები აქვთ შესასრულებელი მოსწავლეებს“ („კითხვის ეფექტური მეთოდები 3“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ; გვ. 9).

ვიდეო მასალაში წარმოდგენილი გაკვეთილების ნახვა დამეხმარა საგაკვეთილო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და წარმართვაში. წარმოდგენილი გაკვეთილები გამოწვევით, მოსწავლეთა აქტივიზაციის ხერხების გამოყენებით არის დაგეგმილი და მიგვითითებს იმაზე, რომ გაკვეთილის საწყის ეტაპზე გამოწვევის მნიშვნელობისა და ფუნქციის განსაზღვრა-გააზრება მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერი სასწავლო ქმედების ეფექტიანობისათვის. გამოწვევა „წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას მოსწავლეთა დამოუკიდებელი ინტელექტუალური აქტივობისთვის, კითხვებისა და პრობლემების დასმისთვის, ჯგუფური

მუშაობისთვის, დისკუსიების წარმატებით წარმართვისათვის. გამოწვევის ფაზაზე მოსწავლეებს ეზრდებათ საგნის მიმართ შემეცნებითი ინტერესი და უღვივდებათ მოტივაცია. სწორედ სასწავლო თემის მიმართ მოსწავლეთა მოტივაციის ზრდა, ინტელექტუალური და სოციალური აქტივობის სტიმულაცია წარმოადგენს ნებისმიერი პედაგოგის ერთ-ერთ მთავარ აკადემიურ მოვალეობას საგაკვეთილო პროცესში“ („კითხვის ეფექტური მეთოდები 3“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ; გვ. 10). გაგება-გააზრების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია, საგაკვეთილო პროცესის დასასრულ ფაზაში შეჯამების, რეფლექსიის ეფექტური აქტივობების გამოყენება. „ესა თუ ის სასწავლო მიზანი გაკვეთილის ფარგლებში, როგორც წესი, აუცილებლობით მოითხოვს ერთგვარ თავმოყრას, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ ხერხდება ახალშესწავლილი მასალის გააზრება, მასზე ყურადღების კონცენტრაცია და აქტიურ მეხსიერებაში გადატანა. ამავდროულად, რეფლექსიის დროს მნიშვნელოვანია, არ გამოგვრჩეს ჩატარებული აქტივობის შედეგებზე მოსწავლეთათვის განმავითარებელი შეფასების მიცემა, რაც მეტად მნიშვნელოვანია მათი შემდგომი სასწავლო მოტივაციის ჩამოყალიბებისათვის“ („კითხვის ეფექტური მეთოდები 3“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ; გვ. 11).

გაკვეთილზე სასწავლო-ორგანიზების სხვადასხვა ფორმის გამოყენებით: საერთო საკლასო, ჯგუფში, წყვილებში მუშაობა და სხვა. მოსწავლეებს უვითარდებათ ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური უნარები, როგორიცაა: თანამშრომლობა, სხვისი აზრის პატივისცემა, ლიდერობისა თუ ჯგუფის წევრის პასუხისმგებლობის ტვირთვა. „ეს ყველაფერი კი გვეხმარება, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები“ („კითხვის ეფექტური მეთოდები 3“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ; გვ. 12).

ამრიგად, დამხმარე მასალაში წარმოდგენილ მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები მოვარგე კონკრეტულ სასწავლო მიზანს, გავითვალისწინ კლასის მზაობა, აგრეთვე, კონკრეტული კლასის საჭიროებები და გამოვიყენე სასწავლო პროცესში.

კითხვის მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეს წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებაში.

წარმოგიდგენთ ერთ-ერთს თხრობა სხვადასხვა ინტერპრეტაციით

„მოსწავლეებს ხშირად უჭირთ მოსმენილი თუ წაკითხული ინფორმაციის როგორც წერილობით, ასევე ზეპირად გადმოცემა. „თხრობა სხვადასხვა ინტერპრეტაციით“ მეტად სასარგებლო და მნიშვნელოვანი მეთოდია ამ პრობლემის მოსაგვარებლად. თავად თხრობის პროცესი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს:

- ✚ გაითავისონ მოთხრობისა თუ ამბის დასაწყისისა და დასასრულის, გარემოს, მოქმედი პირებისა და სიუჟეტური ხაზების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- ✚ ამბის ნათლად გადმოცემისათვის გამოიყენონ ხატოვანი და აღწერითი ენა;
- ✚ დაიცვან თანმიმდევრულობა;
- ✚ შეარჩიონ ადეკვატური და ეფექტური ლექსიკა;
- ✚ მოძებნონ აუდიტორიის დაინტერესების, მასზე ზემოქმედების ხერხები და საშუალებები (მაგალითად, ჟესტები, მიმიკა, ხმის ტონის მონაცვლეობა და სხვა).
- ✚ სასურველია, მოთხრობელს შეურჩიოთ მოხერხებული მდგომარეობა. იგი პირდაპირ უნდა უყურებდეს აუდიტორიას, რათა ადვილად შეძლოს მხედველობითი კონტაქტი მასთან.

მეთოდი გულისხმობს ერთი და იმავე, მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის თხრობას სხვადასხვა ინტერპრეტაციით, სხვადასხვა პოზიციიდან. ეს შეიძლება იყოს მოკლე შინაარსის თხრობა, დეტალური თხრობა, კონკრეტული ეპიზოდის თხრობა, მოთხრობელის შეცვლა ანუ თხრობა პერსონაჟის პოზიციიდან.

დეტალური თხრობა

დეტალური თხრობა შეიძლება იყოს ორი სახის: თავისუფალი, რომელიც უკავშირდება წაკითხული ან მოსმენილი ნაწარმოებით მიღებულ პირველ შთაბეჭდილებას. მოსწავლე საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ნაწარმოების დეტალურ შინაარსს. დანარჩენები უსმენენ და აფასებენ, რამდენად ზუსტად და თანამიმდევრობით არის გადმოცემული შინაარსი, ხომ არ არის გამოტოვებული მნიშვნელოვანი მოვლენა / ფაქტი. მათ ერთი მოსმენის შემდეგ, რაც შეიძლება ზუსტად უნდა აღადგინონ ტექსტის შინაარსი. მეორე სახე ასეთი თხრობისა გულისხმობს იმას, თუ რამდენად ახლოს არის მოსწავლის მონათხრობი ავტორისეულ ვერსიასთან არა

მარტო შინაარსით, არამედ მწერლის ენის თვალსაზრისით. გამოყენებულია თუ არა ავტორისეული ლექსიკა ან მხატვრული საშუალებები.

დეტალური თხრობის აქტივობისას, შეიძლება მასწავლებელმა სთხოვოს მსმენელებს, ჩაინიშნოს ის დეტალები, რომლებიც, მათი აზრით, მნიშვნელოვანი იყო ტექსტის გააზრებისთვის, მაგრამ მთხრობელს გამორჩა. თხრობის დასასრულს მათ შეუძლიათ მოახსენონ თანაკლასელს შენიშვნები და არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრება. დეტალური თხრობა არ გულისხმობს ტექსტის ზეპირად დასწავლას. ეს აქტივობა ერთდროულად ამოწმებს გააზრებული კითხვის ან მოსმენის უნარს, ყურადღების კონცენტრაციას, მეხსიერებას.

მოკლე შინაარსის თხრობა

მოკლე შინაარსის გადმოცემა გაცილებით რთულია, ვიდრე დეტალური შინაარსისა, რადგან მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტის ისე შეკუმშვა, რომ არ დაიკარგოს თხრობის ლოგიკა და მხატვრული ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები - ძირითადი მოქმედი პერსონაჟები, მთავარი იდეა, იდეის რეალიზების საშუალებები და სხვა. ანუ უნდა შეძლოს მთავარისა და არსებითის გარჩევა მეორეხარისხოვანისაგან. მოკლე შინაარსის თხრობის აქტივობა უვარჯიშებს მოსწავლეს რეზიუმირების უნარს და უვითარებს ინფორმაციის დახარისხების, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ერთმანეთისგან გამიჯვნის უნარს.

კონკრეტული ეპიზოდის თხრობა

მოსწავლეები ყვებიან მასწავლებლის მიერ მითითებული, ან მათ მიერვე შერჩეული ეპიზოდის შესახებ. ეპიზოდის არჩევის შემთხვევაში, მასწავლებელი სთხოვს მათ, არგუმენტირებულად დაასაბუთონ ეპიზოდის არჩევის მიზეზი, მისი მიმართება ტექსტის იდეობრივ ხაზთან. მოსწავლეები ცდილობენ, ზედმიწევნით აღადგინონ ტექსტში მოცემული ინფორმაცია.

თხრობა პერსონაჟის პოზიციიდან

ეს აქტივობა გულისხმობს ტექსტის ან მისი ეპიზოდის თხრობას რომელიმე პერსონაჟის პოზიციიდან. იმისათვის, რომ ასეთი დავალება შეასრულოს, მოსწავლეს კარგად უნდა ესმოდეს პერსონაჟის ხასიათი, შეარჩიოს შესაბამისი მხატვრული

საშუალებები. ამ აქტივობისას ვლინდება ინტერპრეტაციის, ტექსტის გააზრების უნარი და შემოქმედებითობა.

მეთოდი მეტად კომპლექსური ხასიათისაა, იგი გამოიყენება როგორც დაწყებით, ისე საბაზო საფეხურზე. სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, შესაძლოა, მასწავლებელმა კონკრეტულ გაკვეთილზე მხოლოდ ერთი ან ორი ტიპის თხრობას მიმართოს და ამ აქტივობის შესრულებაში ავარჯიშოს კლასი, შესაძლოა, გადაანაწილოს როლები და ტექსტი სხვადასხვა ინტერპრეტაციით წარმოადგენინოს კლასს.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მეთოდი, თავისი შემოქმედებითი ხასიათიდან გამომდინარე, ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა და მასწავლებელს შეუძლია, თავისი სურვილისა და კლასის საჭიროებების მიხედვით ცვალოს და გაამრავალფეროვნოს წარმოდგენილი თითოეული აქტივობა“ („კითხვის ეფექტური მეთოდები 3“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ; გვ. 67; 68; 69).

ანალიტიკური წერა

მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება - ქეთევან გოჩიტაშვილისა და გიული შაბაშვილის ნაშრომში “ანალიტიკური წერა ” საუბარია მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების საკითხთან დაკავშირებით. ავტორთა აზრით, ნაწარმოების მხატვრული ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ტექსტის ადეკვატურ გააზრებას, გაგებას, ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციისა და დეტალების გამიჯვნას, კონკრეტული ფაქტების განზოგადებასა და პარალელების მოყვანას, ამა თუ იმ სიმბოლოს მოძებნასა და განმარტებას.

მხატვრული ტექსტის ანალიზის პირველი ეტაპია ტექსტის კრიტიკული წაკითხვა. თავიდან საკმარისია ტექსტის გაცნობითი წაკითხვა, ზოგადი გააზრება და გარკვეული შთაბეჭდილების შექმნა. თუმცა, ეს არ არის საკმარისი. ტექსტის უკეთ გაგებისათვის აუცილებელია მეორედ წაკითხვა, რაც არ უნდა დიდი მოცულობისა იყოს ის. მეორედ წაკითხვისას უკვე კრიტიკულად უნდა გაიაზრონ ავტორის მიზანი, ძირითადი სათქმელი, საშუალებები, მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, გაამახვილოთ ყურადღება, არის თუ არა ტექსტში წარმოდგენილი ქვეტექსტი, გამოყონ

მხატვრული ხერხები, სიუჟეტური ხაზი, ფაბულა, საკვანძო ეპიზოდები, კულმინაცია და ა. შ.

ტექსტის უკეთ გასააზრებლად ავტორები რამდენიმე საჭირო რეკომენდაციას გვაძლევენ:

- ტექსტის წაკითხვის პროცესში საჭირო ინფორმაციის გახაზვას, ამოწერას;
- დავსვით ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებული ზოგადი კითხვები:

✚ რის შესახებ არის ტექსტი?

✚ ტექსტი ეყრდნობა მთლიანად გამოგონილ ამბავს თუ მწერალი რეალურ ან ისტორიულ ამბებს მოგვითხრობს?

✚ როგორია თქვენი დამოკიდებულება ტექსტისადმი და რატომ?

✚ რა მოლოდინი გაგიჩნდათ ნაწარმოების კითხვისას და როგორ გამართლდა თქვენი მოლოდინი?

✚ კულტურულად რამდენად მისაღებია ნაწარმოებში გადმოცემული ფასეულობები, ურთიერთობები, ფაქტები კონკრეტული საზოგადოებისთვის და რატომ?

✚ რა მიმართებაა ნაწარმოებსა და სათაურს შორის?

✚ რა მოლოდინს აღძრავს თქვენში სათაური? და ა.შ.

ეს არის ის მნიშვნელოვანი მეთოდი, რომლითაც ბავშვები შეძლებენ ტექსტის უკეთ გააზრებას. მაგ: პერსონაჟის დახასიათებას, ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემის იდენტიფიცირებასა და ამ პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

განხილულმა ლიტერატურამ კიდევ უფრო ცხადად დამანახა საკვლევი თემის აქტუალობა, თუ რა მნიშვნელობა აქვს წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებას ნებისმიერი დისციპლინისთვის და, ზოგადად, მოსწავლის წიგნიერების დონის ამაღლებისათვის. მივიღე საჭირო მეთოდური რეკომენდაციები, რომლებიც დამეხმარა როგორც კვლევის სწორად წარმართვაში, საკვლევი პრობლემის გამოკვეთასა და საჭირო სამუშაოების დაგეგმვაში, ასევე სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

III თავი - მეთოდოლოგია

ამ თავში განხილულია საკვლევი საკითხი და ქვეკითხვები. მოცემულია კვლევის დიზაინი და კვლევის გეგმა. წარმოდგენილია ინფორმაცია კვლევის მუშაობის ეტაპების შესახებ. ასევე, განხილულია, კვლევისათვის მონაცემთა შეგროვების მეთოდები (რა მონაცემები იქნა მოპოვებული და რა გზით, აგრეთვე მოცემულია მათი ანალიზი).

როგორც წინა თავში აღვნიშნე, ჩემი კვლევის მთავარი კითხვაა: **როგორ გავაუმჯობესოთ ტექსტის კითხვისას გაგება - გააზრების უნარი ღრ. მამა გიორგი ათონელის სახ. მე-5 კლასში ?**

კვლევის მთავარ კითხვასთან დაკავშირებით, კვლევის პროცესში დამჭირდა პასუხების გაცემა შემდეგ ქვეკითხვებზე:

- რა სირთულებებს აწყდებიან მოსწავლეები კითხვისას?
- როგორ ართმევენ თავს მასწავლებლები გაკვეთილზე წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემას?
- არის თუ არა სკოლაში ან საკლასო ოთახში წიგნიერების დონის ამაღლების ხელშემწყობი გარემო?
- ზრუნავენ თუ არა მშობლები შვილების წიგნიერების დონის ამაღლებაზე და როგორ?

კვლევის პროცესის წარმართვისათვის შევიმუშავე **კვლევის გეგმა** (დანართი 1).

მონაცემთა შეგროვება

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვებისათვის გამოვიყენე თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, კითხვარები, ანკეტირება, ჩაღრმავებული ინტერვიუ.

ინტერვიუ. საკვლევი პრობლემის აქტუალობის დასადგენად ინტერვიუ ჩავწერე საკვლევი კლასის 5 მასწავლებელთან. წინასწარ ვათანხმებდი მათთან შეხვედრის დღესა და საათს. მოვამზადე კითხვები (დანართი 2). ჩემთვის საინტერესო იყო, გამეგო, ჰქონდათ თუ არა საკვლევი კლასის მოსწავლეებს მათ საგანში წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემა. თუ ჰქონდათ, რას უკავშირებდნენ მასწავლებლები აღნიშნული პრობლემის არსებობას და როგორ ართმევდნენ თავს მასწავლებლები ამ პრობლემას გაკვეთილზე. მაინტერესებდა მათი აზრი ამ

საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ როგორ შეიძლება, დავებმართ მოსწავლეს გაგება-გააზრების უნარის გაუმჯობესებაში.

ფოკუსჯგუფი ჩავატარე მე-5 კლასის მოსწავლეების მშობლებთან (10 მშობელი). ამ მეთოდის გამოყენების მიზანი იყო, წიგნიერებასთან დაკავშირებით მშობელთა დამოკიდებულების შესწავლა, რაც დამეხმარა კვლევის წარმართვასა და იმ კითხვარის მომზადებაში, რომელიც განკუთვნილი იყო საკვლევი კლასის ყველა მშობლისთვის. დაწყებით საფეხურზე საკმაოდ დიდია მშობლის როლი მოსწავლის წიგნიერების საკითხთან დაკავშირებით, ამიტომ, მიმაჩნია, რომ მათგან მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია პრაქტიკული კვლევის წარმატებით განხორციელებისათვის. მშობლები შეირჩნენ მათი სურვილისა და თავისუფალი დროის გათვალისწინებით. ინფორმაციის მიწოდებასა და შეხვედრის დროზე შეთანხმებაში კლასის ხელმძღვანელი დამეხმარა. **ფოკუს ჯგუფი** ჩატარდა გიმნაზიაში. **კითხვარები** მოვამზადე საკვლევი კლასის ყველა მშობლისათვის (დანართი 3). მშობელთა გარკვეულ ნაწილთან კომუნიკაციის სირთულის გამო, საჭირო ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად კითხვარების გამოყენება მივიჩნიე. ამ მეთოდის გამოყენებით გავიგე უმრავლესობის აზრი საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს გავატანე შესავსები კითხვარები მშობლებთან. მათ შევსებული კითხვარები გამომიგზავნეს ისევ ბავშვების დახმარებით. კითხვარის დარიგების ეს ფორმა მშობელთა დროის დაზოგვის თვალსაზრისით ყველაზე ეფექტურად მივიჩნიე. კლასში 20 მოსწავლეა, კითხვარი შეავსო ყველა მშობელმა. მათ მივეცი 1-2 დღე კითხვარის შესავსებად და დასაბრუნებლად. ვფიქრობ, შესავსებად გამოყოფილი დრო შესაძლებლობას აძლევდა მშობლებს, სრულად და ყურადღებით შეევსოთ კითხვარი, ხოლო ანონიმურობა კი გაზრდიდა მშობელთა გულახდილობასა და ობიექტურობას. ჩემი მიზანი იყო კითხვარების საშუალებით მიმეღო ინფორმაცია, თუ რა როლი აკისრიათ მშობლებს შვილების წიგნიერების ხელშეწყობაში, უწყობენ თუ არა ხელს შვილებს, აიმაღლონ წიგნიერების დონე. კითხვარებიდან მიღებული ინფორმაცია დავაკავშირე საკვლევ პრობლემასთან და დავგეგმე პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო ღონისძიებები.

ინტერვიუ საკვლევი კლასის მოსწავლეებთან საშუალება მომცა, უკეთ გავცნობოდი მათს დამოკიდებულებას საკვლევი პრობლემის ირგვლივ. სიღრმისეული ინტერვიუ განვახორციელე საკვლევი კლასის 10 მოსწავლესთან, რომლებიც შევარჩიე

მათი სურვილის საფუძველზე. ინტერვიუსათვის გავამზადე კითხვები (დანართი 4). მოსწავლეებს წინასწარ შევუთანხმდი შეხვედრის დღესა და საათზე. დასმულ შეკითხვებზე მოსწავლეთაგან მიღებული პასუხები ჩავინიშნე კვლევის დღიურში. მონაცემთა შეგროვების ამ მეთოდის გამოყენებით, შევძელი, უფრო სიღრმისეულად გამერკვია მოსწავლეთა სურვილები და მოსაზრებები საკლასო ოთახში წიგნიერების ხელშეწყობ გარემოს შექმნასთან დაკავშირებით. მოსწავლეთაგან მიღებული ინფორმაცია დავუკავშირე საკვლევ პრობლემას და გამოვიყენე საკვლევ პრობლემის მოგვარებაში.

ანკეტირების მეთოდით გადავწყვიტე, მოსწავლეთაგან საჭირო მონაცემები მომეპოვებინა. შევადგინე კითხვები და საკვლევ კლასის ყველა მოსწავლეს ჩავუტარე ანკეტირება (დანართი 5). ამ მეთოდის გამოყენებით შევაგროვე ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა მოსწავლეთა ინტერესს კითხვის მიმართ, წასაკითხი ლიტერატურის მიმართ, აგრეთვე, კითხვასთან დაკავშირებულ სირთულეებსა და პრობლემებს, რომელთაც მოსწავლეები კითხვის დროს აწყდებოდნენ. მივიღე ინფორმაცია საკლასო ბიბლიოთეკის მნიშვნელობასა და სარგებლობასთან დაკავშირებითაც. ანკეტირებით მიღებული ინფორმაცია დავაკავშირე საკვლევ პრობლემასთან და მათი გათვალისწინებით დავგეგმე პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო ღონისძიებები.

საკვლევ პრობლემის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით მოსწავლეებს კვლევის დასაწყისში ჩავუტარე **პრეტესტი**. ვებპორტალზე „კარგი სკოლა“ მოვიძიე მე-5 კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილი მზა დიაგნოსტიკური ტესტი, რომელიც ამოწმებდა თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრებას (დანართი 6). ტექსტს ახლდა 15 შეკითხვა, რომლებითაც მოწმდებოდა წაკითხულის გააზრება სამ სხვადასხვა დონეზე: სიტყვასიტყვით გაგების დონეზე (7 შეკითხვა); ანალიზისა და დასკვნის გამოტანის (ჩაწვდომის) დონესა (5 შეკითხვა) და კრიტიკული შეფასების დონეზე (3 შეკითხვა).

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებს ჩავუტარე **პოსტტესტი**, რომელიც ამოწმებდა თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრებას. შედეგებზე დაკვირვებით გავიგე, როგორი იყო ტექსტის გაგება-გააზრების მაჩვენებელი მოსწავლეებში ინტერვენციების შემდგომ. ტესტი მოვიძიე ვებპორტალზე „კარგი სკოლა“ მე-5 კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილ მზა დიაგნოსტიკურ ტესტებში.

იგი ამოწმებდა თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრებას (დანართი 7). ტექსტს ახლდა 15 შეკითხვა, რომლებითაც მოწმდებოდა წაკითხულის გააზრება სამ სხვადასხვა დონეზე: სიტყვასიტყვით გაგების დონეზე (6 შეკითხვა); ანალიზისა და დასკვნის გამოტანის (ჩაწვდომის) დონესა (4 შეკითხვა) და კრიტიკული შეფასების დონეზე (5 შეკითხვა).

მონაცემთა ანალიზი

ამ თავში განხილულია მონაცემთა შეგროვების თითოეული მეთოდის გამოყენებით მიღებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის ანალიზი.

საკვლევი კლასის მასწავლებლებთან **ინტერვიუს** შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემის სიცხადე. კერძოდ, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ მოსწავლეებს მათ საგნებშიც უმეტესად უჭირთ წაკითხული ტექსტისა თუ დავალების პირობის სათანადოდ გაგება-გააზრება, შესაბამისად, უჭირთ ისეთ დავალებების შესრულება, რომლებიც გაგება-გააზრებას მოითხოვს მათგან. ამიტომ დაქვეითებული აქვთ მოტივაცია, აკადემიური მოსწრება და, შესაბამისად, წიგნიერების დონეც. მასწავლებლები თვლიან, რომ გაგება-გააზრების უნარის შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება იყოს როგორც ყურადღების დეფიციტი, ნაკლებად განვითარებული ანალიტიკური აზროვნება, ასევე ის, რომ მოსწავლეები არ ფლობენ სხვადასხვა ტიპის ტექსტზე მუშაობის მეთოდებს. მასწავლებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ისინი მოსწავლეებთან ნაკლებად იყენებენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც დაეხმარება მათ სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრებაში.

მასწავლებლებთან ინტერვიუებმა უფრო ცხადად დამანახა საკვლევი პრობლემა, უფრო მეტად დამაფიქრა პრობლემის გამოსწორების გზების ძიებასა და აუცილებლობაზე და მომცა საშუალება გარკვეული რეკომენდაციები შემეთავაზებინა მასწავლებელთათვის.

ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზისას ნათლად გამოიკვეთა საკვლევი კლასის მშობელთა შეხედულება წიგნიერების მნიშვნელობაზე, მათი სურვილი მოზარდებში წიგნიერების დონის გაზრდის ხელშეწყობისათვის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ არ იცოდნენ, რა ნაბიჯები უნდა გადაედგათ ამისათვის, ზოგიერთი მათგანი დროის უქონლობაზეც წუხდა. შეხვედრაზე გამოიკვეთა კითხვები, რომლის მიხედვითაც შემუშავდა კითხვარი მშობელთათვის.

მშობელთა **კითხვარის** შედგენისას ჩემი მიზანი იყო გამომეკვლია:

- უწყობენ თუ არა ხელს მშობლები შვილის წიგნიერების დონის ამაღლებას?

ამისთვის შევადგინე კითხვარი 6 შეკითხვით (სულ 20 კითხვარი)

კითხვარების ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა:

1. აქვს თუ არა თქვენს შვილს სახლში საკუთარი საბავშვო ბიბლიოთეკა?

- ა) ცალკე არ აქვს; 3 მშობელი
- ბ) გვაქვს საერთო ბიბლიოთეკა; 14 მშობელი
- გ) აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა; 3 მშობელი
- დ) სახლში ბიბლიოთეკა არ გვაქვს. 0 მშობელი

2. ეხმარებით თუ არა წასაკითხი ლიტერატურის შერჩევაში?

- ა) არ ვიცი რომელია მისი ასაკის შესაფერისი ლიტერატურა; 8 მშობელი
- ბ) ვურჩევ, მაგრამ ჩვენი გემოვნება არ ემთხვევა; 2 მშობელი
- გ) მირჩევნია მასწავლებელი დაეხმაროს; 8 მშობელი
- დ) მიმაჩნია ბავშვს დამოუკიდებლობა და თავისუფლება უნდა ჰქონდეს. 2 მშობელი

3. იცით თუ არა, რა სახის ლიტერატურა უყვარს თქვენს შვილს?

- ა) არ დავინტერესებულვარ; 3 მშობელი
- ბ) მეტნაკლებად ვიცი რა მოსწონთ მის ასაკში ბავშვებს; 5 მშობელი
- გ) ვაკვირდები და ვიცი მისი ინტერესები; 5 მშობელი
- დ) ზუსტად ვიცი, რადგან ვეკითხები. 7 მშობელი

4. როდის კითხულობს თქვენი შვილი დამატებით ლიტერატურას?

- ა) მშობლის დაჟინებული თხოვნის ან ჩხუბის შემდეგ; 4 მშობელი
- ბ) მასწავლებლის მითითებით; 7 მშობელი
- გ) როცა თავად გაუჩნდება სურვილი წაიკითხოს; 5 მშობელი
- დ) როცა მე დავაინტერესებ წიგნით ან მე ვუკითხავ. 4 მშობელი

5. საუბრობთ თუ არა შვილთან წაკითხულის შესახებ?

- ა) არ განვიხილავთ წაკითხულს; 5 მშობელი
- ბ) თუ თავად დამიწყო საუბარი, რა თქმა უნდა ჩავერევი; 11 მშობელი
- გ) ყოველთვის ვმსჯელობთ წაკითხულის ირგვლივ. 4 მშობელი


6. თქვენი აზრით, რა განაპირობებს ბავშვებში წიგნიერების დაბალ დონეს?

- ა) კომპიუტერს უთმობენ მეტ დროს; 10 მშობელი
- ბ) არ აქვთ კითხვის სურვილი; 3 მშობელი

გ) არ აქვთ საინტერესო და მრავალფეროვანი ლიტერატურა; 2 მშობელი

დ) არ აქვთ წიგნიერების დონის ამაღლებისათვის შესაფერისი გარემო შექმნილი.

5 მშობელი



მშობელთა კითხვარის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ 20 მოსწავლიდან სახლში საკუთარი ბიბლიოთეკა აქვს მხოლოდ 3 მოსწავლეს; მშობელთა უმეტესობამ არ იცის, რომელი ლიტერატურა შეურჩიოს ბავშვს წასაკითხად ან ურჩევნიათ, მასწავლებელმა შეურჩიოს წიგნი წასაკითხად; მხოლოდ 3-მა მშობელმა არ იცის, რა სახის ლიტერატურა უყვარს თავის შვილს; წაკითხული ლიტერატურის შესახებ შვილთან საერთოდ არ საუბრობს 5 მშობელი; წიგნიერების დაბალ დონეს 10 მშობელი კომპიუტერთან გატარებულ დროს უკავშირებს. კითხვარების ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ვთქვათ, რომ მშობლები ვერ უთმობენ დროს შვილებთან ერთად ლიტერატურის კითხვას, განხილვას, ნაკლებად იცნობენ შვილის ასაკის შესაფერის ლიტერატურასაც. აქედან გამომდინარე, სათანადოდ ვერ უწყობენ ხელს შვილის წიგნიერების დონის ამაღლებას.


კითხვარის გაანალიზებამ საშუალება მომცა, შემედგინა გარკვეული რეკომენდაციები მშობელთათვის.


საკვლევი კლასის მოსწავლეებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ კლასში არ იყო წიგნიერების ხელშემწყობი სათანადო გარემო. მოსწავლეებს კი უნდოდათ, ჰქონოდათ ისეთი საკლასო გარემო, სადაც დარჩებოდნენ წიგნის წასაკითხად კლასელებთან ერთად, შემდეგ კი ისაუბრებდნენ წაკითხულზე. მოსწავლეთა პასუხებიდან ზუსტად შევიტყვე, როგორი საკლასო გარემო გაუზრდიდა მათ კითხვის მოტივაციას და ისიც, რომ მათ სურდათ საკლასო ბიბლიოთეკის შექმნა.

ინტერვიუების საფუძველზე მივიღე ინფორმაცია, როგორი გარემო მომეწყო საკლასო ოთახში წიგნიერების დონის ამაღლების ხელშემწყობისათვის და რა ტიპის ღონისძიებები უნდა დამეგეგმა და ჩამეტარებინა.



ანკეტირება. (შევადგინე 7 - კითხვიანი ანკეტა საკვლევი კლასის ყველა მოსწავლისათვის)

1. გიყვარს თუ არა წიგნის კითხვა და თუ კითხულობ ყოველდღე? რამდენ დროს უთმობ დღის განმავლობაში კლასგარეშე ლიტერატურის კითხვას? (40 წთ. და მეტი; 30 წთ; 15 წთ; არ ვკითხულობ)







2. რა თემაზე დაწერილი წიგნები გაინტერესებს და თუ გყავს საყვარელი ან მისაზაბდი პერსონაჟი?





3. დაგიკარგავს თუ არა ინტერესი წიგნის კითხვის დროს და რითი იყო ეს გამოწვეული?




4. რა სიძნელე გხვდება კითხვისას?




5. გიჭირს თუ არა წაკითხული ტექსტის გააზრება? თუ გიჭირს როგორ გგონია, რა გაფერხებს? (უცნობი სიტყვები, დიდი ტექსტი, უყურადღებობა, ჩემთვის უცხო და რთული საკითხი, და ა.შ.)



6. მიზრუნუნი ხარ თუ არა კითხვისას უკვე წაკითხულ ეპიზოდს ბუნდოვანი ადგილის უკეთ გასააზრებლად ანდა შენთვის საჭირო ინფორმაციის დასაზუსტებლად?



7. თუ ისარგებლებთ საკლასო ბიბლიოთეკით? შენი აზრით, როგორ გამოადგება საკლასო ბიბლიოთეკა იმ მოსწავლეს, რომელსაც არ უყვარს კითხვა?



მე-5 კლასის მოსწავლეთა ანკეტირების ანალიზის შედეგად გამოიკეთა, რომ მოსწავლეთა უმეტესობისთვის წიგნის კითხვა საყვარელი საქმიანობა არაა, შესაბამისად, არ კითხულობენ ყოველდღე და არც დიდ დროს არ უთმობენ კითხვას. გამოვარკვიე ისიც, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს სათავგადასავლო ჟანრის მოთხრობები აინტერესებთ და ჰყავთ საყვარელი პერსონაჟებიც. რაც შეეხება კითხვის დროს ინტერესის დაკარგვას, ისინი ამ ფაქტს უკავშირებენ მათთვის გაუგებარ თემას, დიდ ტანიან წიგნებს, რომელთა დასრულებასაც დიდ დროს ანდომებენ. კითხვისას წამოჭრილ სიძნელედ მოსწავლეთა უმეტესობა წაკითხულიდან აზრის გამოტანას ასახელებს. თითქმის არც ერთი მოსწავლე არ უბრუნდება და ხელახლა არ კითხულობს მისთვის რთულად გასაგებ ან გაუგებარ ადგილს ტექსტში. საკლასო ბიბლიოთეკით სარგებლობით სურვილს მოსწავლეთა დიდი ნაწილი გამოთქვამს.

ისინი ფიქრობენ, რომ საკლასო ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანა წახალისებს მოსწავლეების უმრავლესობას უფრო აქტიურად ჩაერთონ კითხვის პროცესში და გაუზიარონ ერთმანეთს შთაბეჭდილება წაკითხულთან დაკავშირებით. ასევე მათი აზრით, საკლასო ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნიდან მიღებული შთაბეჭდილების გაზიარებით შეძლებენ თანაკლასელის დაინტერესებას და წახალისებას, წაიკითხოს წიგნი.

მოსწავლეთა ანკეტირების შედეგების ანალიზი დამეხმარა გარკვეული დასკვნების გაკეთებასა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმაში, კერძოდ:

- მოგვეწყო საკლასო ბიბლიოთეკა;
- მოგვემარაგებინა უმეტესად სათავგადასავლო ჟანრის წიგნებით;
- უმჯობესია მცირე ტანიანი წიგნები და მოთხრობების კრებულები;
- წაკითხულიდან აზრის გამოტანაში დახმარებისათვის გვემუშავა სხვადასხვა აქტივობით: სქემებით, მსჯელობით, დისკუსიით, აზრთა გაზიარებით და ა.შ.

წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის შესამოწმებელი პრეტესტის შედეგებზე დაკვირვებამ და გაანალიზებამ დამანახვა, წაკითხულის გააზრების სამი დონიდან რომელ დონეზე უფრო მეტად უჭირდა კონკრეტულ მოსწავლეს. შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების უმეტესობას შეცდომით ჰქონდათ გაცემული პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც ამოწმებდა მოსწავლის ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების დონეებს. ტესტირების შედეგებმა დაადასტურა მასწავლებელთა ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციაც. მოსწავლეთა უმეტესობას ნამდვილად უჭირს ისეთი დავალებების შესრულება, რომლებიც გააზრებას მოითხოვს მათგან.

პრეტესტის შედეგები

მოსწავლეთა რაოდენობა	სიტყვასიტყვითი გაგების დონე (7 შეკითხვა)		ანალიტიკური დონე (5 შეკითხვა)		კრიტიკული დონე (3 შეკითხვა)	
მოსწავლე	სწორად უპასუხა	შეცდომით უპასუხა	სწორად უპასუხა	შეცდომით უპასუხა	სწორად უპასუხა	შეცდომით უპასუხა
20	13	7	7	13	8	12
20	18	2	11	9	7	13

20	13	7	9	11	8	12
20	0	20	8	12		
20	13	7	9	11		
20	7	13				
20	12	8				

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ ჩატარებული პოსტტესტის შედეგების ანალიზზე დაკვირვებამ დამანახა:

- მოსწავლეთა მიღწევები წაკითხულის გაგება-გააზრების კუთხით;
- დაგეგმილი და ჩატარებული ინტერვენციების ეფექტიანობა.

პოსტტესტის შედეგები:

მოსწავლეთა რაოდენობა	სიტყვასიტყვითი გაგების დონე (6 შეკითხვა)		ანალიტიკური დონე (4 შეკითხვა)		კრიტიკული დონე (5 შეკითხვა)	
მოსწავლე	სწორად უპასუხა	შეცდომით უპასუხა	სწორად უპასუხა	შეცდომით უპასუხა	სწორად უპასუხა	შეცდომით უპასუხა
20	15	5	17	3	17	3
20	17	3	18	2	16	4
20	16	4	19	1	18	2
20	18	2	17	3	19	1
20	20	0			20	0
20	20	0				

კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- ❖ მოსწავლეს, რომელსაც უჭირს ტექსტის გაგება-გააზრება, დაბალი აკადემიური მოსწრება აქვს ყველა საგანში;
- ❖ გაკვეთილის მომზადებისას ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემის გამო მოსწავლეს დაქვეითებული აქვს სწავლის მოტივაცია;

- ❖ წაკითხულიდან აზრის გამოტანა არ არის დამოკიდებული ტექსტის ტიპზე: საინფორმაციოა თუ მხატვრული;
- ❖ მოსწავლეები კარგად ვერ ფლობენ და ვერც იყენებენ წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის საჭირო ეფექტურ მეთოდებს;
- ❖ მშობლებმა არ იციან, როგორ უნდა შეუწყონ ხელი შვილის წიგნიერების დონის ამაღლებას, წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის გასაფართოებლად ;
- ❖ საკლასო გარემო არ უწყობს ხელს წიგნიერების დონის ამაღლებას;
- ❖ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ გაკვეთილზე წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის საჭირო გრაფიკულ სქემებს.

თითოეულ მიგნებასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას:

- ❖ მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკეთა, რომ მოსწავლეს, რომელსაც უჭირს ტექსტის გაგება-გააზრება, დაბალი აკადემიური მოსწრება აქვს ყველა საგანში. მაგალითად, თუ მოსწავლემ ვერ გაიაზრა მათემატიკური ამოცანის პირობა, ვერ ამოხსნის მას. თუ მოსწავლემ ვერ გაიაზრა ტექსტი ბუნებისმეტყველებაში, ვერ დაახარისხებს ინფორმაციას. ამდენად, ასეთ მოსწავლეს ექნება დაბალი აკადემიური მოსწრება.
- ❖ ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით პრობლემის გამო აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს დაქვეითებული აქვთ მოტივაცია. ეს აღნიშნეს როგორც მოსწავლეებმა ანკეტირებისას, ასევე მასწავლებლებმა ინტერვიუში. მოსწავლეების თქმით, როდესაც ვერ იგებენ ტექსტის შინაარსს, ეკარგებათ კითხვის სურვილიც. ინტერვიუებში მასწავლებლებიც აღნიშნავდნენ, რომ დაბალი მოტივაცია აქვს იმ მოსწავლეს, რომელსაც უჭირს ტექსტის გაგება-გააზრება.
- ❖ წაკითხულიდან აზრის გამოტანა არ არის დამოკიდებული ტექსტის ტიპზე: საინფორმაციოა თუ მხატვრული, რაც გამოიკვეთა მასწავლებელთა ინტერვიუებიდან, მოსწავლეს, რომელსაც უჭირს წაკითხულიდან აზრის გამოტანა, პრობლემა აქვს ყველა საგანსა და ორივე ტიპის ტექსტების გაგება-გააზრებაში.
- ❖ ის, რომ მოსწავლეები კარგად ვერ ფლობენ და ვერ იყენებენ წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის საჭირო ეფექტურ მეთოდებს, გამოიკვეთა

მასწავლებელთა ინტერვიუებიდან, პრეტესტის შედეგებიდან და მოსწავლეთა ანკეტირებიდან.

- ❖ ის, რომ მშობლებმა არ იციან, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი შვილის წიგნიერების დონის ამაღლებას, როგორ შეიძლება დაეხმარონ შვილს გაგება-გააზრების უნარის განვითარებაში, გამოიკვეთა როგორც მშობელთა კითხვარებიდან, ასევე ფოკუს ჯგუფიდანაც. მშობლები წუხან ამ საკითხთან დაკავშირებით და სურვილი აქვთ კარგად გაერკვნენ აღნიშნულ საკითხში.
- ❖ ის, რომ საკლასო გარემო არ უწყობს ხელს წიგნიერების დონის ამაღლებას, გამოიკვეთა მოსწავლეებთან ინტერვიუს ჩაწერისას.
- ❖ ის, რომ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ გაკვეთილზე წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის საჭირო გრაფიკულ სქემებს, გამოიკვეთა მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან.

ინტერვენციის დაგეგმვა

მონაცემთა ანალიზის შემდეგ დავგეგმე ორი სახის ინტერვენცია:

- **სასკოლო გარემოს შექმნა:**
 - ✓ კლასის ბიბლიოთეკის შექმნა და კლასში კითხვისათვის კომფორტული გარემოს მოწყობა;
 - ✓ სხვადასხვა სახალისო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება წიგნიერების დონის ასამაღლებლად;
 - ✓ ახალი მეთოდების შემოტანა და მეტი ყურადღების დათმობა ტექსტის გააზრებაზე;
 - ✓ მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილი აქტივობების დაგეგმვა;
 - ✓ სხვადასხვა კონკურსები და წამახალისებელი სტრატეგიების გამოყენება.
- **მშობელთა ჩართულობის გაზრდა მოზარდთა წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით:**
 - ✓ სახლში მოზარდის ინტერესების გათვალისწინებით საბავშვო ბიბლიოთეკის მოწყობა;
 - ✓ მშობლის ინფორმირება მოზარდის ასაკის შესაფერისი წიგნების ნუსხით;
 - ✓ იმ მეთოდების გაცნობა, რომლითაც გაუღვივებენ შვილებს წასაკითხი ლიტერატურისადმი ინტერესს და დაეხმარებიან წაკითხულის უკეთ გაგებასა და გააზრებაში.

ინტერვენციების განხორციელება

- **სასკოლო გარემოს შექმნა:**

1. წიგნიერების ხელშეწყობისათვის დავიწყეთ საკლასო ბიბლიოთეკის შექმნა. მოსწავლეებს ხალისით მოჰქონდათ საყვარელი წიგნები, ესაუბრებოდნენ მათ შესახებ ერთმანეთს და აცნობდნენ საყვარელ გმირებს. მოკლე ხანში შეიქმნა კიდევ საკლასო ბიბლიოთეკა, რომელიც შედგებოდა მოსწავლეთათვის საყვარელი და საინტერესო წიგნებისაგან. წიგნებთან დაკავშირებით მცირე მითითება მეც მივეცი, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო ასაკობრივი თავისებურება. შევადგინეთ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებიც და ავირჩიეთ ორი მოსწავლე, რომლებიც უხელმძღვანელებდნენ საკლასო ბიბლიოთეკას. მოსწავლეებმა დათქვეს სავარაუდოდ, რომელიც დასჭირდებოდა საკლასო ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნის წაკითხვას და შემდეგ მის უკან დაბრუნებას. წიგნი ყველას მიჰქონდა ჩემი მითითების გარეშე, რამაც მოტივაცია გაუჩინა მოსწავლეებს სხვადასხვა მიზეზების გამო:

- მოსწავლეთა აქტიურობასა და ინტერესთან დაკავშირებით მასწავლებლისგან შექება და წახალისება;
- მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი მეგობრის საყვარელი წიგნის მიმართ;
- დაინტერესება იმ წიგნით, რომელიც მეგობრებს უფრო მეტად მოსწონდათ;
- გარკვეული კონკურენტული გარემოს შეიქმნა კითხვის პროცესში.

გავითვალისწინე უზნაძის კვლევა, დავაკვირდი მოსწავლეთაგან მიღებულ ინფორმაციას და გავიგე, რომ მოსწავლეთა უმეტესობას მოსწონს სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებები (გოგონებისა და ვაჟების არჩევანს შორის განსხვავება თითქმის არ იყო). საკითხავად ირჩევენ ილუსტრირებულ წიგნებს. სწორედ ამიტომ ჭარბობდა საკლასო ბიბლიოთეკაში სათავგადასავლო ჟანრის მხატვრული ლიტერატურა.

2. დავგეგმე წიგნიერების საათის ჩატარება კვირაში ორი დღე გაკვეთილების შემდეგ. კლასში მოვაწყე „კითხვის კუთხე“, სადაც მოსწავლეები გაკვეთილების შემდეგ საკუთარი სურვილით რჩებოდნენ და კითხულობდნენ წიგნებს. მოსწავლეებს ვასწავლიდი და ვაჩვენდი, რომ კითხვის პროცესში ყველა უცნობი ან რთულად გასაგები ლექსიკური ერთეული მოენიშნათ, ამასთანავე ვთხოვდი, კითხვის პროცესში

ტექსტში ასახული მოვლენები, ფაქტები წარმოსახვაში გაეცოცხლებინათ. ვთხოვდი, თითო აზრის ან შინაარსობლივად დასულელებული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ შეჩერებულიყვნენ ცოტა ხნით და შეეჯამებინათ წაკითხული, დაესვათ საკუთარი თავისთვის შეკითხვები წაკითხულის შესახებ. ამასთან ერთად ვასწავლიდი იმ სტრატეგიებს, რომლებიც დაეხმარებოდათ მათ კითხვის დროს წარმოქმნილი ხარვეზების გამოსწორებაში. მაგალითად: უცნობი ან რთულად გასაგები ლექსიკური ერთეულის ამოსაცნობად კონტექსტის გამოყენებას, აგრეთვე გრამატიკული ცოდნისა და ლექსიკონის გამოყენებას, ხელახლა წაკითხვა გაუგებარი ან ძნელად გასაგები ადგილისა, აგრეთვე, გაუგებარი ან ძნელად გასაგები ადგილების საკუთარი სიტყვებით ხმამაღლა გადმოცემას. ვთავაზობდი, გამოეყენებინათ კითხვის გასაუმჯობესებელი და წაკითხულის გააზრების ხელისშემწყობი სახალისო აქტივობები, რითიც ვეხმარებოდი მხატვრული ტექსტის უკეთ გააზრებაში. აქტივობების მრავალფეროვნება იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებს თავად შეერჩიათ, თუ რომელი აქტივობის გამოყენება სურდათ კითხვის ამა თუ იმ ფაზაზე: წაკითხვამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ. აქტივობების შეთავაზებისას ვზრუნავდი მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე. მაგალითად, თუ ორი ან მეტი მოსწავლე წასაკითხად აირჩევდა ერთსა და იმავე მოთხრობას, ვთავაზობდი წყვილებში ან სამეულებში შესასრულებელ აქტივობებს. წასაკითხად, ძირითადად, ვურჩევდი მცირე ზომის მოთხრობებს, რომ მოსწავლეებს დროულად მოესწროთ ტექსტის წაკითხვა, გააზრება. ამასთანავე, ვუბიძგებდი მოსწავლეს, თავად გამოეყენებინა თუნდაც უმარტივესი სახის გრაფიკული მაორგანიზებელი კითხვის პროცესში წაკითხულის სრულყოფილად გააზრების მიზნით.

გავითვალისწინე ისიც, რომ ზოგიერთ მოსწავლეს კლასში წიგნის კითხვა შეიძლებოდა დაზარებოდა ან მოხეზრებოდა კიდეც, ან რომელიმეს არც კი წაეკითხა იგი, ამიტომ მივიჩნიე, რომ აუცილებელი იყო კითხვის პროცესის მონიტორინგი, რომელიც კი არ უნდა ყოფილიყო გაკვეთილის სახის ან არ ყოფილიყო მოსაწყენი, არამედ, პირიქით, უნდა ყოფილიყო სახალისო და მარტივად გასაკეთებელი. გავუკეთე ცხრილი, რომელსაც ავსებდნენ წიგნის კითხვის შემდეგ.

მოსწავლეები ხალისითა და სიამოვნებით ეკიდებოდნენ საქმეს.

კითხვის დაწყების დრო	კითხვის დასრულების დრო	წიგნის ავტორი	მთავარი პერსონაჟები	რომელი პერსონაჟი მომეწონა და რატომ	რომელი პერსონაჟი არ მომეწონა და რატომ	რომელი ეპიზოდი დამამახსოვრდა	რა განწყობა დაგეუფლა კითხვისას?		
									

3. ჩემი ინიციატივითა და მოსწავლეებთან შეთანხმებით დავთქვით კვირის ორი დღე, როცა ვიკრიბებოდით კლასში და მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებდნენ საკლასო ბიბლიოთეკიდან გატანილი და უკვე წაკითხული წიგნიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს. შეეძლოთ, წარმოედგინათ ნახატები, ეწარმოებინათ „მკითხველის დღიური“. აუცილებელი პირობა გახლდათ ის, რომ წაკითხული უნდა გაეცნოთ თანაკლასელებისათვის მათი დაინტერესების მიზნით, რომ მათაც გასჩენოდათ ამ წიგნის წაკითხვის სურვილი. მოთხრობის გასაცნობად მოსწავლეები ირჩევდნენ სხვადასხვა აქტივობას და ისე გვაცნობდნენ წაკითხულ წიგნს. შემდეგ კი მოსწავლეები წასაკითხად ირჩევდნენ ან შეთავაზებულ წიგნს ან რაიმე ახალს საკლასო ბიბლიოთეკიდან. წაკითხულის გასაცნობად მოსწავლეებს განსაკუთრებულად მოსწონდათ შემდეგი აქტივობები:

1. „ციტატები წიგნის დასაწყისიდან, შუა ნაწილიდან და დასასრულიდან“. შეარჩიეთ სამი ციტატა წიგნის დასაწყისიდან, შუა ნაწილიდან და დასასრულიდან, ახსენით (ზეპირად ან წერილობით), რატომ მიგაჩნიათ ეს ციტატები მნიშვნელოვნად;
2. „წერილები“. შესაძლებელია სხვადასხვა სახის წერილის დაწერა ნაწარმოების მიხედვით:
 - მისწერეთ მეგობარს წერილი, რომელშიც ურჩევდით ან არ ურჩევდით თქვენ მიერ წაკითხული წიგნის წაკითხვას. ახსენით თქვენი პოზიცია.
 - წარმოიდგინეთ, რომ წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი ან თავად ავტორი ხართ. შეარჩიეთ თქვენი წერილის შესაძლო მკითხველი (აუდიტორია/ადრესატი. მაგ. მომავალი მკითხველი, მეგობარი, წიგნის სხვა პერსონაჟი და სხვა) და მისწერეთ.

3. „წიგნის რეკლამა“. შეარჩიეთ ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდები, სურათები და მეტაფორები ნაწარმოებიდან; შექმენით რეკლამა განსაზღვრული სამიზნე აუდიტორიისთვის. შეიძლება რეკლამის შექმნა გაზეთისთვის, ჟურნალისთვის, ბილბორდისთვის, სატელევიზიო ჩანართისთვის და ა.შ.
4. „დრამატული მონოლოგი“. შექმენით რომელიმე პერსონაჟის მონოლოგის ტექსტი; სცადეთ გასცდეთ წიგნის ტექსტს და დაამატოთ თქვენი შეხედულებები პერსონაჟის ფიქრებისა და განცდების შესახებ. მონოლოგისთვის შეარჩიეთ საკვანძო სცენები, რომლებიც ნაწარმოების ძირითად პრობლემას შეეხება (სასურველია, შეარჩიოთ თითო სცენა დასაწყისიდან, შუა ნაწილიდან და დასასრულიდან).
5. „წიგნების ბაზრობა“. შეარჩიეთ წიგნი, რომელიც მოგწონთ, თუ ფიქრობთ, რომ ეს წიგნი სხვა ბავშვებსაც მოეწონებათ, მოამზადეთ ორ-სამწუთიანი ზეპირი სარეკლამო პრეზენტაცია. გააკეთეთ პრეზენტაცია კლასში.
6. „დროის ღერძი“. შექმენით დროის ღერძი, რომელიც ასახავს ნაწარმოების მოვლენებს და ისტორიულ ცნობებს ტექსტში ასახული პერიოდის შესახებ.
7. „სახვითი ხელოვნება“. შექმენით ნაწარმოების ან მისი რომელიმე ნაწილის ილუსტრაცია ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი ტექნიკის გამოყენებით:
 - გააკეთე კადრირება ნაწარმოების საუკეთესო ეპიზოდების მიხედვით;
 - შექმენით კომიქსი;
 - დახატეთ ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი;
 - დახატეთ ნახატი, რომელიც გამოხატავს პერსონაჟის, მოვლენის ან სიმბოლოს არსებით მახასიათებლებს;
 - გადაიღეთ ვიდეოკლიპი.
8. „ზედსართავები“. შეარჩიეთ ხუთი ზედსართავი სახელი თქვენ მიერ წაკითხული მოთხრობისთვის (ან პერსონაჟისთვის). ახსენით თქვენი არჩევანი და დაუკავშირეთ ის ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთებს.
9. „პიროვნული რეკლამა“. შეარჩიეთ რამდენიმე პერსონაჟი წიგნიდან და მოამზადეთ პიროვნების წარდგენა. მწერლის მიერ გადმოცემული მახასიათებლების მიხედვით.
10. „დროის მანქანა“. დაწერეთ სცენა ან ამბავი, რომელიც მოგვითხრობს პერსონაჟის მოგზაურობას დღევანდელ დროში.

11. „ბიოგრაფია“. დაწერეთ რომელიმე თქვენთვის საინტერესო მოკლე ბიოგრაფია.

შეგიძლიათ წიგნის კითხვის პროცესში დაიწყო და თანდათანობით შეავსოთ ან წაკითხვის შემდეგ დაასრულოთ.

12. „მცირფასო კლასელო!“ მიმოწერის დღიურის ან ელექტრონული ფოსტის გამოყენებით აწარმოეთ მიმოწერა რომელიმე კლასელთან წიგნის კითხვის პროცესში.

4. მოსწავლეთათვის წაკითხული ტექსტების გაგება-გააზრების უნარის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაკვეთილზე აქტიურად დავიწყე გაგების სტრატეგიების სწავლება მოსწავლეთათვის, რადგან გაგების სტრატეგიების სწავლება ეხმარება მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს აქტიურ, მიზანზე ორიენტირებულ მკითხველად, რომელიც კითხვის დროს აკონტროლებს იმას, თუ რა და როგორ გაიგო.

ტექსტის გაგება-გააზრების გაუმჯობესების მიზნით გაკვეთილზე ყოველთვის ვიყენებდი შემდეგ სტრატეგიებს:

- წინარე ცოდნის გააქტიურება;
- ვარაუდების გამოთქმა;
- ტექსტის სტრუქტურის დადგენა;
- კავშირების დამყარება/პარალელების გავლება;
- შეკითხვების დასმა;
- წარმოსახვ/ ვიზუალიზება;
- შეჯამება და ძირითადი აზრის გამოკვეთა;
- ჩაწვდომა/მიხვედრა/დასკვნების გამოტანა;
- თვითმონიტორინგი.

აღნიშნულ სტრატეგიებს რა თქმა უნდა კვლევის დაწყებამდეც ვიყენებდი გაკვეთილზე, მაგრამ ამჯერად გადავწყვიტე, მოსწავლეთათვის კარგად ამეხსნა თითოეულ სტრატეგიასთან დაკავშირებით, თუ რატომ, როდის, რომელ მათგანს და როგორ ვიყენებთ გაკვეთილზე. სტრატეგიებს კომბინირებულად ვიყენებდი, რადგან ეს ტექსტის გაგება-გააზრებას მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა. მოსწავლეებსაც ვაჩვენდი, რომ მაგალითად, შეკითხვების დასმისა და შეჯამების სტრატეგიები ერთდროულად გამოეყენებინათ. მოსწავლეები ნელნელა უკეთ დაეუფლნენ სხვადასხვა სტრატეგიას და გაკვეთილზე განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებზე ათვისებული სტრატეგიების გამოყენებით მუშაობდნენ.

წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის გაუმჯობესების მიზნით გაკვეთილზე დავიწყე მრავალფეროვანი მეთოდების/აქტივობების დანერგვა - გამოყენება. ხშირად ვიყენებდი გრაფიკულ მაორგანიზებლებს, რადგან გრაფიკული მაორგანიზებელი არის მარტივად და თვალსაჩინოდ წარმოდგენილი ტექსტის შინაარსი, რაც ეხმარება მოსწავლეს, ამოიცნოს, სისტემურად დაინახოს და დაიმახსოვროს ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, რომლებიც მას წაკითხულის დასამუშავებლად და გასააზრებლად სჭირდება. ვცდილობდი, მიმეჩვია მოსწავლეები, დამოუკიდებლად კითხვის დროს თავად გამოეყენებინათ სხვადასხვა მარტივი სახის გრაფიკული მაორგანიზებლები. იმისათვის, რომ გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება შედეგის მომტანი ყოფილიყო, ვაკვირვებდი და ვუხსნიდი მოსწავლეებს ამა თუ იმ ტიპის ტექსტის (მაგ:საინფორმაციო, მხატვრული და სხვა) გასააზრებლად რომელი სქემის, დიაგრამის გამოყენება იქნებოდა უკეთესი.

გაკვეთილზე ხშირად ვიყენებდი შემდეგ აქტივობებს:

კითხვის დაწყებამდე : ვარაუდების ცხრილი; ცნებათა კლასიფიკაცია; პირველი სტრიქონი; მოისმინე, წაიკითხე და იმსჯელე; ხმამაღლა ფიქრი.

კითხვის დროს: ორმაგი ჩანაწერები; მთავარი, ნაკლებადმთავარი და მეორეხარისხოვანი; კითხვის გზამკვლევი; სემანტიკური კავშირები; ამბის რუკა.

კითხვის შემდეგ: კლასში დასატოვებელი ბარათები; ჩარჩოები; კითხვები ავტორს; კითხვა და პასუხი; შევაჯამოთ წაკითხული.

მაგალითისათვის გთავაზობთ რამდენიმე აქტივობის გამოყენების ნიმუშს.

აქტივობა: კითხვის გზამკვლევი. ეხმარება მოსწავლეებს შედარებით რთული, უპირატესად დარგობრივი ტექსტების წაკითხვაში. შევარჩიე ტექსტი „დიდგორის ბრძოლა“ ლევან სანიკიძის მიხედვით. წასაკითხი ტექსტის მიხედვით შევადგინე გზამკვლევი.

გზამკვლევის ნიმუში:

- რა არის ტექსტის მთავარი თემა/რას ეხება ტექსტი? -----
- რა არის ავტორის მიზანი? -----
- ავტორი საუბრობს განსხვავებაზე (ან მსგავსებაზე) ----- და ----- შორის.
- რომელ წელს მოხდა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა? -----
- ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც ----- გააკეთა იყო -----

- ავტორის დამოკიდებულება ----- მიმართ არის

- ჩემი დამოკიდებულება ----- მიმართ არის

- ამ ტექსტიდან ვისწავლე/გავიგე, რომ -----
- ამ ტექსტში აღწერილ მოვლენას შევადარებდი -----

დავურიგე მოსწავლეებს კითხვის გზამკვლევი და ვთხოვე, კითხვის პროცესში შეეესოთ იგი, აქტივობის საწყის ეტაპზე თავად ვუძღვებოდი კითხვის პროცესს და ვეხმარებოდი მოსწავლეებს გზამკვლევზე მუშაობაში.

გზამკვლევი დაეხმარა მოსწავლეებს:

- ტექსტიდან ძირითადი საკითხების გამოკვეთასა და გაგებაში;
- ინფორმაციის ორგანიზებაში.

აქტივობა გამოვიყენე ინდივიდუალურად. შეიძლება მისი გამოყენება წყვილებში ან მცირე ჯგუფებშიც.

აქტივობა: **ამბის რუკა**. იმისათვის რომ გამეადვილებინა რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ბიჭი მალხაზის“ გაგება გააზრება, შევთავაზე მოსწავლეებს გრაფიკული მათემატიკის გამოყენებას, რაც გაუადვილებდათ მათ ტექსტის ყველა ძირითადი (მნიშვნელოვანი) დეტალის ორგანიზებას.

ტექსტის მიხედვით შევადგინე ამბის რუკა, რომელსაც მოსწავლეები ავსებდნენ ტექსტის კითხვისას.

მოქმედების ადგილი დრო. სად? როდის?	
მთავარი გმირები სხვა პერსონაჟები	
შინაარსი (სიუჟეტი) რა პრობლემაა დასმული ტექსტში	
როგორ განვითარდა მოვლენები: მოთხრობის დასაწყისში მოთხრობის შუაში მოთხრობის დასასრულს	
თემა რა არის ამ მოთხრობაში	

ყველაზე მნიშვნელოვანი? რა არის ავტორის მთავარი სათქმელი?	
--	--

მოსწავლეებმა ჯერ წაიკითხეს ტექსტი დამოუკიდებლად. მონიშნეს მათთვის უცხო სიტყვები და ბუნდოვანი ადგილები. კითხვის დასრულების შემდეგ, ერთიანი ძალებით, განვმარტეთ უცხო სიტყვები და ბუნდოვანი ადგილები. შემდეგ მოსწავლეებმა დაიწყეს დამოუკიდებლად ამბის რუკის შევსება. ამბის რუკის შევსების შემდეგ კლასში განვიხილეთ ნამუშევრები და მოეწყო დისკუსია.

ამ სქემის შევსებისას მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ მთავარ თემაზე, პერსონაჟებზე, მოქმედების ადგილსა და მოვლენათა თანამიმდევრობაზე, თანაც ამ ყველაფერს თავს უყრიან გონებაში. აქტივობა ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების გვანვითარებას. მოსწავლეებს გამოჰქონდათ დასკვნები, დისკუსიის დროს გამოხატავდნენ და არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ საკუთარ მოსაზრებებსა და შეხედულებებს. აქტივობა შეიძლება შესრულდეს წყვილებში და მცირე ჯგუფებში.

მეთოდი „კუბი“ ტექსტის გააზრების საუკეთესო მეთოდია. გამოვიყენე ტექსტი „კომპასი“ (ავტორი ირმა მალაციძე). მოსწავლეებს წავუკითხე ტექსტის სათაური, გამოვათქმევინე ვარაუდები სათაურთან დაკავშირებით. ტექსტი წავუკითხე „ორიენტირებული მოსმენისა და აზროვნების“ მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის გამოყენების დროს მაღალია მოსწავლეთა ჩართულობა, საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება. მოსწავლეებმა გამოთქვეს ვარაუდი და შეავსეს წინასწარ გამზადებული ცხრილი, ამის შემდეგ გამოვიყენე „კუბის“ მეთოდი. დავამზადე დიდი ზომის კუბი, ექვსივე გვერდზე დავაწერე სიტყვა, რომელსაც შევუსაბამე კითხვა (კითხვები განაწილებულია ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით).

გვერდებს აწერია:

- დაასახელე;
- ახსენი;
- გადაწყვიტე;
- გაანალიზე;
- მოიფიქრე;
- შეაფასე.

მეთოდი „კუბი“ ავითარებს შემდეგ უნარებს: შემოქმედებითობა, აზროვნება, ტექსტის გააზრება, დასკვნების გამოტანა, თანამშრომლობა და ლოგიკური აზროვნება.

ხშირად ვიყენებდი მეთოდს „თხრობა სხვადასხვა ინტერპრეტაციით“.

ეს მეთოდი ტექსტის გააზრებისათვის ძალიან კარგი საშუალებაა. მოსწავლეს შეუძლია, ტექსტი გააანალიზოს სხვადასხვა კუთხით და წარმოაჩინოს იგი ერთ-ერთი პერსონაჟის მხრიდან. მეთოდი მოსწავლისათვის საინტერესოცაა, რადგან, გარდა მოთხრობაში მოცემული სიტუაციისა, თხრობის დროს, ფანტაზიასაც ააქტიურებენ. მოსწავლეები ეჩვევიან მოსმენას, გადმოცემასა და ანალიზს.

მოსწავლეთათვის საინტერესო და ეფექტური იყო, ასევე, მეთოდი „ცხელი სკამი“, რომელიც საუკეთესო საშუალებაა კარგად გაიაზრო ტექსტი. მოსწავლეებს მივეცი დავალებად, რომ მოერგოთ ერთ-ერთი პერსონაჟის როლი. შემდეგ ერთ-ერთი მოსწავლე დაჯდებოდა სპეციალურად გამოყოფილ სკამზე, დანარჩენი მოსწავლეები კი დაუსვამდნენ ამ პერსონაჟისთვის განკუთვნილ კითხვებს. ყველაზე საინტერესო შეკითხვის ავტორი გამოვიდოდა უკვე სხვა ან ამავე პერსონაჟის როლში.

ეს მეთოდი ავითარებს:

- შემოქმედებითობას;
- ანალიზის უნარს;
- მეტყველების უნარს;
- შეკითხვების დასმისა და მათი სწორად ფორმულირების უნარს;
- ფანტაზიის უნარს;
- მოსმენის უნარ-ჩვევებს.

გაკვეთილზე სისტემატურად ვიყენებდი შემდეგ მეთოდებს/აქტივობებს:

✚ „პირველი სტრიქონები“. ამ მეთოდის გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს:

- ვარაუდების გამოთქმის სტრატეგიის გამოყენებაში;
- ტექსტის შინაარსზე ფოკუსირებაში.

✚ „პერსონაჟის რუკა“. იგი ხელს უწყობს:

- ტექსტში პერსონაჟის შესახებ ყველა ინფორმაციის მოძებნას, გააზრებასა და დასკვნების გამოტანას;
- არგუმენტირების უნარის განვითარებას ტექსტიდან სათანადო ადგილების მოშველიებით;

- პერსონაჟის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვის უნარის განვითარებას.

✚ „დებატები“. (ისევე, როგორც დისკუსია) მოსწავლეებს:

- ეხმარება საკითხის, პრობლემის სიღრმისეულ გააზრებაში;
- უვითარებს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული მსჯელობით დაცვის უნარს;
- აჩვენებს არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ჩამოყალიბებას;
- უვითარებს რიტორიკულ და ლოგიკურ უნარებს;
- ხელს უწყობს ურთიერთთანამშრომლობითი უნარების გამომუშავება-განვითარებას.

✚ „დაამყარე კავშირი“. მეთოდის გამოყენების დროს:

- მოსწავლეები შესწავლილ თემას/ნაწარმოებს უკავშირებენ რეალურ ცხოვრებას;
- მოსწავლეები იაქტიურებენ წინარე ცოდნას;
- მასწავლებელს შეუძლია სწრაფად დაადგინოს, თუ რა იციან მოსწავლეებმა თემის/ნაწარმოების გავლის შემდეგ.

✚ „პარალელების გავლება/კავშირების დამყარება“. მეთოდი/აქტივობა მოსწავლეებს ეხმარება:

- წინარე ცოდნის გააქტიურებაში;
- ტექსტის ვიზუალიზებაში;
- ტექსტის მონაკვეთების სიღრმისეულად გააზრებაში.

✚ „5 კითხვა (ვინ? სად? რა? როდის? რატომ?“ მეთოდი/აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- იაზრებენ ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს;
- სწავლობენ ინფორმაციის გამოყოფა-დახარისხებას;
- ივითარებენ ანალიზის უნარს.

✚ „დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე“. მეთოდის/აქტივობის ხშირი გამოყენება მოსწავლეს უვითარებს:

- საკუთარი თვალსაზრისის/პოზიციის/დასკვნების გამოხატვის უნარს;
- კომუნიკაციის უნარს;
- შეჯამებისა და დასკვნების გაკეთების უნარებს;

- ანალიტიკური აზროვნების უნარს;
- აჩვენებს მოსწავლეებს სხვათა აზრის პატივისცემას, მოსმენასა და თანამშრომლობას.

✚ „3-2-1 და მისი ვარიაციები“. მეთოდი/აქტივობის გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- მიღებული ინფორმაციის კატეგორიზების უნარი;
- მთავარი და მეორეხარისხოვანი ასპექტების გარჩევის უნარი;
- შეკითხვის დასმის უნარი;
- საკუთარი მოსაზრებების გამართულად ჩამოყალიბებისა და მსჯელობის უნარები.

✚ „სამწუთიანი პაუზა“. ამ აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს გამოუმუშავებს:

- გაგება-გააზრებისა და ანალიზის უნარებს;
- მიღებული ინფორმაციის საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან დაკავშირების უნარს;
- შესწავლილი საკითხების ახლებურად/თავისებურად ინტერპრეტაციის უნარს.

✚ „მახასიათებლების ცხრილი“. ამ მეთოდით მუშაობის პროცესში მოსწავლეებს უვითარდებათ:

- ამ მეთოდით მუშაობის პროცესში მოსწავლეებს უვითარდებათ:
- გაგება-გააზრების უნარი;
- ინფორმაციის კატეგორიზება-დახარისხების უნარი;
- ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევისა და გამიჯვნის უნარი.

✚ „ვილაცას -უნდოდა-მაგრამ-საბოლოოდ“. ამ აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს ეხმარება:

- პერსონაჟთან დაკავშირებული პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების გააზრებაში;
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვაში;
- ტექსტის გააზრება-შეჯამებაში.

✚ „ტექსტი ამბობს-მე ვფიქრობ-ამიტომაც“. ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- ეჩვევიან ავტორისა და თავიანთი ნააზრების შეჯერებასა და დასკვნების გამოტანას;
- სწავლობენ ტექსტში მოცემული ინფორმაციის ორგანიზებას, რაც ხელს უწყობს ტექსტის სიღრმისეულ გააზრებას;
- სწავლობენ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა-გააზრებას.

✚ „გასასვლელი ბილეთები“. მეთოდი/აქტივობა მოსწავლეებს უვითარებს:

- გაგება-გააზრებისა და ანალიზის უნარებს;
- მიღებული ცოდნის გამოყენების უნარს;
- კითხვაზე პასუხის გაცემის უნარს;
- მიღებული ინფორმაციის შეჯამების უნარს.

✚ „შესასვლელი ბილეთები“. იგი უვითარებს მოსწავლეებს:

- გაგება-გააზრებისა და ანალიზის უნარებს;
- მიღებული ცოდნის გამოყენების უნარს;
- კითხვაზე პასუხის გაცემის უნარს;
- მიღებული ინფორმაციის შეჯამების უნარს.

✚ „კუბი“. ამ აქტივობის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში:

- ცოდნისა და მათალი სააზროვნო უნარების გააქტიურებას;
- დასკვნების გაკეთების უნარს;
- საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბების უნარს;
- რეფლექსიის უნარის განვითარებას მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე.

✚ „პირამიდა“. მეთოდი მოსწავლეებს უვითარდებათ:

- გაგება-გააზრებისა და ანალიზის უნარებს;
- შეჯამებისა და დასკვნების გაკეთების უნარებს;
- ანალიტიკური აზროვნების უნარს;

✚ „თხრობა სხვადასხვა ინტერპრეტაციით“. მეთოდი უვითარებს::

- გაგება-გააზრების უნარს;
- მოსმენილი თუ წაკითხული ინფორმაციის როგორც წერილობით, ასევე ზეპირად გადმოცემის უნარს.

✚ „იდუმალი ყუთი“. ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- ზეპირმეტყველების და ლოგიკური აზროვნების უნარები;
- შემოქმედებითი უნარი;

- არგუმენტირებული მსჯელობისა და გაგების უნარები;
- ამა თუ იმ ნივთის ფუნქციური დანიშნულების ახსნის უნარი.

✚ „ცხელი სკამი“ და სხვ.

მეთოდების/აქტივობების შეტანამ დიდი ხალისი შემატა მოსწავლეებს და საგრძნობლად გაუმარტივა ტექსტზე მუშაობა. ეს პროცესი მათთვის საინტერესოც გახდა და, ამასთანავე, ვატყობდი, რომ მოსწავლეებს გაუადვილდათ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება.

5. გარდა სტრატეგიების, მეთოდების/აქტივობების დანერგვისა და გამოყენებისა, რამაც მართლა დიდი შედეგი გამოიღო წიგნიერებისა და წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების მიმართულებით, ასევე ჩავატარეთ კლასგარეშე აქტივობებიც (ღონისძიებები, პროექტები, ვიქტორინა და კონკურსები) .

ვინაიდან წიგნიერება მოიცავს წერას, კითხვას, მსჯელობას, მეტყველებას, აზროვნებას, ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, ყველა მიმართულებით მემუშავა. ამ მხრივ გამოირჩეოდა „როლური თამაშები“. მოსწავლეებმა მოირგეს მსახიობის როლი და დაიწყეს შესაბამისი როლის განსახიერება. აქტივობა წარმატებული აღმოჩნდა და მოსწავლეებს გაუჩნდათ სურვილი, ხშირად გამოეყენებინათ იგი, შედეგად:

- მიეჩვივნენ ინტონაციურ და სწორ კითხვას;
- განუვითარდათ თანამშრომლობის უნარი;
- კარგად გაიაზრეს მოთხრობა;
- იყო მოტივაციის ასამაღლებელი საშუალება;
- გადაწყვიტეს ყველა იმ წიგნის წაკითხვა, რომლებიც საკლასო ბიბლიოთეკაშია.

• მშობელთა ჩართულობა და სათანადო გარემოს შექმნა სახლში.

იმისათვის, რომ მშობლებს ხელი შეეწყოს შვილებისათვის სახლში წიგნიერების ასამაღლებლად, ვთხოვე, შეექმნათ მათთვის საბავშვო ბიბლიოთეკა. ვურჩიე, წიგნები შეერჩიათ მოზარდის ასაკისა და ინტერესის გათვალისწინებით. გავაცანი ბავშვების ასაკის შესაფერისი ლიტერატურა. გავითვალისწინე ისიც, რომ ზოგიერთ მოსწავლეს სახლში წიგნის კითხვა შეიძლებოდა, დაზარებოდა ამიტომ ვთხოვე მშობლებს, ძილის წინ დაეთმოთ შვილებისთვის 15 წუთი და მათთან ერთად ეკითხათ, ან მოესმინათ ბავშვების მიერ წაკითხული. ვთხოვე, ესაუბრათ წაკითხულზეც.

ინტერვენციის შეფასება

ინტერვიუ მშობლებთან. ინტერვიუ ჩამოვართვი იმ მშობლებს, რომლებმაც შეუქმნეს შვილებს სახლში სათანადო საბავშვო ბიბლიოთეკა და რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ, ინტერესდებოდნენ, საუბრობდნენ შვილებთან წაკითხულზე (14 მშობელი). დავინტერესდი:

- შენიშნეს თუ არა რაიმე ცვლილება შვილებს კითხვის მიმართ ინტერესის გაზრდის კუთხით?
- შენიშნეს თუ არა რაიმე ცვლილება შვილებს წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების გაუმჯობესების კუთხით ან კითხვის ხარისხთან დაკავშირებით?
- თუ შენიშნეს, კონკრეტულად რას ეხებოდა ეს ცვლილება? მშობლებს ვთხოვე, დაწვრილებით ესაუბრათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

ინტერვიუ მოსწავლეებთან. ინტერვიუ მიზნად ისახავდა, გამეგო ბავშვების მოსაზრება ინტერვენციებთან დაკავშირებით (20 მოსწავლე). კერძოდ,

- როგორ შეაფასებ საკლასო გარემოს შეცვლას „კითხვის კუთხის“ მოწყობას?
- გაამართლა თუ არა შენი მოლოდინი კლასში მოწყობილმა ბიბლიოთეკამ?
- გაგიზარდა თუ არა წაკითხვის სურვილი და ინტერესი წაკითხულ წიგნებზე საუბარმა?
- წაკითხვის სურვილისა და ინტერესის გაზრდაზე იმოქმედეს თუ არა მასწავლებლის მიერ შეთავაზებულმა მეთოდებმა/აქტივობებმა?
- განსაკუთრებით რომელ მეთოდს/აქტივობას გამოარჩევდი?
- გაგიადვილა თუ არა ტექსტის გაგება-გააზრება სხვადასხვა სტრატეგიების, მეთოდებისა და აქტივობების დაუფლება-გამოყენებამ კითხვის სხვადასხვა ფაზაში (წაკითხვამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ)?
- განსაკუთრებით რომელი აქტივობის გამოყენება გიყვარს კითხვისას?

- იყენებ თუ არა წაკითხულის გაგება-გააზრების მეთოდებს/აქტივობებს სხვა გაკვეთილებზე ან დამოუკიდებლად ტექსტის უკეთ გაგება-გააზრებისათვის?
- როგორ ფიქრობ, ახალი მეთოდების/აქტივობების გამოყენებამ გაგიზარდა სწავლის ინტერესი გაკვეთილზე?
- იყენებთ თუ არა ახალ მეთოდებს/აქტივობებს სხვა საგნებში სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვისას?
- მოგწონს თუ არა მშობელთან საუბარი წაკითხულ წიგნთან დაკავშირებით?
- გსურს თუ არა ამგვარი მუშაობის გაგრძელება მომავალ სასწავლო წელს?

ინტერვიუ. ინტერვიუს ჩატარების მიზანი იყო, საკვლევ კლასში შემსვლელი პედაგოგებისგან მიმეღო ინფორმაცია:

- შეინიშნებოდა თუ არა მოსწავლეებში რაიმე ცვლილება გაგება-გააზრების შესამოწმებელი დავალებების შესრულების და წაკითხულის გააზრების კუთხით?
- იყენებენ თუ არა მოსწავლეები გაკვეთილზე ტექსტის კითხვისას რაიმე სახის გრაფიკულ მაორგანიზებლებს?
- აუმაღლდათ თუ არა მოსწავლეებს სწავლის მოტივაცია და აკადემიური მოსწრება?
- როგორ ფიქრობთ, გამოიღო თუ არა ინტერვენციებმა გარკვეული შედეგი წაკითხულის გააზრების კუთხით?

ინტერვენციების შესაფასებლად გამოვიყენე **პოსტტესტის** შედეგების ანალიზიც. ის შევადარე პრეტესტის შედეგებს და გამოვიტანე გარკვეული დასკვნები ინტერვენციებთან დაკავშირებით.

ინტერვენციის შედეგები

მშობლებმა აღნიშნეს, რომ წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით, შვილებთან უკვე გააზრებულად და მიზანმიმართულად ურთიერთობენ, რამაც მნიშვნელოვნად გაუზარდა ბავშვებს კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის ინტერესი, ასევე გაიგეს,

როგორ დაეხმარონ შვილებს წასაკითხი ტექსტის უკეთ გააზრებაში, მიხვდნენ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს, სკოლის დავალებების გარდა დამატებით ლიტერატურის კითხვას და ამ მიმართულებით შვილებთან თანამშრომლობას. მშობლებმა აღნიშნეს, რომ ბავშვები უწინდელთან შედარებით უფრო მოკლე დროს ანდომებენ წაკითხულის გაგება-გააზრებას, უკეთესად ასრულებენ გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ საშინაო დავალებებს. თანაც ცდილობენ, დამოუკიდებლად გაართვან თავი დავალების შესრულებას. ასეთმა აქტიურმა მუშაობამ გაუუმჯობესათ კითხვის ხარისხიც, გაეზარდათ სწავლის მოტივაცია, გარკვეულ საგნებში აუმაღლდათ კიდევ შეფასება. მშობლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ადრე არც უფიქრიათ სახლში საბავშვო ბიბლიოთეკის შექმნაზე, არ იცოდნენ, რა წიგნი ერჩიათ შვილისთვის წასაკითხად. მშობელთა თქმით, მასწავლებლის მიერ მათთვის მიცემულმა რჩევებმა და რეკომენდაციებმა დადებითი შედეგი გამოიღო და სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა ბავშვებისთვის. ამდენად, ასეთი ურთიერთობა მათი შვილებისთვის ნამდვილად შედეგიანი იყო.


მოსწავლეებმა ყველა საკითხზე დააფიქსირეს აზრი, რომელიც მართლა გულწრფელი და ღია იყო. მათ აღნიშნეს, რომ მოსწონდათ როგორც საკლასო ოთახში მოწყობილი „კითხვის კუთხე“ და იქ ჩატარებული აქტივობები, ასევე სხვადასხვა სახალისო აქტივობების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში. ისინი ამბობდნენ, რომ განსაკუთრებით მოსწონდათ, როდესაც ამ მეთოდებით/აქტივობებით მუშაობდნენ წყვილებში ან ჯგუფურად. აღნიშნავდნენ, რომ საკლასო ბიბლიოთეკის ამოქმედება კარგი ნაბიჯი იყო, რადგან მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის პროცესში. მათ აქტიურად მიჰქონდათ სახლში წასაკითხად წიგნები. წაკითხული წიგნებიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს კი სიამოვნებით უზიარებდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ თანაკლასელის წახალისებასა და დაინტერესებას, რათა წაეკითხათ ესა თუ ის წიგნი. მათ წაიკითხეს ერთმანეთის საყვარელი წიგნები და ასევე გააცნეს ერთმანეთს საყვარელი პერსონაჟები. მოსწავლეებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ნამდვილად უჩნდებოდათ ინტერესი წასაკითხი წიგნის მიმართ. წაკითხვის სურვილი მათ მრავალფეროვანმა აქტივობებმაც გაუზარდა. განსაკუთრებით მოეწონათ „წიგნის რეკლამა“, „წიგნების ბაზრობა“, პიროვნული რეკლამა“, „ძვირფასო კლასელო“. მოსწავლეებმა აღნიშნეს ისიც, რომ კითხვის სტრატეგიების, მეთოდებისა და აქტივობების კარგად დაუფლებამ და

გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაუადვილათ ტექსტზე მუშაობა, მისი გაგება-გააზრება. განსაკუთრებით გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება, მონიშვნებით კითხვა, ასევე, „როლური თამაშები“, რადგან ინტონაციური კითხვა ეხმარება წაკითხულის გააზრებაში. აღნიშნეს, რომ ტექსტის გაგება-გააზრების ხელშემწყობ მრავალ მეთოდს/აქტივობას დაეუფლნენ და დაიწყეს მათი გამოყენება სხვადასხვა საგნებშიც სჭიროებისამებრ, რამაც გაუადვილა მხატვრული, საინფორმაციო თუ სხვა ტიპის ტექსტების გაგება-გააზრება. ამდენად, კითხვა მათთვის უკვე სახალისოც გახდა და სასიამოვნოც, ტექსტებიდან იგებენ და იმახსოვრებენ ბევრ ახალ და საინტერესო ინფორმაციას და კლასგარეშე შეხვედრებზე უზიარებენ თანაკლასელებს. ასევე ბავშვებს ძალიან მოსწონთ, როცა მშობელი ეკითხება წაკითხულის შესახებ და ერთად მსჯელობენ მის შესახებ. მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი მომავალ სასწავლო წელსაც გაეგრძელებინათ ამგვარი მუშაობა.

საკვლევი კლასის პედაგოგებმაც აღნიშნეს თითქმის ყველა მოსწავლის წინსვლა ტექსტების გაგება-გააზრების კუთხით. მათ თქვეს, რომ მოსწავლეები გაკვეთილზე ტექსტის კითხვის პროცესში უკვე თავად იყენებენ მარტივ მაორგანიზებლებს. მაგ: ორგანიზებული კომენტარები, მონიშვნებით კითხვა, მსგავსებისა და განსხვავების დიაგრამები და ა. შ. მოსწავლეებს თითქმის აღარ უჭირთ გაგება-გააზრებაზე აგებული დავალებების პირობის გაგება და შესრულება დამოუკიდებლად, გაიზარდა მოტივაცია და აკადემიური მოსწრება. მასწავლებლები თვლიან, რომ სწორედ ჩატარებული ინტერვენციების შედეგად გაუმჯობესდა მოსწავლეთა გაგება-გააზრების უნარი.

პრეტესტისა და პოსტტესტის შედეგების შედარებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა წაკითხულის გაგება-გააზრების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც მიგვანიშნებს განხორციელებული ინტერვენციების შესაბამისობაზე საკვლევ პრობლემასთან.

პრეტესტის შედეგები - 20 მოსწავლიდან - სიტყვასიტყვითი გაგების დონის შეკითხვებს: პრეტესტში მხოლოდ 1 შეკითხვას გასცა სწორი პასუხი 18-მა მოსწავლემ; ხოლო პოსტტესტში 2 შეკითხვას გასცა სწორი პასუხი 20-მა მოსწავლემ; ანალიტიკური აზროვნების დონის შეკითხვებში პრეტესტში - 1 შეკითხვას გასცა სწორი პასუხი 11-მა მოსწავლემ; პოსტტესტში - 1 შეკითხვას გასცა სწორი პასუხი 19-მა მოსწავლემ; კრიტიკული აზროვნების დონის შეკითხვებიდან პრეტესტში 2 შეკითხვას გასცა სწორი პასუხი 8 მოსწავლემ; პოსტტესტში 1 შეკითხვას გასცა სწორი პასუხი 20-მა მოსწავლემ.



პოსტტესტის შედეგმაც გვიჩვენა, რომ პრეტესტთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები გაუმჯობესებულია. ჩემი აზრით, შედეგების გაუმჯობესება სწორედ სათანადო ინტერვენციების შედეგია.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩემ მიერ კვლევის დროს დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები ნამდვილად ემსახურებოდა საკვლევი პრობლემის გამოსწორება-მოგვარებას. ინტერვენციების დიდმა ნაწილმა კარგად იმუშავა და სათანადო შედეგიც გამოიღო. ამის აღნიშვნის საშუალებას მაძლევს მასწავლებელთაგან მიღებული ინფორმაცია, მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე დაკვირვება, მშობელთაგან მიღებული ინფორმაცია და თავად მოსწავლეთა პასუხები საკუთარი სწავლის პროცესისა და შედეგის შეფასებისას.

თუმცა, აღვნიშნავ იმასაც, რომ ყველა ინტერვენციამ თანაბრად კარგად ვერ იმუშავა. მაგალითად, დროის ნაკლებობის გამო, მოსწავლეთა მხრიდან შედარებით რთულდებოდა გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დარჩენა იმ მიზნით, რომ ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ წაკითხული წიგნიდან მიღებული შთაბეჭდილება. მოსწავლეებს დარჩენის სურვილი კი ჰქონდათ, მაგრამ ისინი შეზღუდული იყვნენ დროში, რადგან დანიშნული ჰქონდათ სხვადასხვა წრეებზე მეცადინეობები. ამიტომ შეხვედრებზე ზოგჯერ ვჩქარობდით, ზოგჯერ კი გვიწევდა შეხვედრის დროის შეცვლა. როგორც აღვნიშნე, ეს პრობლემა ძირითადად წაკითხული წიგნიდან მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარებისთვის განკუთვნილ შეხვედრებს ეხებოდა.

რაც შეეხება წიგნიერების საათს, ვთვლი, რომ ამ ინტერვენციამ კარგად იმუშავა იმ მოსწავლეებთან, რომლებიც სისტემატურად რჩებოდნენ და არც დროში იყვნენ შეზღუდულნი. მათ მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდათ კითხვის ტექნიკაც, გაგება-გააზრებაც და განუვითარდათ თანამშრომლობითი უნარებიც. ვფიქრობ, ყველაზე უკეთესი შედეგი საგაკვეთილო პროცესში შეტანილი მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებამ გამოიღო.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ კვლევა ჩატარდა დროულად და იყო მნიშვნელოვანი როგორც ბავშვებისათვის, ასევე ჩემთვის. ვფიქრობ, კვლევამ რეალურად გამოავლინა, რა უჭირდათ მოზარდებს. ასევე, ნათლად დამანახა პრობლემის არსი და, რაც მთავარია, გამოავლინა ამ პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზები, რომელთა გადაჭრაც არსებულ რეალობაში შესაძლებელი აღმოჩნდა.

წიგნიერი თაობის აღზრდაში თანაბარი როლი ენიჭება სკოლას, მასწავლებელს, მეგობრებს, ოჯახსა და საზოგადოებას. მხოლოდ სკოლა და მასწავლებელი ვერ შეძლებს მოზარდის წიგნიერების დონის ამაღლებას და სასურველი შედეგის მიღებას. კარგია, რომ ჩვენ შევძელით მშობლებთან ერთად მუშაობა აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. ვფიქრობ, პრობლემის მოგვარების გზა ნაპოვნია, სასურველია მუშაობა არ შეწყდეს არც ერთი მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით მოსწავლეებმაც და მშობლებმაც გამოთქვეს სურვილი, რომ მომავალშიც გააგრძელებდნენ წამოწყებულ საქმეს.

ვუწევ რეკომენდაციებს:

მასწავლებლებს:

- დაგეგმეთ გაკვეთილები ტექსტის გაგება-გააზრებისათვის საჭირო სახალისო მეთოდებითა და აქტივობებით;
- ასწავლეთ მოსწავლეებს კითხვის კონტროლი. ამ მიზნით:
 - მიაჩვიეთ იმ სტრატეგიების გამოყენებას, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები შეძლებენ კითხვის დროს დაშვებული ხარვეზების იდენტიფიცირებას;
 - კითხვის დროს წარმოქმნილი ხარვეზების გამოსასწორებლად ასწავლეთ კონკრეტული სტრატეგიები.
- გამოუმუშავეთ მოსწავლეებს წაკითხულის შეჯამების უნარი. ამ მიზნით:

- ასწავლეთ მოსწავლეებს გრაფიკული მაორგანიზებლებით ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- ასწავლეთ მოსწავლეებს კითხვის დასმა და დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა (წაკითხვამდე; კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ);
- ასაუბრეთ მოსწავლეები წაკითხულზე;
- აუმაღლეთ მოსწავლეებს მოტივაცია:
 - დაუსახეთ წაკითხვის მიზანი;
 - საკითხავი მასალის შერჩევისას გაითვალისწინეთ მოსწავლეთა ინტერესები;
 - წახალისეთ მოსწავლეთა თანამშრომლობა.
- მოსწავლეებთან შეთანხმებით დაგეგმეთ გაგება-გააზრების ხელშემწყობი სახალისო ღონისძიებები;
- დადებითი ეფექტი აქვს სხვადასხვა პროექტის ჩატარებას გააზრებული კითხვის მიმართულებით;
- იმუშავეთ მშობლებთან ერთად მოზარდების წიგნიერების დონის ასამაღლებლად;
- მიეცით მშობლებს ღირებული რეკომენდაციები შვილებთან წიგნიერების მიმართულებით მუშაობისათვის;

მშობლებს:

- იკითხეთ შვილებთან ერთად;
- დაუსვით კითხვები მათ და ასაუბრეთ წაკითხულიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე;

აღვნიშნავ იმასაც, რომ პედაგოგიური კვლევა მნიშვნელოვანი და ღირებული აქტივობაა მასწავლებლისათვის. ის საშუალებას გაძლევს, ჩაუღრმავდე, შეაფასო, შეაჯამო საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობა. გაანალიზო, დაფიქრდე და აღმოაჩინო პრობლემა, რომელიც გარკვეულწილად აფერხებს მოზარდის განვითარებასა და სწავლა-განათლების პროცესს. პედაგოგიური კვლევა დროის გარკვეულ მონაკვეთზე გაწერილი და წინასწარ დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობათა ერთობლიობაა, რომელიც მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს მასწავლებლისგან. კვლევის ეტაპების განხილვისას ვხვდებოდი, რომ შედეგები სხვადასხვა იყო, თუმცა მოსწავლეთა შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ დინამიკაში აშკარა პროგრესი იყო. ჩემი აზრით,

შედეგების გაუმჯობესება პრობლემის გამოსასწორებლად სწორად შერჩეულმა და განხორციელებულმა ინტერვენციებმა განაპირობა. გამოვეყოფდი საგაკვეთილო პროცესში გრაფიკული მათემატიკისა და ვიზუალური სქემების ჩართვას, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვნად დაეხმარა მოსწავლეებს ნაწარმოების სიღრმისეულ წვდომაში, თემისა და იდეის განსაზღვრაში. აგრეთვე, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასა და ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებაში.

წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარება მუდმივი პროცესია და, შესაბამისად, ამ მიმართულებით მუშაობას კვლავ გავაგრძელებ. კვლევის დასრულებით სააზროვნო უნარების განვითარებაზე ზრუნვა კი არ დასრულდა, პირიქით, გრძელდება და მუდმივად გავაგრძელებ დაკვირვებას, თუ როგორ განვითარდება ეს პროცესი.

ვფიქრობ, რადგან ამ დროისათვის მხოლოდ ერთ კლასში ჩატარდა ინტერვენციები, მნიშვნელოვანი იქნება გაგრძელდეს კვლევა და შევისწავლოთ რა შედეგებს მოგვცემს განხორციელებული ცვლილებები სხვა კლასებში.

ამ კვლევით ხელმძღვანელობა შეუძლიათ სკოლებს, რომლებშიც ანალოგიური პრობლემა დგას და ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზებიც იდენტურია მოცემულ კვლევაში აღნიშნულის პრობლემისა. ასევე, მისი გამოყენება შეუძლიათ გაგება-გააზრების საკითხზე მომუშავე მკვლევრებსაც.

ჩემი აზრით, აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანი იყო ჩემი პროფესიული ზრდისთვის, ჩემი სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. კვლევა დამეხმარა როგორც საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებაში, ასევე, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

პირადად მე, კვლევის შედეგად მიღებული გამოცდილება გავუზიარე ჩემს კოლეგებს. ვფიქრობ, იგი დაეხმარება მათ მსგავსი პრობლემების მოგვარებაში.

დანართები

დანართი 1. კვლევის გეგმა

2017-2018	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
პრობლემის განსაზღვრა დიაგნოსტიკა - პრეტესტი	✓						
შედეგების ანალიზი, გამოკითხვა	✓						
პრობლემის გამოკვეთა	✓						
ლიტერატურის მიმოხილვა	✓	✓					
კვლევის გეგმის შედგენა მეთოდოლოგია		✓					
მონაცემების შეგროვება დამუშავება, ანალიზი		✓					
ინტერვენციების დაგეგმვა		✓					
ინტერვენციების განხორციელება			✓	✓	✓	✓	
ინტერვენციის შედეგების შეფასება						✓	
დიაგნოსტიკური ტესტირება - პოსტტესტის ანალიზი						✓	
საკვლევი თემის პრეზენტაცია							✓

დანართი 2

ინტერვიუს კითხვები მასწავლებლებისთვის

1. რაოდენ მნიშვნელოვანია თქვენი საგნის სწავლებისას ტექსტის გაგება-გააზრების უნარი?
2. როგორ ართმევენ თავს მოსწავლეები გაგება-გააზრებაზე გათვლილ დავალებებს?
3. უჭირთ თუ არა დამოუკიდებლად ტექსტის გაგება-გააზრება?
4. თქვენი აზრით, რა აფერხებს მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრების უნარს?
5. როგორ შეიძლება მოვაგვაროთ ეს პრობლემა?

დანართი 3

მშობელთა კითხვარი

ეს კითხვარი შემუშავებულია ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, მანანა კაკაურიძის, მიერ. გთხოვთ, დაუთმოთ რამდენიმე წუთი ამ კითხვარის შევსებას. მნიშვნელოვანია, თქვენი მხრიდან გულახდილი პასუხები. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხები უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ ბავშვს, რომელიც სწავლობს მე-5 კლასში.

თქვენ მიერ შევსებულ კითხვარს გამოვიყენებთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაში, რომელიც ტარდება იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ როგორ დავეხმაროთ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეს ტექსტის კითხვისას გაგება-გააზრების უნარის გაუმჯობესებაში

გთავაზობთ, ერთობლივად დავგეგმოთ და განვახორციელოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს კითხვის უნარების გაუმჯობესებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს როგორც სწავლის შედეგის გაზრდას. ასევე წიგნიერების დონის ამაღლებას.

თქვენი მონაწილეობა კვლევაში ნებაყოფლობითია. შედეგები აისახება მხოლოდ შემაჯამებელ ფორმაში; არც ერთი პირი არ იქნება იდენტიფიცირებული.

1. აქვს თუ არა თქვენს შვილს სახლში საკუთარი საბავშვო ბიბლიოთეკა?

- ა) ცალკე არ აქვს;
- ბ) გვაქვს საერთო ბიბლიოთეკა;
- გ) აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა;
- დ) სახლში ბიბლიოთეკა არ გვაქვს.

2. ეხმარებით თუ არა წასაკითხი ლიტერატურის შერჩევაში?

- ა) არ ვიცი რომელია მისი ასაკის შესაფერისი ლიტერატურა;
- ბ) ვურჩევ, მაგრამ ჩვენი გემოვნება არ ემთხვევა;
- გ) მირჩევნია მასწავლებელი დაეხმაროს;
- დ) მიმაჩნია ბავშვს დამოუკიდებლობა და თავისუფლება უნდა ჰქონდეს.

3. იცით თუ არა, რა სახის ლიტერატურა უყვარს თქვენს შვილს?

- ა) არ დავინტერესებულვარ;

- ბ) მეტნაკლებად ვიცი რა მოსწონთ მის ასაკში ბავშვებს;
- გ) ვაკვირდები და ვიცი მისი ინტერესები;
- დ) ზუსტად ვიცი, რადგან ვეკითხები.

4. როდის კითხულობს თქვენი შვილი დამატებით ლიტერატურას?

- ა) მშობლის დაჟინებული თხოვნის ან ჩხუბის შემდეგ;
- ბ) მასწავლებლის მითითებით;
- გ) როცა თავად გაუჩნდება სურვილი წაიკითხოს;
- დ) როცა მე დავაინტერესებ წიგნით ან მე ვუკითხავ.

5. საუბრობთ თუ არა შვილთან წაკითხულის შესახებ?

- ა) არ განვიხილავთ წაკითხულს;
- ბ) თუ თავად დამიწყო საუბარი, რა თქმა უნდა ჩავერევი;
- გ) ყოველთვის ვმსჯელობთ წაკითხულის ირგვლივ.

6. თქვენი აზრით, რა განაპირობებს ბავშვებში წიგნიერების დაბალ დონეს?

- ა) კომპიუტერს უთმობენ მეტ დროს;
- ბ) არ აქვთ კითხვის სურვილი;
- გ) არ აქვთ საინტერესო და მრავალფეროვანი ლიტერატურა;
- დ) არ აქვთ წიგნიერების დონის ამაღლებისათვის შესაფერისი გარემო შექმნილი.

დანართი 4

ინტერვიუს კითხვები მოსწავლეებისთვის:

1. სად, როგორ გარემოში გირჩევნია კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა?
2. შენი აზრით, შეიძლება თუ არა კლასში მოეწყოს კომპორტული გარემო კითხვისათვის?
3. გაგვიზიარე შენი მოსაზრება საკლასო გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით?
4. რა აზრის ხარ საკლასო ბიბლიოთეკის შექმნაზე?
5. რა ტიპის საკლასო ღონისძიებების ჩატარებას ისურვებდი წიგნის კითხვისადმი ინტერესის გასაღვივებლად?

დანართი 5

ანკეტირება-კითხვარი (წერიტი ფორმით)

1. გიყვარს თუ არა წიგნის კითხვა და თუ კითხულობ ყოველდღე? რამდენ დროს უთმობ დღის განმავლობაში კლასგარეშე ლიტერატურის კითხვას? (40 წთ. და მეტი; 30 წთ; 15 წთ; არ ვკითხულობ) -----

2. . რა თემაზე დაწერილი წიგნები გაინტერესებს და თუ გყავს საყვარელი ან მისაბამი პერსონაჟი? -----

3. დაგიკარგავს თუ არა ინტერესი წიგნის კითხვის დროს და რითი იყო ეს გამოწვეული? -----

4. რა სიძნელე გხვდება კითხვისას? -----

5. გიჭირს თუ არა ტექსტის გააზრება? თუ გიჭირს როგორ გგონია, რა გაფერხებს? (უცნობი სიტყვები, დიდი ტექსტი, უყურადღებობა, ჩემთვის უცხო და რთული საკითხი, და ა.შ.) -

6. მიბრუნებიხარ თუ არა კითხვისას უკვე წაკითხულ ეპიზოდს ბუნდოვანი ადგილის უკეთ გასააზრებლად ანდა შენთვის საჭირო ინფორმაციის დასაზუსტებლად? -----

7. თუ ისარგებლებთ საკლასო ბიბლიოთეკით? შენი აზრით, როგორ გამოადგება საკლასო ბიბლიოთეკა იმ მოსწავლეს, რომელსაც არ უყვარს კითხვა? -----

დანართი 6

პრეტესტი

G-FRIED

თხრობითი ტექსტის გაგება-გაზრდა

დაცირებული წაკითხე ტექსტი და უახლესი შეკითხვები.

სუფლირი

მთავარი გაგებები. მასწავლებელმა რჩეოთ გაიხსნა. რჩეოთ თამამად გაიხსნა დამთავრებული. აილი ცარი და სალომესკენ შეტრიალდა. სალომე ჩვეულებრივ მოეწადა საკანხოდ და სანახობა დიწყო. სულგანბული კლასი აღტაცებით ადევნებდა თვალს ორი ვირტუოზის დღევანდელ კლასიკურს ეს უცხო სანახობა არ არის. მასწავლებელი ხშირად იხსენებდა რჩეოს, სალომე ყოველთვის ისტატურად კარნახობს. და ეს სტატეკალი არავის ზეზრდება. სალომე რჩეოსთანარი ნიჭიერი მოკარნახე-შეწარმული დამახარებულ პედაგოგებსაც ჯერ არ შეუძევდრიათ. კარგა ხანია სალომე რჩეოს მაგივრად აზადებს სანახო დავალებებს. ამავგებს რვეულებით. კლასში მის მაგივრად მორიგობს. და, რაც მოვარია, კარნახობს ხოლმე. ის კარნახი ჯადოქარია. თავის მხრივ, რჩეოთ კარნახის დავების ჯადოქარი გახლავთ. და აი, ახლაც დამატარი მასწავლებელს დავის თვლი შეველი და დარწმუნდა, რომ თეორიას დამტკიცებულა.

ერთ დღეს რუსულის მასწავლებელს ღრმისტივის პირტიტის რეპრადუცია მოიტანა და დავაზე მიატო. მაგრამ პირტიტის ვის ევალა? დავაშიან რჩეოთ იყო გახსებული. სალომე კი რთული კარნახისთვის ეწადებოდა. სანახო დავალების ამხსელი უამრავი მასალა ჰქონდა მოტანილი. სალომეს ნიშნით სისტემის აღწერა სიტყვებით შეუძლებელია. რჩეოთ ისტატურად და შეუფერხებლად იქნა ამ ნიშნებს და სიტყვებზე აქცევა. ასეუი დაწრდება. კლასში თავი ვერ შეუკავა და აპლოდისმენტებით დაეილდოვა სტატეკალის ორივე მონახელ. მასწავლებელი კი ვერ მალავდა გარუტას.

ენი იყის, ასე როდემდე გაგრძელდებოდა, კიდევ რამდენ მწვერვალს დაასწრებდა მოკარნახე-შეწარმული, რომ გაუფრულის ერთ სადამის სალომე გარე არ გასულიყო. ორ რვეულში ერთი ლიტერატურული თეზის ორი ვარიანტი დიწყო, თეზისთვის და რჩეოსთვის. ორ რვეულში ორჯერ ამოხსნა გასტილება. ზეპირად ისწავლა გალექიისის ლექსი. ითხი ფანქარი გაიღია

G-FRIED

სატესტო გაგებებისთვის. და ზოლის დადგოლი. მაგრამ ვსაფიფილი. გარეთ გავიდა.

სადამი თხილი იყო. სადამი ნიჭი კროდა. რჩეოს ნახვის იმედი ჰქონდა. ნახა კიდევ... ფოსტის შენობისთან რჩეოთ გამოწნა. მესამეყოლულ ლამზმან ლეკსთან ერთად მოეწარნოდა. ლეკა დუხარულხლად კრესტებდა. ასე და ნეხორ რჩეოს მხარე ორი ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. თეზის და ლეკსი. სალომე გაუფრულის გუბურს ამოეფარა. მაგრამ დამდე არც იყო სპირო. მათთვის არ ევალთ...

მეორე დღეს რჩეოთ პირველივე გაგებულზე გაიხსნა ქართულის მასწავლებელს.

მან თეზისი ცნობილი ფრზა წარმოიტყვა: - ქეთათელადე. გამობრძანდი და მოეცახსენე, რაც იგი და რაც გადგავიწყდა.

რჩეოთ თამამად გაიხსნა. ჩვეულებრივ სალომეს მოსტერდა. კარნახის სახელოვანი ისტატი კი ვანერისაკენ იფრებოდა. აკაციის ტიტებზე ზღერებდა დასტოდნენ. ფლურტულენზნენ და თეადოზიფიად არჩევდნენ რადიკ მოდაიჯზურ საკითხის.

პაუზა არამერხრიად ხანგრძლივი აღმოწნა. კლასში იყნა, რომ არანახული და წარმოუდგენელი რამ უნდა მომდარიყო. ევალ სალომეს შესტეროდა. გოგინა კი აკაციის ზეზე მოთამაშე ზღერებს უჯერებდა. მას რჩეოსთვის არ ევალა. საკუთარი ფიქრების მორცეში ჩამოწულიყო.

- ექვ - დაუბნა რჩეოთ. ვერ მომედარიყო. რა ხდებოდა.

მასწავლებელი მოუახლოვდა სალომეს და დედამეილურად ჰკითხა:

რჩეოსთვის არ ევალა. საკუთარი ფიქრების მორცეში ჩამოწულიყო.

- რა ხდება. გაგებოლი არ იგი?
- ვიგი - მტკიცედ მოუყო გოგინამ.
- ავად ხომ არ ხარ?
- არა.

მასწავლებელს საკლასო ჟურნალში რჩეოს გვარის გასწერე შეელო ორიანი ჩაწერა.

3

წაკითხე შეკითხვები, შეარჩეე სწორი პასუხი და შეზღუდულ შესაძლებლობაში ანო (ა, ბ ან გ).

1. „კლასი აღტაცებით ადევნებდა თვალს ორი ვირტუოზის დუეტს“? რას ნიშნავს სიტყვა ვირტუოზი?
 - ა) მეტად მონდიოზულის.
 - ბ) საკმაოდ მოზადებული.
 - გ) ძალიან დახელოვებული.
2. რას უწოდებს ავტორი სპექტაკლს?
 - ა) აკეთის ტიტულზე ზეღერების კლერტულს.
 - ბ) არამეტეროვად ხანგრძლივ პაუზას.
 - გ) მოკრანზე შეშრული დუეტს.
3. რომელ წინადადებაშია ფრაზიოლოგიური გამოიყენა?
 - ა) „მასწავლებელი დარწმუნდა, რომ თეორემა დამტკიცებულია“.
 - ბ) „რეზიკო ჩვეულებისამებრ საღომეს მოამტკიცა“.
 - გ) „სულგანბული კლასი აღტაცებით ადევნებდა თვალს“.
4. რომელი წინადადიდან ჩანს, რომ საღომე ყოველთვის კარნახობდა რეზიკოს გაგებითს?
 - ა) „კლასიხივის ეს უცხო სანახაობა არ არის“.
 - ბ) „მასწავლებელი კი ვერ მალავდა გაოცებას“.
 - გ) „რეზიკო კარნახის დატყობის ჯადოქარი გახლავით“.
5. „ერ იცის, ასე როდემდე გაგრძელდება, კიდევ რამდენ წვეწვრვალს დაიპყრობდა მოკრანზე შეშრული“... ამ წინადადებაში „წვეწვრვალს დაიპყრობდა“ გამოყენებულია:
 - ა) გადატანითი მნიშვნელობით.
 - ბ) ორივე მნიშვნელობით ერთად.
 - გ) პირდაპირი მნიშვნელობით.

page 3 / 5

G-PRIED

6. რეზიკო დავასთან ყოველთვის თამაშად გადიოდა, რადგან:
 - ა) გაგებითი ძალიან კარგად იცოდა.
 - ბ) მასწავლებელს მოსწონდათ მისი პასუხი.
 - გ) საღომესაგან კარნახის იმედი ჰქონდა.
7. რატომ ჰქონდა საღომეს გაგებითურ მოტანილი დავალების ამსახველი უამრავი მასალა?
 - ა) კარგად რომ გასეხა მასწავლებლისათვის.
 - ბ) კარნახისა რომ გამოეცხებინა.
 - გ) მალე შეესება რომ დაეშასურებინა.
8. რატომ იყო შეგადინებით დადგლი საღომე კმაყოფილი?
 - ა) ზუსტიად ისევე გალაკტიონის ღვთი.
 - ბ) მან რეზიკოს ნაველიად შესრულა დავალები.
 - გ) ხატის გაგებითისათვის დაქრები მიიხრავა.
9. საღომეს ავტორისული დახასიათებიდან, რომელი იგრძნობა იუმორი?
 - ა) „დადგლი, მგერამ კსაყოფილი“.
 - ბ) „კარნახის სახელოდანი ისტატი“.
 - გ) „საკლთარი ფიქრების მორეცვი ჩამორულიყო“.
10. რატომ მოუხაროდა საღომეს სადამის გარეთ გასვლა?
 - ა) გაზაფხულის პარის ჩასუნთქვა უნდოდა.
 - ბ) რეზიკოს ნაფის იმედი ჰქონდა.
 - გ) საღომე თბილი იყო და საამო ნიავი ქრიდა.
11. რატომ ამოუფარა საღომე ჯიხურს?
 - ა) აირტერებდა, სად წავიდოდნენ რეზიკო და ლეკა.
 - ბ) თივი შეურაცხყოფილად იგრძნო და არ უნდოდა, მათ ეს შეეშინათ.
 - გ) შეესინდა, რეზიკო თუ დაინახავდა, უსაცდელურება თვალთვალს.

12. „ამჟამად ნებისმიერ რეზიკოს მხარზე ირი ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული“, რას ნიშნავს სიტყვა ნებისმიერი?

- ა) თავისუფალი. ბ) თანამოს. გ) უზრუნველყოფილი.

13. რა მატერიალური სახეა მოცემული წინადადებაში?
„ბელარუსი დასტოვდნენ და თავდადებულად არჩევენ რაღაც მომენტისთვის“.

- ა) გაბრუნება. ბ) გათიქვა. გ) შედარება.

14. „საუბრა არაბურებიდან ხანგრძლივი აღმოჩნდა“, - წერს ავტორი. რა მოვლადი გაუჩნდა კლასს?

- ა) არაბული და მოვლადური რამ მოხდებოდა.
ბ) მასწავლებელი რეზიკოს მოუწადინებოდა აპატივდებოდა.
გ) მასწავლებელი სალომეს შენიშვნას მისცემდა.

15. რატომ აღარ უყარან სალომეს რეზიკოს?

- ა) აკაცის ხეზე მოკამათე ბელარუსის ქვეყნით გაერთიან.
ბ) ქვეყნის, სხვა გეოგრაფიისათვის ერთად რომ სერიოზულად რეზიკოს.
გ) ჩვეულებრივად ელარ შენიშვნა რეზიკოს დავისათვის გასახელება.

დანართი 7

პოსტტესტი

თხრობითი ტექსტის გაგება-გაზრება

დღევანდელი ქართული ტექსტი და უახლესი მკვლევარი.

ჩამოშვებული მინა

გულში მინა დიდის ფანჯრის მინა ჩვეულებრივ.

ტანში გრუნტელა დაბირა და ჩვენი ცხის იასამნებში დიდებულ.

ერთხელ პატარა გულში მინა დიდის ფანჯრის მინა. მინა მინა ახლა
ბისთან გაშვებანი და ახალი მინა ჩვეულებით...

მალევე შევედი ოთახში. პატარა ჩვეულების კამდა. მე რომ დამანახა, მინა
ამოვიყარა და უიხრა:

- რატომ მინა დიდის ფანჯრის მინა ჩვეულებით?

მინამ თავდაუწველად თქვა:

- პოოო...

დედის თითქმის არ გაუგონია. მეორე ოთახში გავიდა.

მე სკამზე დიდებულ და პატარა თვალში დიდებულად.

- პოო: - თქვენ მინა და გულში აიღო. - რათა გატეხე?

- მუდმილად. მუდმივად ოთახში ფიქრობა დიდებულად. იმის ვფიქრობ.

ფანჯრის კი მოხდეს. - ეთქვა მე. მინა მტერი არეფერი უთქვამს.

როცა დიდებულ და დასაბრუნებლად დიდებულ. პატარა წამოვრდელი:

- ნეტავ ახლა რას მოგივლევს მინა?

მინა მალე წინ ამხედა გვერდის ხოლმე. ჩვენი კუთხრით და ეთქვანო. ოთახში
მინა შესვიდა. სკამი ჩვენს საწოლზე მუა ჩადგა. ზეგნი საწოლზე მოგვინდო და
დაიწყო:

- მე როცა თქვენსათვის პატარა ვიყავი, ძალიან დიდ ქალაქში ვეხოვრობდი...

- თბილისში?

- პო, თბილისში.

ერთი კონა მუხიბული მეფეა. კარგად არ მახსოვს. გაეცა ვრცელ თუ გვიცა. იმ
ბიჭს მუხიბული ჰქონდა. ეთქვანო. მუდმილად. იმ მუდმილად. ხან

G-PRIED

ბელურებს დასდევდა, ხან კატებს. ერთზე მეტივე სართულზე ფანჯრის მან ჩამხშვრია...

- მარჯვედ უწოლი! - თქვა პატამ.
- კარგი შურდული ჰქონია! - ვთქვი მე.
- რა მოხდა შერე? - არ დავიბნეხი. მამა - ფანჯრის მან ჩამხშვრის შემდეგ პატა ატყუდა. ზოგჯერ სიტყვა და ვერაფერი - მარცხი მამის გოგამ თუ გავს მუთხზე სართულზე რომ მან ჩამხშვრია. სულ სხვა ამბები მოხდა. თურმე იმ ფანჯრისთან პატა გოგი იწვა და ეხმა. მინის ნაქტრევი ზეხლში მოხვდა და გაუქრა. დედა თურმე მართალი იყო წასული. გავლას გოგონას და დიდი ტირილი გაუღეს მუთხიდან. შევიდნენ ოთახში და რას ხედავენ! სიხლი თქვილი ჩამხშვის შემდეგ. გამოუხსნეს ტყმა. გაიხრე ავადყოფი. მუტხი ზეხლი და თქვა:

- ახლევ საცადმოფიში უნდა წაიფიში.

ორი კვირა საცადმოფიში იწვა მუტხიგერილი გოგონა... მუტხი აღარ სტოვდა, წაქროლივე კი გუგოვდა. იმ ბიჭებს შურდული რომ არ ჰქონოდა...

- შერე, ახლა სად არის ის გოგონა? - წამოიხსა პატამ.

მამა ცოტა ხანს დიფიქდი, შერე თქვა:

- ის გოგი ახლა დიდი ქალი და თვითონ სესხ პატარა მუტხის.
- შერე, სად არის ის ქალი? - აღარ მოეწეა პატა.
- ის ქალი ახლა ავტო არის, საშარეული.

დედას მუტხზე მართლაც აქვს წაქროლივე. მე და პატა სწოლიდან წამოიჭრით და კარს ვეფით.

- სად მოხვლი? ახლა დიდიხე და ხეალ ნახეთ, - გვიხიზნა მამამ.

მამა ოთახიდან გაიდა. მდრამ კარზე ხანს რეფი არ მოეცა. გვიან ჩამხშვის და დედა დასტოვრია.

გათყდა, ხანთი გადიდებდა და წამოიქცა. პატა უკვე ამდგარიყო. სხვა დროს კონსტანტის ელფიქსიდი ხოლმე ახლა კი გასარეფი. მუტხი, თვალის დახამხამებში აეფიქსი, ტანი ჩაეფიქსი და კიბე ჩაეფიქსი. მუტხი უკვე ფანჯრისგან, მუტხი უკვე იქ მარტო ჩხი შურდული დამხვდა.

დედა თურმე პატრედი პურის დასახიზნად. ჩხი შურდული ჩხიდე გახურებული თურმე ჩაეფიქსი. ეს ამბავი არც დედას მუტხი და არც მამას. მალე დამწვარი რეზინის სკინი დედა.

page 2 / 8

G-PRIED

მამამ დედას უთხრა: - კარგი დამწვარი რეზინის სკინი, არა?

- ახლა კარგი! - თქვა დედა.

მოეფიქსი მუტხი. პატა არსად ჩანდა.

- დედა, სად არის პატა?
- პატა ახლა მისთვის გაეფიქსი - მითხრა მამამ.

ჩემთვის მუტხი. მუტხი მართალი და მუტხი მუტხის მამა (ა, ბ, გ).

1. **ტანში ტრუტელმა დამიარა**, - იხსენებს მითხრობდა. რა იყო ამ ტრუტელის მითხრობა?

- ა) ტრუტელმა, რომ მითხრობდა.
- ბ) მამა, რომ მითხრობდა.
- გ) წყნა, რომ ტრუტელის ფორმისა ადგინდა.

2. როგორ გაიფიქსი მამამ, რომ რატომ წინა დედას ფანჯრის მან ჩამხშვრია?

- ა) ეს პატამ უთხრა.
- ბ) თვითონ რატომ ადგინდა.
- გ) წინა დედას უთხრა.

3. **მე სწავლე დედას და პატას თვალში დეფიქსი**. რა გამოხატა რატომ ამით?

- ა) გაუცხა.
- ბ) წინა მითხრობდა.
- გ) წყნა.

4. მამა და დედა რატომ ცელქობს **უკველი სიმშვილი მუტხი**. როგორ იბრუნდა რატომ მითხრობდა მამამ რატომ?

- ა) ბიჭმა იფიქრა, რომ მითხრობდა.
- ბ) ბიჭმა ჩაიფიქრა, რომ მუტხი გეფიქსი რატომ.
- გ) ბიჭმა მალე გადამიფიქრა, რომ დანამალი ჩაიფიქრა.

page 3 / 8

G-PRIED

5. „მარევედ უწოლი“ - თქვა პატამ.
- კარგი შურდული ჰქონია - ვთქვი მე. - რა ჩანს მტხის ამგარი შეფასებიდან?
ა) ისინი კარგი შურდულის გაკეთებაზე იცნებდნენ.
ბ) მათ გული სწყევლით, რომ ასეთი მარევედები არ არიან.
გ) მათ ეამბედათ კიკა ბიჭის სიმაგრეზე.

6. „ერთი კაცმა მუზიხელი მცედა“, რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვა?
ა) მოქმედება. ბ) თემა. გ) წამოჩატული.

7. როგორ გაცნობიერებინა მამამ ბიჭებს, რომ შურდულით თანაში სახედიოა?
ა) კიკა ბიჭზე მოყვანილი ისტორია უფრო და სიყრთხილისაგან მოუწოდო.
ბ) მომადაროვ სავითოდ არ გაუხსნებოდა ცერადგულა.
გ) ნამდვილი ამბები უფრო და ამით უფრო დანამატულზე დააფიქრა.

8. რა მიზნით არ დასრულა მამამ წინადადება: ამ ბიჭებს შურდული რომ არ ჰქონოდა...?
ა) ამით აჩვენა, რომ ბავშვების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა.
ბ) ამით დიფერენციალური რომ მოეცა ბავშვებისთვის.
გ) ამით მათთვის, რომ შურდული მათთვის მოუღებელი გასართობი იყო.

9. რომელ წინადადებაში ჩანს, რომ რატი მამის მოსაზრებას აფიქსირებს?
ა) „კარგი ხანი რატი არ მომცარა, გვიან ჩამხვდა და დედა დასტავიშნა“.
ბ) „მეც დროს ვიხსენებთ ვიღაცისგან ბოლო, ახლა კი გასაბოლოო“.
გ) „ჩემი შურდული ზუსტად გახერხებული თიხები ჩავადგე“.

10. რომელ წინადადებაში ფრაზოლოგიური გამოთქმა?
ა) „კაცის მუზიხეობა, შეფიქრე თიხა... სიხელი თქრიალი ჩამოხდის“.
ბ) „თვითონ დასამატებში ადევს, ტანი ჩაიფიქრე და კბე ჩაიფიქრე“.
გ) „მეც და პატა სწავლიდან წამოიჭრით და კარს ვეკით“.

Page 4 / 5

G-PRIED

11. რა ეჭვია მამისგან რატომ?
ა) მათი შურდული რომ არ გადაადგო.
ბ) პატა ახლა მათთან მარტი რომ წვიდოდა.
გ) პატა მამზე ადრე რომ ადგა და გაესარა.

12. რისთვის გავზავნა მამამ პატა ახლა მათთან?
ა) ახლად გამოქვეყნებული პერიოდი რომ განსაზღვრებოდა.
ბ) კიკა ბიჭის ცეცხლის შესახებ რომ მოეხსენო.
გ) წინა დღის ფანჯარაში მინა რომ ჩატყდა.

13. „კარგი დამწერი რეზინის სურს, არა?
- ახლა კარგია, - თქვა დედა“. რა ჩანს ამ დიალოგიდან?
ა) მშობლები არ დაუშლან მტხის ახალი შურდულის გაკეთებას.
ბ) მშობლები კმაყოფილი არიან შურდულის საქმეებით.
გ) მშობლებს უფრო, თუ რატომ დაწერა რატიმ შურდული ზუსტად.

14. ამის მიზნობრივი ნაწარმოების პერსონაჟი. როგორ ჰყვება იგი მომხდარის შესახებ?
ა) ზღუდრულად. ბ) მხიარულად. გ) სიამაყით.

15. რა არის ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი?
ა) მშობლები შურდულს მათი ქუეყნის გაზრდაში უნდა ეხმარებოდნენ.
ბ) მშობლები შურდულს სამაგალიოდ უნდა სწავლიდნენ.
გ) მშობლები შურდულს ევლადგონ უნდა პატივდნენ.

Page 5 / 5

დანართი 8

კოლეგების უკუკავშირი

გთხოვთ, შეავსოთ

1. აქტუალურია თუ არა საკვლევი თემა?

ა) დიახ; ბ) არა; გ) ნაწილობრივ.

2. შეესაბამება თუ არა კვლევის მიზანი საკვლევ პრობლემას?

ა) დიახ; ბ) არა; გ) ნაწილობრივ.

3. რელევანტურია თუ არა დაგეგმილი ინტერვენციები?

ა) დიახ; ბ) არა; გ) ნაწილობრივ.

4. გამოიყენებთ თუ არა თქვენს პრაქტიკაში კვლევაში მოცემულ რეკომენდაციებს?

ა) დიახ; ბ) არა; გ) ნაწილობრივ.

5. კომენტარები: -----

შენიშვნები: -----

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. გორდელაძე ნ. - წიგნიერება. PIRLS-2011, მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2013 წ.;
2. გოგიტაშვილი ქ. შაბაშვილი გ. „ანალიტიკური წერა“ <http://bit.ly/2KvBbLY>
3. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016; ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, თბილისი, 2011;
4. ეფექტიანი სწავლება, თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010 წ.;
5. ვებ პორტალი „კარგი სკოლა“ - <http://kargiskola.ge>
6. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლ.)” სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული; 2015 წ.
7. კუტალაძე ი. - წიგნიერება, PIRLS-2006 საქართველოში, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2008 წ.;
8. ლაბარტყავა ნ. 4 ივლისი, 2013., „მოსწავლეთა ლიტერატურული ინტერესების განვითარება“ <http://mastsavlebeli.ge/?p=2325>
9. მირიანაშვილი მ., ნ. ჯაში, მ. ბლიაძე, გ. ხატისაშვილი, გ. გახელაძე, ბ. ლორთქიფაშვილი, პ. ჩორგოლაშვილი, ლ. ბერიშვილი, ნ. მახაროზიძე, ე. ფირცხალავა - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010 წ.);
10. ნაცვლიშვილი ნ., ზ. ქიტიაშვილი - კითხვის ეფექტური მეთოდები (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ.);
11. პაპავა პ., ნ. ნაცვლიშვილი, ნ. მახაროზიძე, მ. მახაროზიძე, ქ. ფიცხელაური - კითხვის ეფექტური მეთოდები (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი);
12. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, თბილისი 2007;
13. სამსონია ი. - წიგნიერება, მასწავლებლის სახელმძღვანელო (გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2013 წ.);
14. უზნაძე, დ. ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია; თბილისი; 2005 წ.

15. ფირჩხაძე მ. 22 სექტემბერი. 2017 წ. „ბლუმის კუბის“ გამოყენება გაკვეთილზე <http://mastsavlebeli.ge/?p=15567>
16. ქიტიაშვილი ზ., მ. ხაზიური, პ. პაპავა, მ. ერქომაიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი - კითხვის ეფექტური მეთოდები (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011 წ.). ვებ-გვერდი: www.tpdg.ge
17. წიგნიერი - პროფესიული საგანმანათლებლო ჟურნალი კითხვის, წერისა და აზროვნების შესახებ, 2002-2004 წლებში გამოქვეყნებული სტატიების ანთოლოგია, თბილისი, წიგნიერი ISSN 1512-1607;
18. ჯანაშია ნ., ნ. იმედაძე, ს. გორგოძე -განვითარებისა და სწავლის თეორიები. დამხმარე სახელმძღვანელო („საქართველოს მაცნე“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ.);

მანანა კაკაურიძე

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა ეხება ღირსი გიორგი ათონელის სახელობის მე-5 კლასის მოსწავლეთა კითხვასთან დაკავშირებულ საკითხებს. პრაქტიკული კვლევის დასრულების შემდეგ მოვამზადე ანგარიში და წარვუდგინე გიმნაზიის პედაგოგებს. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც კვლევის განხორციელების ეტაპებით დაინტერესებული მასწავლებლები, ასევე ის პედაგოგები, რომლებიც ასწავლიდნენ საკვლევი კლასის მოსწავლეებს და გარკვეულწილად თანამონაწილენი იყვნენ კვლევის პროცესისა (ინტერვიუ საკვლევი კლასის მასწავლებლებთან მონაცემთა შეგროვებისას, ინტერვიუ მასწავლებლებთან ინტერვენციების განხორციელების შემდგომ).

კვლევის ანგარიშის გაზიარების მიზნით შეხვედრისათვის წინასწარ მოვამზადე კვლევის მოკლე ანგარიში და სლაიდები საპრეზენტაციო პროგრამა PowerPoint-ში. იმისათვის, რომ კვლევის ანგარიში უფრო ადვილად აღსაქმელი და გასაგები ყოფილიყო სლაიდებით წარმოვადგინე:

- საკვლევი პრობლემა და კვლევის მთავარი კითხვა (ქვეკითხვებითურთ);
- პრობლემის სავარაუდო გამომწვევი მიზეზები;
- კვლევის მიზანი;
- კვლევის ამოცანა;
- მონაცემთა შესაგროვებლად შერჩეული კვლევის მეთოდები;
- მონაცემთა ანალიზი (დიაგრამები);
- კვლევის მიგნებები;
- დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები;
- ინტერვენციების შედეგები (ცხრილი და დიაგრამა);
- დასკვნა, რეკომენდაციები;
- კვლევის გეგმა.

პედაგოგებთან შეხვედრა დავიწყე ინტერაქციით. დავსვი შეკითხვა: თქვენი აზრით, რომელია ყველაზე მთავარი უნარი, რომელსაც ბავშვი სკოლაში იძენს? მასწავლებელთა უმეტესობამ დაასახელა კითხვის უნარი. მომდევნო შეკითხვა კონკრეტულად კითხვის მნიშვნელობას დავუკავშირე, კერძოდ: თქვენი აზრით, რა არის კითხვის მთავარი ფუნქცია? მასწავლებლებმა წაკითხულიდან აზრის გამოტანის, გაგება-გააზრების უნარი

დაასახელეს. შეხვედრის დასაწყისშივე დასმული შეკითხვების მიზანი იყო, რომ მასწავლებლებისთვის უფრო მკაფიოდ დამენახვებინა საკვლევი პრობლემის აქტუალობა. შემდეგ პედაგოგებს გავაცანი ჩემი კვლევის სათაური: „წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“ და კვლევის მთავარი კითხვაა: *როგორ გავაუმჯობესოთ ტექსტის კითხვისას გაგება - გააზრების უნარი ღირსი გიორგი ათონელის სახელობის მე-5 კლასში ?*

მასწავლებლებს მოკლედ ვესაუბრე საკვლევი საკითხის აქტუალობის შესახებ. შემდეგ გავაცანი მე-5 კლასში მოსწავლეთა სასწავლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ჩემი დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ერთი პრობლემა, კერძოდ, ის, რომ მოსწავლეებს უჭირდათ წაკითხულიდან აზრის გამოტანა. ასევე, ავუხსენი „რომ საკვლევი პრობლემა რეალურად გამომდინარეობდა ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებიდან და ამიტომაც გადაწყვიტე კვლევის ჩატარება, კერძოდ, ჩემი მიზანი იყო, დამედგინა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო გაგება-გააზრების, როგორც პრობლემის გამომწვევი მიზეზები, რათა კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დამეგეგმა და განმეხორციელებინა ინტერვენციები, რომლებიც ხელს შეუწყობდა პრობლემის მოგვარებას.

კოლეგებს გავაცანი წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, რომლებიც განვსაზღვრე პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ. გავაცანი კვლევის მთავარი კითხვა და მასთან დაკავშირებული ქვეკითხვები, ასევე, ვისაუბრე კვლევის მიზანსა და ამოცანაზე.

შეხვედრაზე კოლეგებთან ვისაუბრე იმ მეთოდურ ლიტერატურაზეც, რომელიც მიმოვიხილე საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით. მასწავლებლებს განვუმარტე, რომ განხილული ლიტერატურის საშუალებით გავიღრმავე ცოდნა ჩემთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც დამეხმარა პრობლემის გადაჭრის გზების უკეთ განსაზღვრაში, ინტერვენციების სწორად შერჩევა-დაგეგმვა-განხორციელებაში.

პედაგოგებს მოვახსენე, რომ კვლევის პროცესის წარმართვისათვის შევიმუშავე კვლევის გეგმა, ასევე, გავაცანი კვლევისთვის შერჩეულ მონაცემთა შეგროვების მეთოდები და მათი შეგროვების პროცესი. განვუმარტე, რომ კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვებისათვის გამოვიყენე თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის

მეთოდები: ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, კითხვარები, ანკეტირება, ჩაღრმავებული ინტერვიუ. შემდეგ დავუსაბუთე ჩემ მიერ კვლევისთვის შერჩეული თითოეული მეთოდის ადეკვატურობა. მეთოდების შერჩევისას ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ დამეხმარებოდა ესა თუ ის მეთოდი საკვლევი კითხვების პასუხების გაცემაში და ქნებოდა თუ არა იგი შესაბამისობაში კვლევის საჭიროებებთან და მიზანთან.

საუბრისას კოლეგებს გავაცანი შეგროვებული მონაცემების ანალიზი, ის დასკვნები და მიგნებები, რომლებიც კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოვიტანე.

შემდეგი ნაბიჯი, რომელიც კვლევის პროცესში გადავდგი გახლდათ ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება. ამიტომ, კოლეგებს ვესაუბრე იმ მრავალფეროვან ინტერვენციებზე, რომლებიც შევარჩიე, დავგეგმე და განვახორციელე კვლევის პროცესში. ავუხსენი, რომ ყოველი ინტერვენცია მონაცემთა ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით შევარჩიე. ვესაუბრე თითოეული ინტერვენციის ეფექტიანობაზე და გავაცანი როგორც ინტერვენციების შედეგების ანალიზი, ასევე, ინტერვენციების შეფასებაც. გარდა ამისა, წარვუდგინე რეკომენდაციები, რომლებიც ინტერვენციების განხორციელებისას არის გასათვალისწინებელი. განვუმარტე, რომ ჩემ მიერ დაგეგმილი ინტერვენცია ორი მიმართულებით მუშაობას გულისხმობდა: სასკოლო გარემოს შექმნა და მშობელთა ჩართულობის გაზრდა მოზარდთა წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით. მასწავლებლებს ვესაუბრე ორივე მიმართულებით დაგეგმილ და განხორციელებულ ინტერვენციებზე. კერძოდ, ვესაუბე, რომ საგაკვეთილო პროცესში ვიყენებდი სხვადასხვა მეთოდს/აქტივობას, რომლებიც ხელს უწყობდა წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარებას. მაგალითად: ორიენტირებული მოსმენა და აზროვნება, კუბი, ცხელი სკამი, თხრობა სხვადასხვა ინტერპრეტაციით, გრაფიკული მათემატიკა და სხვ. ასევე ავუხსენი, როგორ ვმუშაობდით კითხვის საათზე, საკლასო ბიბლიოთეკაში და ა. შ. ხაზი გავუსვი იმასაც, რომ მშობლებს წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით ვთხოვე, სახლში შეექმნათ საბავშვო ბიბლიოთეკა. თანაც ვურჩიე მათ, რომ წიგნები შეერჩიათ მოზარდის ასაკისა და ინტერესის გათვალისწინებით. მშობლებს ასევე გავაცანი ბავშვების ასაკის შესაფერისი ლიტერატურა და ვურჩიე, მილის წინ გამოეყოთ შვილებისთვის 15 წუთი, რათა მათთან ერთად ან ეკითხათ, ან მოესმინათ ბავშვების მიერ წაკითხული, ან ესაუბრათ წაკითხულზე.

შემდგომ ვისაუბრე ინტერვენციების შეფასების პროცესზე, შედეგებსა და მათზე დაყრდნობით გამოტანილ დასკვნებზე. კოლეგებს გავაცანი, რომ ინტერვენციები დადებითად შეაფასეს როგორც მშობლებმა, ასევე მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა იქიდან გამომდინარე, რომ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარი მოწაფეებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. პოსტტესტისა და პრეტესტის შედეგების გაანალიზების შემდეგ, ჩემი შეხედულებით, კვლევის დროს დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები ნამდვილად ემსახურებოდა საკვლევი პრობლემის გამოსწორება-მოგვარებას. ვფიქრობ, ინტერვენციების დიდმა ნაწილმა კარგად იმუშავა და სათანადო შედეგიც გამოიღო. პედაგოგებს გავაცანი ის რეკომენდაციები, რომლებიც შევადგინე როგორც მასწავლებელთათვის, ასევე მშობელთათვის.

შეხვედრის დასასრულს აღვნიშნე, რომ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებაზე ზრუნვა ამ კვლევით კი არ დასრულებულა, არამედ მომავალშიც გაგრძელდება, რადგან წაკითხულის გაგება-გააზრების უნარი მუდმივად მოითხოვს განვითარებასა და გაუმჯობესებას.

ჩემი პრეზენტაციის დასრულების შემდეგ კოლეგებისგან მივიღე მნიშვნელოვანი უკუკავშირი საკვლევი პრობლემის აქტუალობასთან, მნიშვნელობასთან დაკავშირებით, და ასევე, ინტერვენციებთან დაკავშირებითაც, კერძოდ:

- დაწყებითი საფეხურის მათემატიკის პედაგოგმა აღნიშნა, რომ საკვლევი პრობლემა ნამდვილად აქტუალურია, რადგან მე-2 და მე-3 კლასებში არიან მოსწავლეები, ვისაც ძალიან უჭირთ დავალების პირობის წაკითხვა და შემდეგ გააზრება. მისი აზრით, საკვლევი პრობლემა მეტად აქტუალურია განსაკუთრებულად დაწყებით საფეხურზე;
- დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ მე-4 კლასის მოსწავლეებსაც მივაჩვევდით წაკითხული ტექსტის უკეთ გასააზრებლად ტექსტზე მუშაობის სხვადასხვა მეთოდებს;
- ერთ-ერთმა მასწავლებელმა დადებითად შეაფასა საკლასო ბიბლიოთეკის გახსნა და აღნიშნა, რომ საკლასო ბიბლიოთეკით სარგებლობა წაახალისებს მოსწავლეებს და გაუღვივებს მათ კითხვის ინტერესს;
- ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მას გაუჩნდა სურვილი თავადაც ჩაატაროს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა;

- ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ რთული განსახორციელებელია ის ინტერვენციები, რომლებიც გაკვეთილების დასრულების შემდეგ არის დაგეგმილი, რადგან მოსწავლეებს ხშირად არ აქვთ თავისუფალი დრო და უჭირთ გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დარჩენა.

იმისათვის, რომ მიმეღო უფრო კონსტრუქციული და გულახდილი უკუკავშირი, მასწავლებლებს დავურიგე კითხვარი (დანართი 8) და ვთხოვე, ანონიმურად შეევსოთ იგი. კიდევ ერთხელ შევახსენე, რომ მათგან მიღებული უკუკავშირი ჩემთვის მეტად ღირებული, მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი გახლდათ.

გთავაზობთ კოლეგების უკუკავშირის ერთ-ერთ ნიმუშს:

გთხოვთ, შეავსოთ

1. აქტუალურია თუ არა საკვლევი თემა?

ა) დიახ; ბ) არა; გ) ნაწილობრივ.

2. შეესაბამება თუ არა კვლევის მიზანი საკვლევ პრობლემას?

ა) დიახ; ბ) არა; გ) ნაწილობრივ.

3. რელევანტურია თუ არა დაგეგმილი ინტერვენციები?

ა) დიახ; ბ) არა; გ) ნაწილობრივ.

4. გამოიყენებთ თუ არა თქვენს პრაქტიკაში კვლევაში მოცემულ რეკომენდაციებს?

ა) დიახ; ბ) არა; გ) ნაწილობრივ.

5. კომენტარები: *კვლევაში ნახიშვითი სფეროები ნაშრომად აქტუალური და ჩოშვითმყოფელია. სასურველია ყოველგვარად განვიხილოთ ამ სფეროებში მოშაობა, ხაზგან აღნიშნული ჩოშვით ნაშრომად მოიხილოთ ხაზგან რეკომენდაციები და თხმ ნებოღმ.*

6. შენიშვნები: *სასურველია რაიფეზობს მხვანვეფოვანი და ნაშრომებში აქტუალური დეკლარაციი მახვან გავთიფოთ მოგნით*

2018 წ.

მანანა კაკაურიძე